ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი

ქართული ენა 3

მასწავლებლის წიგნი

ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი

ქართული ენა

III კლასი

მასწავლებლის წიგნი

საქართველოს მაცნე

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ქართული ენა – III კლასი

მასწავლებლის წიგნი

ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი

რედაქტორი – ნანა სუხიტაშვილი
დამკაბადონებელი – ლია მოსეშვილი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568105467; 574 400 857
ელ.ფოსტა: saqmatsne@mail.ru, sakmacne@gmail.com
www.http://saqmatsne.ge

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018
© ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი
გამოცემის წელი და რიგითობა 2003, 2009, 2011, 2018 წელი
ISBN 978-9941-16-574-0

სარჩევი

I. ზოგადი ინფორმაცია ქართული ენის II-IV კლასების სახელმძღვანელოების ციკლის შესახებ 4
II. საგნის სწავლების კონცეფცია და მეთოდური ორიენტირები 5
III. სასწავლო კომპლექტი 6
1. ქართული ენა III კლასი (სახელმძღვანელო მოსწავლეთათვის) 6
2. ქართული ენა III (რვეული მოსწავლეთათვის) 7
3. ქართული ენა (მასწავლებლის სახელმძღვანელო) 7
IV. სახელმძღვანელოს სტრუქტურული ელემენტები 7
1. დასასწავლი ტექსტები 7
2. ლექსიკონი – სიტყვის სკივრი 10
3. დამხმარე ტექსტობრივი მასალა 10
4. ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული სავარჯიშოები 11
5. დამოუკიდებელი მეტყველებითი აქტივობის განმავითარებელი რუბრიკა „სასაუბრო“ 11
6. ენობრივ მასალასთან დაკავშირებული რუბრიკა „დაიმახსოვრე“ 12
7. სავარჯიშოები 13
8. წერითი უნარ-ჩვევების, დამოუკიდებელი წერითი მეტყველების განმავითარებელი რუბრიკები 15
9. შერეული აქტივობების რუბრიკა „სახალისო“ 16
10. რვეული საკლასო სამუშაოებისათვის 16
11. დამოუკიდებლად საკითხავი მასალა 17
12. დამოუკიდებლად საკითხავი მასალის შეფასება:ის ცხრილები 18
V. მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი 18
1. გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები 18
2. გაკვეთილის გეგმა-სცენარის ნიმუში 26
3. სცენარები 30
VI. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა და პრინციპების შესახებ 39
1. გამჭოლი კომპეტენციები 39
2. მეტაკოგნიცია 40
3. მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება სასწავლო პროცესში 41
4. დიფერენცირებული სწავლება 43
5. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები 44

VII. შეფასება 45
1. განმავითარებელი შეფასების მიზნები, საგანი, მეთოდები და უკუკავშირი 45
2. აქტივობის ორგანიზება და წესები 46
2. შეფასების ცხრილები 47
VIII. ინკლუზიური განათლება 54
IX. ეროვნული სასწავლო გეგმა ქართულ ენაში 56
X. სასწავლო კომპლექტის შესატყვისობა სტანდარტთან – მიზნებისა და შედეგების მატრიცა 64
XI. კოგნიტური ცხრილებისა და ისტის გამოყენების სქემა 92
XII რეკომენდებული მეთოდური ლიტერატურის სია მასწავლებელთათვის 93

I. ზოგადი ინფორმაცია ქართული ენის II-IV კლასების სახელმძღვანელოების ციკლის შესახებ

II-IV კლასის სახელმძღვანელოები ერთ-ერთი იყო იმ სახელმძღვანელოთა ციკლში, რომელმაც გრიფირების რამდენიმე კონკურსი წარმატებით გაიარა. ყოველი მათგანი ახლებურად შეგვაფასებინებდა ხოლმე გავლილ ეტაპს, რასაც არაერთი სიახლე და პროგრესული ხედვა შემოჰქონდა სახელმძღვანელოებში. ამას ერთვოდა მასწავლებლებთან თანამშრომლობით მიღებული გამოცდილება და პრაქტიკული რჩევები. ასე რომ, ავტორთა ჯგუფი, ერთი მხრივ, დიდი გამოცდილების მქონეა, მეორე მხრივ, ღიაა სიახლეების მიმართ. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ წიგნების ავტორთა ჯგუფი შერჩეული იყო იმ პრინციპით (მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ლიტერატორი და ენათმეცნიერი), რომ სახელმძღვანელო გამართული ყოფილიყო პედაგოგიურად, ფსიქოლოგიურად, ლიტერატურულად და ენობრივად.

სახელმძღვანელოთა კომპლექტი მოიცავს I-IV კლასებს, მიუხედავად იმისა, რომ I კლასის სახელმძღვანელო საანბანო წიგნია და მას განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს, მასში დაწყებული სასწავლო ამოცანები გრძელდება მომდევნო კლასებში, ეს ნათლად ჩანს რუბრიკების დონეზეც კი. აქ დაწყებული საქმე გრძელდება სხვა კლასებშიც, თუმცა, ასაკობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში, ქრება რომელიმე რუბრიკა, ზოგ შემთხვევაში რთულდება, ზოგჯერ კი ახალი ამოცანები და რუბრიკაც ჩნდება.

სასწავლო კომპლექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, რომელშიც შესულია აგრეთვე დამოუკიდებლად საკითხავი მასალა და შემაჯამებელი სამუშაოები.

წარმოდგენილი სახელმძღვანელოები ითვალისწინებს ლიტერატურული ტექსტებისა და ენობრივი ამოცანების ერთ მთლიან, განუყოფელ სწავლებას. ლიტერატურულ ტექსტს ახლავს ის ენობრივი ამოცანები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს ამავე ტექსტიდან და ორგანულად არის დაკავშირებული სათანადო ტექსტის აღქმასა და ათვისებასთან, ენობრივი გრძნობის განვითარებასთან. ეს მიდგომა ავტორთა ჯგუფისათვის პრინციპულია და გამომდინარეობს შემდეგი ფაქტობრივი მდგომარეობიდან: ამ ასაკის ბავშვი (II-IV კლასელი) აქტიურად იყენებს მშობლიურ ენას, თითქმის გამართულადაც მეტყველებს, მაგრამ მას არ შეუძლია სიტყვა და სიტყვათა ენობრივი მიმართებები თავისი გაცნობიერებული მსჯელობის საგნად აქციოს. მისთვის ენა „გამჭვირვალეა“, მას მეტყველებისადმი პრაქტიკული დამოკიდებულება აქვს და არა თეორიული. ენისადმი პრაქტიკული დამოკიდებულების შედეგად ბავშვს უყალიბდება ე. წ. „ყოფითი ცნებები“ მეტყველების ელემენტების მიმართ, მაგრამ ეს არ არის განზოგადებული და სისტემატიზებული ცოდნა.

ჩვენი სახელმძღვანელოების მეთოდიკა ეყრდნობა ამ ასაკის ბავშვების შემეცნებითი განვითარების აღნიშნულ თავისებურებას. ჩვენ აქტიურად ვიყენებთ ენისადმი მოსწავლეების პრაქტიკულ დამოკიდებულებას. ვცდილობთ, პრაქტიკული და არა თეორიული გზით ვაქციოთ ენა ბავშვის შემეცნების საგნად, ხოლო მომავალში პრაქტიკული გზით მიღებული და სათანადო სავარჯიშოებით განმტკიცებული გამოცდილება დავუკავშიროთ თეორიულ დეფინიციებს.

ამგვარი მეთოდური მიდგომა გულისხმობს მოსწავლეების მეტ აქტიურობას, მონაწილეობას, ინიციატივას გაკვეთილის მსვლელობისას, და არა პასიური „მიმღების“ როლში ყოფნას, როგორც ეს ენობრივი წესების (ცნებების, დეფინიციების) სისტემური სწავლებისათვის არის დამახასიათებელი.

სახელმძღვანელო ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვებაზე, არამედ მიღებული ცოდნის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასა და ამ ცოდნის უნარ-ჩვევების აქტიურ გამოყენებაზე. აქედან გამომდინარე, პროგრესული და თანაბარზომიერად ზრდადი პრინციპით მეორდება, როგორც სახელმძღვანელოში, ასევე რვეულში, რუბრიკები და ამოცანები, რასაც ასაკობრივი პრინციპების გათვალისწინებით ემატება ახალი ამოცანებიცა და რუბრიკებიც.

ამასთანავე, სახელმძღვანელოების ციკლი (II-IV კლ.) ითვალისწინებს მოსწავლეთა სოციალური ყოფის მდგრადი განვითარების პრინციპებს, საწყისი მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევების განვითერებას, რაც იმით უნდა დავიწყოთ, რომ მოსწავლეებს შევუქმნათ სასწავლო პროცესისა და გარემოსადმი გათავისების განცდა; განცდა იმისა, რომ ისინი თავად ახდენენ გავლენას წესებსა და გადაწყვეტილებებზე; ასევე შეუძლიათ მასალის შინაარსის დაკავშირება თავიანთ გამოცდილებასა და სხვადასხვა ცხოვრებისეულ კონტექსტთან.

ჩვენი სახელმძღვანელოების ციკლში შეტანილი რუბრიკები და სამუშაოები ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების, მეტყველების, მოსმენისა და წერითი უნარების განვითარებას. საინტერესო, ასაკობრივ მოთხოვნებზე გათვლილი და გემოვნებით შერჩეული ტექსტები, რუბრიკაში „ეს საინტერესოა“ შეტანილი შემეცნებითი მასალა მოსწავლეს უღვივებს კითხვის ინტერესს და ნელ-ნელა წიგნიერ ადამიანად აყალიბებს.

სასწავლო კომპლექტის ნაწილია რვეული საკლასო სამუშაოებისათვის. მასში შესულია როგორც წერითი, ასევე ლექსიკური, ენობრივი, სააზროვნო და საკითხავი სავარჯიშოები, დამოუკიდებლად საკითხავი მასალა თავისი ტესტებით და შემაჯამებელი სამუშაოები. თითოეული სამუშაო მიემართება ძირითად ტექსტსა და მასთან დაკავშირებულ სამუშაო ამოცანებს, გათვლილია კლასში დამოუკიდებელი მუშაობისათვის და მიზნად ისახავს ნასწავლი მასალის განმტკიცებას. ზოგ შემთხვევაში კი მონიტორინგის ფუნქციაც აქვს.

რაც მთავარია, სახელმძღვანელოთა ციკლი ეყრდნობა ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას და ზრუნავს მისი ყოველი მიმართულების სრულყოფილად განვითარებაზე.

II. საგნის სწავლების კონცეფცია და მეთოდური ორიენტირები

საწავლო წლის დასრულებისას, II კლასის მოსწავლეს უკვე აქვს მნიშვნელოვანი სასკოლო უნარ-ჩვევები, შეუძლია ინსტრუქციის გაგება, კითხულობს და იგებს მარტივ ლიტერატურულ ტექსტებს, მარტივ ინსტრუქციებს; აქვს ლექსიკონზე მუშაობის გამოცდილება; მეტ-ნაკლებად განვითარებული აქვს ენობრივ მოვლენებზე დაკვირვებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი; შეუძლია მარტივი ენობრივი ამოცანების გადაჭრა, წერს მარტივ ტექსტებს, მოკლე შინაარსებს, ადგენს წინადადებებს, ასრულებს მისთვის ნაცნობ ენობრივ სავარჯიშოებს; კლასიფიკაციის უნარი საგნობრივი ამოცანებიდან ნელ-ნელა გადადის უფრო განზოგადებულ ენობრივ ამოცანებზე.

• III კლასის სახელმძღვანელოს ამოცანაა, ერთი მხრივ, მიღებული უნარ-ჩვევების განმტკიცება, მეორე მხრივ, მოსწავლის ახალ ეტაპზე აყვანა, ახალი ამოცანების შემოტანა. აქედან გამომდინარე, წიგნი, ერთი მხრივ, ინარჩუნებს და ართულებს ძველ რუბრიკებს, მეორე მხრივ, დამატებულია ახალი ამოცანები.

• სახელმძღვანელოს აგების პრინციპად ამჯერადაც აღებულია ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის ინტეგრირებული სწავლება. ინტეგრირების პროცესში თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ლიტერატურულ ტექსტს, ასევე ენობრივ ამოცანებს. სასწავლო თემა, ცხადია, ეყრდნობა ტექსტს. მასთან დაკავშირებულია არაერთი სასწავლო ამოცანა (კითხვის, ზეპირმეტყველების, ენობრივი ცნობიერების განვითარების, წერის, სასწავლო-სოციალური, კომუნიკაციური უნარ-ჩვევების შეძენისა და აღმზრდელობითი), მაგრამ ამჯერად უკვე იკვეთება წამყვანი ენობრივი ამოცანა, რომელიც დომინირებს სხვა ამოცანებს შორის და უკავშირდება წერისა და ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას.

• სახელმძღვანელოში მოცემულია არა მარტო მრავალფეროვანი ლიტერატურული ტექსტები, არამედ აღწერითი და საინფორმაციო მასალაც. მართალია, მასალა უფრო რთული და შედარებით ვრცელია, მაგრამ გათვალისწინებულია III კლასის მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. ჟანრობრივი და თემატური მრავალფეროვნება ხელს შეუწყობს კითხვის უნარ-ჩვევებისა და ტექნიკის განვითარებას, ხოლო გემოვნებით შერჩეული მასალა განუვითარებს ესთეტიკური ჭვრეტის უნარსა და ინტერესს მხატვრული ლიტერატურის მიმართ. ენობრივად დახვეწილი და გამართული ტექსტები ხელს შეუწყობს მართლწერისა და მართლმეტყველების ამოცანების დაძლევას.

• სახელმძღვანელო ფერადია, ილუსტრირებული. ილუსტრაციები მრავალფეროვანია და სხვადასხვა სასწავლო მიზანს ემსახურება, გამოყენებულია ფოტოები, რომლებსაც ზოგჯერ საინფორმაციო, ზოგჯერ კი ესთეტიკური ფუნქცია აქვს.

• წიგნი დასტრუქტურებულია გაკვეთილების შესაბამისად. თითოეულ მასალას კონკრეტული ადგილი აქვს მიჩენილი და გამოყოფილია შესაბამისი რუბრიკითა და დიზაინით. გვერდების ფარგლებში ერთი მასალა არ არის შეჭრილი მეორეში, ერთი საგაკვეთილო თემა სრულდება ერთ რომელიმე გვერდზე, ახალი თემა კი იწყება ახალი გვერდიდან.

• სახელმძღვანელო გათვლილია როგორც წარმატებული, ასევე საშუალო შესაძლებლობებისა და დაბალი მიღწევის მოსწავლეთათვის. სასწავლო ამოცანები ითვალისწინებს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

• III კლასში, II კლასისაგან განსხვავებით, მოსწავლის აქტივობის წილი უფრო იზრდება, აქვე შემოდის „სწავლის სწავლების“ ელემენტარული ამოცანები. ჩნდება ახალი რუბრიკებიც.

• ჩვენი სახელმძღვანელოს მეთოდიკა ეყრდნობა 8-9 წლის ბავშვის შემეცნებითი განვითარების თავისებურებებს. ჩვენ ამჯერადაც აქტიურად ვიყენებთ ენისადმი მოსწავლეების პრაქტიკულ დამოკიდებულებას. ვცდილობთ, პრაქტიკული და არა თეორიული გზით ვაქციოთ ენა ბავშვის შემეცნების საგნად, მით უმეტეს, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ბავშვისთვის თეორიული ფორმით იქნება მიუწვდომელი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ III კლასის სახელმძღვანელოში იზრდება თეორიული მასალის წილი. მარტივი თეორიული მსჯელობის გზით მოსწავლეს მიეწოდება ის მასალა, რომელიც მის გონებრივ შესაძლებლობებს შეესაბამება და რაც, პრაქტიკული გავარჯიშების გზით, მან მეტ-ნაკლებად უკვე გააცნობიერა. ამდენად, უფრო გააქტიურებულია რუბრიკა „დაიმახსოვრე“ და გაზრდილია ამ რუბრიკასთან დაკავშირებული სავარჯიშოების წილიც.

• III კლასის სახელმძღვანელოში გააქტიურებულია ასევე რუბრიკა „სასაუბრო“. ეს რუბრიკა უკავშირდება როგორც მოსწავლის პირად გამოცდილებებსა და შთაბეჭდილებებს, ასევე მიზნად ისახავს თავისუფალი აზროვნების განვითარებას.

• რუბრიკა „სახალისო“. შერეული აქტივობების რუბრიკად უნდა ჩაითვალოს. რუბრიკა „სახალისო“ გარკვეულწილად II კლასის მასწავლებელთა სახელმძღვანელოში შეტანილი მიზნობრივი თამაშების გაგრძელებაა, მაგრამ ამჯერად იგი უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რადგან მასში წარმოჩენილი ამოცანები უკავშირდება სასწავლო თემაში მოცემულ მასალას, მისი მიზანი უფრო კონკრეტული და გამოკვეთილია. ეს რუბრიკა, ერთი მხრივ, ზოგადად ავითარებს სასწავლო-სოციალურ უნარ-ჩვევებს, მეორე მხრივ, აღრმავებს სასწავლო თემაში დასმულ ამოცანებს.

• ამგვარი მეთოდური მიდგომა გულისხმობს მოსწავლეების მეტ აქტიურობას, მონაწილეობასა და ინიციატივას გაკვეთილის მსვლელობისას. სახელმძღვანელო ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვებაზე, არამედ მიღებული ცოდნის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასა და ამ ცოდნის აქტიურად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

III. სასწავლო კომპლექტი

III კლასის სახელმძღვანელოს ავტორები არიან: ლიტერატორი ვახტანგ როდონაია, ენათმეცნიერი ავთანდილ არაბული, ფსიქოლოგი მარიამ მირიანაშვილი და პედაგოგი ლალი ვაშაკიძე. სასწავლო კომპლექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: 1. სახელმძღვანელო მოსწავლეთათვის – ქართული ენა; 2. რვეული საკლასო სამუშაოებისათვის, რომელშიც შესულია წერითი სამუშაოები და დამოუკიდებლად საკითხავი; 3. მასწავლებლის სახელმძღვანელო ქართულ ენაში.

1. ქართული ენა III კლასი (სახელმძღვანელო მოსწავლეთათვის)

სახელმძღვანელოში ენისა და ლიტერატურის სწავლება ინტეგრირებულია. სახელმძღვანელოს ძირითადი წამყვანი ელემენტები და რუბრიკებია:

1. დასასწავლი ტექსტი;

2. ტექსტის გაგებასთან, კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებული რუბრიკები:

ა) სიტყვის სკივრი;

ბ) კითხვები;

გ) დაიმახსოვრე გამონათქვამები;

დ) სიტყვის კვალდაკვალ;

ე) დაიმახსოვრე – ლიტერატურულ საკითხებთან მიმართებაში;

ვ) სავარჯიშოები.

3. დამოუკიდებელი სამეტყველო აქტივობის განმავითარებელი რუბრიკა „სასაუბრო“.

4. ენობრივი ცნობიერებისა და წერითი მეტყველების განმავითარებელი რუბრიკები:
ა) დაიმახსოვრე (შემეცნებითი მასალა);
ბ) სავარჯიშოები.
ა) დააკვირდი, როგორ იწერება;
ბ) წერითი დავალება.
6. შერეული აქტივობების რუბრიკა
ა),,სახალისო".
ბ) იმუშავეთ წყვილებად ან ჯგუფებად.

2. ქართული ენა III (რვეული მოსწავლეთათვის)

საკლასო სამუშაოების რვეულში გაერთიანდა როგორც წერითი დავალებები, ასევე დამოუკიდებლად საკითხავი მასალა.

რვეული, ერთი მხრივ, განკუთვნილია საკლასო წერისათვის. იგი ემსახურება წერითი უნარ-ჩვევების, მართლწერის, დამოუკიდებელი წერითი მეტყველების განვითარებას. მასში შეტანილია მრავალფეროვანი ენობრივი, ლექსიკური და სტილური ამოცანების შემცველი სავარჯიშოები, დამოუკიდებელი წერითი მეტყველების განმავითარებელი დავალებები. მეორე მხრივ, დამოუკიდებლად საკითხავ ბლოკში მოცემულია სხვადასხვა ტიპის საკითხავი ტექსტები, წარმოსახვისა და ფანტაზიის განმავითარებელი დავალებები და ტესტები, რომლებიც მოსწავლის მიერ ტექსტის გაგების დონეს დააფიქსირებს. ცხადია, დამოუკიდებლად საკითხავი განკუთვნილია საკლასო მუშაობისთვის და გამიზნულია დამოუკიდებლად მუშაობისა და ჩუმი კითხვის უნარ-ჩვევების განსავითარებლად. იგი ერთგვარ ტესტსაც წარმოადგენს კითხვის დონის დასადგენად.

3. ქართული ენა (მასწავლებლის სახელმძღვანელო)

ამ წიგნში თავმოყრილია ყველა ის საკითხი, რაც მოცემული სახელმძღვანელოთი სწავლების პროცესს უკავშირდება. კერძოდ, სახელმძღვანელოს შესაბამისობა სტანდარტთან, მოცემული მასალის სწავლების მიზნობრივ-შედეგობრივი რუკა, სასწავლო კომპლექტში გამოყენებული მეთოდებისა და ხერხების აღწერა, გაკვეთილის სცენარები, დამხმარე მასალა და სხვ.

დეტალური კომენტარები სასწავლო კომპლექტის თითოეულ სტრუქტურულ ელემენტთან და მის შემადგენელ ნაწილებთან დაკავშირებით.

IV. სახელმძღვანელოს სტრუქტურული ელემენტები

1. დასასწავლი ტექსტები

როგორც უკვე ითქვა, სახელმძღვანელოში შეტანილია მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა: ქართული საბავშვო კლასიკა, თანამედროვე საბავშვო ლიტერატურა, მსოფლიო კლასიკიდან ნათარგმნი, გადმოქართულებული და ადაპტირებული ტექსტები, სპეციალურად სახელმძღვანელოსათვის დაწერილი მოთხრობები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები.

სახელმძღვანელოში შეტანილი ტექსტები არა მარტო თემატურად და შინაარსობრივად არის მრავალფეროვანი, არამედ ჟანრობრივადაც. სახელმძღვანელოში შეტანილია მოთხრობები, ხალხური და ლიტერატურული ზღაპრები, იგავ-არაკები, ჩანახატები, ლეგენდები და გადმოცემები, შემეცნებითი ხასიათის საინფორმაციო ტექსტები, ლექსები და ა.შ. წიგნში თანაბრადაა წარმოდგენილი როგორც თანამედროვე ყოფა, ასევე ის მასალა, რომელიც მოსწავლეს საქართველოს ისტორიას, ქართულ ტრადიციებს და რეალიებს აცნობს. წიგნში მოცემული მასალა ხშირად ეხმიანება ზოგადსაკაცობრიო იდეებს, რაც ხელს უწყობს ჰუმანიზმის, ტოლერანტობისა და დემოკრატიის იდეების მოთხოვნების დამკვიდრებას.

III კლასის სახელმძღვანელოში გაჩნდა ახალი რუბრიკაც ,,პატარა მოგონებები დიდ მწერლებზე". იგი, ერთი მხრივ, ემსახურება ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილის, შიო მღვიმელის, სულ-

ხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისეული ეპიზოდების გაცნობას, მეორე მხრივ, ახალი ტიპის ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევის განვითარებას.

წიგნის შემდგენლები შეეცადნენ, ყოველი ტექსტი ყოფილიყო სათანადო მხატვრული დონის და ენობრივად გამართული. არანაკლები ყურადღება ეთმობა მასალის აღმზრდელობით მნიშვნელობას. ამავე დროს, წიგნი ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს, პასუხობს მის ფანტაზიას, უშუალო ხედვას, ეხმიანება მის სულიერ სამყაროს.

III კლასის სახელმძღვანელოს ტექსტები ქმნის თემატურ რკალებს, რომლებიც სასწავლო-სოციალურ ამოცანებს უკავშირდება. მაგალითად, პირველ ექვსკვირეულში შეტანილი მასალა შემდეგ თემატურ რკალებში შეიძლება გაერთიანდეს:

1. სასწავლო წლის დაწყება, სკოლა: „მალე სექტემბერიც დადგება“, „ფეფოს ახალწლისა,“ „მატარებელი“, „გიმნაზიაში“, „შორიდან მოსული მოწაფე“.

2. მართლწერა და სასვენი ნიშნები: „ხელის ჩუქურთმა“, „დედა წერტილი და შვილი წერტილი“, „სასვენი ნიშნები“.

შეიძლება თემატურ რკალებს შორის გაჩნდეს ისეთი ტექსტიც, რომელიც ერთი შეხედვით, ნეიტრალურია, მაგრამ მაინც რაღაცით ეხმიანება და ამრავალფეროვნებს წინა თემას. მაგალითად, „მატასი, პიპა და სუსი-ფუსი“. თითოეულ თემატურ რკალში გაერთიანებულია მრავალფეროვანი და მრავალმხრივი მასალა.

თუ გადავხედავთ სკოლის თემაზე გაერთიანებულ მასალას, ვნახავთ, რომ „მალე სექტემბერი დადგება“ ჩანახატის ტიპის ტექსტია და იგი სასექტემბრო განწყობას უსვამს ხაზს, შეახსენებს მოსწავლეებს სასკოლო მოვალეობებს; „ფეფოს ახალწლისა“ იუმორით დაწერილი მოთხრობაა, რომელიც ბავშვის ინტერესებს, მის ტენდენციებს უპასუხებს, ხაზს გაუსვამს უფროსებისათვის მიბაძვის სურვილს და ეტყვის, რომ ისინი უკვე უფრო დიდები არიან. „მატარებელი“ გააცოცხლებს ზაფხულის არდადეგებზე მიღებულ შთაბეჭდილებებს; „გიმნაზიაში“ ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობაა და მოსწავლეს დიდი ქართველი მწერლის, აკაკი წერეთლის, ბავშვობას გააცნობს, ეს ტექსტი ბევრ ზნეობრივ საფიქრალსაც აძლევს მოსწავლეებს. დიდი ზნეობრივი მაგალითია მოცემული მოთხრობაში „შორიდან მოსული მოწაფე“, რომელიც ცნობილი ინდოელი მოღვაწის, მისი ერთ-ერთი პრეზიდენტის, ბაჰადურ შასტრის, ცხოვრების მაგალითზე შეიქმნა. ამდენად, ვფიქრობთ, ლიტერატურული მასალა საინტერესოა და მან მოსწავლეში ცოდნისმოყვარეობა, ცნობისმოყვარეობა და კითხვის სურვილი უნდა აღძრას.

ტექსტზე მუშაობა შეიცავს სამუშაოთა მთელ კომპლექსს: თავად ტექსტი, სიტყვის სკივრი, კითხვები და დამხმარე მასალა (ანდაზები, გამოცანები, ხატოვანი გამონათქვამები და საინფორმაციო მასალა „ეს საინტერესოა“).

ტექსტის დამუშავება იწყება მისი წაკითხვით (ზოგ შემთხვევაში პირველად კითხულობს მასწავლებელი, უფრო ხშირად კი მოსწავლეები დამოუკიდებლად, ჩუმი კითხვით ეცნობიან ტექსტს).

მერე მოდის კომენტირებული კითხვა, მისი ლექსიკური დამუშავება. აქ გამოვიყენებთ ყველა შესაბამის რუბრიკას: „სიტყვის სკივრი“ „ხატოვანი გამონათქვამები“.

შემდეგ ისევ მოსწავლეები წაიკითხავენ ტექსტს, დაამუშავებენ კითხვებს, რომლებიც ძირითადად ტექსტის შინაარსის გაგებას ემსახურება.

ბოლოს გამოვყოფთ პერსონაჟებს, მთავარ სათქმელს, შინაარსობრივ დეტალებს. ამ შემთხვევაში გამოვიყენებთ დამხმარე ტექსტობრივ მასალას (ანდაზები, გამოცანები, საინფორმაციო ტექსტები, რუბრიკა „ეს საინტერესოა“).

არ არის აუცილებელი, მასწავლებელმა ყველა ტექსტი თხრობით მისცეს მოსწავლეს, ან ყველა ლექსი – ზეპირად დასასწავლად. მიზნებისა და შედეგების რუკაში მითითებულია, რომელი ტექსტი როგორ უნდა დაისწავლონ, თუმცა ამის გადაწყვეტა მასწავლებელსაც შეუძლია კლასის დონიდან გამომდინარე. შესაძლებელია, ზოგიერთი ვრცელი ტექსტი კიდეც დავყოთ ცალკეულ ეპიზოდებად და ისე მივცეთ დასასწავლად.

მოსწავლე უნდა კითხულობდეს სათანადო ტემპით (არა ძალიან ნელა), სწორი ინტონაციით, სიტყვის ამოკითხვაში არ უნდა უშვებდეს შეცდომას.

მოსწავლე უნდა ჰყვებოდეს ტექსტს. ტექსტის მოყოლის დროს ყურადღება უნდა გავამახვილოთ, რამდენად თანმიმდევრულად გადმოსცემს შინაარსს, რამდენად ახსოვს დეტალები, ხომ არ გამოტოვა რაიმე ისეთი, რასაც მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის გაგებისათვის (რამდენად გაიგო ნაწარმოების

დედააზრი). აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებზე. III კლასელ მოსწავლეს აღარ უნდა აბნევდეს შეჩერება თხრობის დროს. შეიძლება, ენობრივი შეცდომა მაშინვე გავასწოროთ, გავამეორებინოთ სწორი ფორმა და ისე განაგრძოს თხრობა. თუ მოსწავლე ვერ აგრძელებს თხრობას, ეს იმას ნიშნავს, რომ მას მექანიკურად აქვს დაზეპირებული ტექსტი. ასეთ მოსწავლესთან მასწავლებელს მოუწევს დამატებით მუშაობა კითხვების მეშვეობით. III კლასში უფრო ხშირად გამოვიყენებთ ჩუმი კითხვის მეთოდს. მოსწავლეები ჯერ თავისთვის ჩუმად წაიკითხავენ ნაწარმოებს, გამოიყენებენ სიტყვის სკივრსაც, ხოლო შემდეგ მოხდება შემოწმება კითხვებით ან წინასწარ გამზადებული ტესტის შევსებით. ბოლოს მოხდება ტექსტის გამთლიანება, მისი ხმამაღლა წაკითხვა.

III კლასის მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ გაგრძელებებით კითხვა. სასურველია, კითხვის ტექნიკიდან გამოვიყენოთ გამოკრებით კითხვა – მოძებნონ და წაიკითხონ ესა თუ ის მონაკვეთი; რა თქმა უნდა, შერჩეულ მონაკვეთს თავისი დატვირთვა უნდა ჰქონდეს.

როგორც კითხვაში, ასევე თხრობაში მოსწავლეს უნდა შეეძლოს სხვისი თხრობის გაგრძელება, გამოკრებით რომელიმე ეპიზოდის თხრობა. რაიმე ამოცანის მიხედვით როლებად განაწილებული ტექსტის როგორც წაკითხვა, ასევე თხრობა, გათამაშება. ამგვარი მუშაობა ხელს შეუწყობს კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას.

ზოგიერთი ტექსტის შესწავლისას სასურველია მარტივი გეგმის შედგენა. თუკი მეორე კლასში მასწავლებელი უკითხავდა მოსწავლეებს ეპიზოდებს და ისინი მასთან ერთად ასათაურებდნენ, ადგენდნენ გეგმას, ამჯერად სახელმძღვანელოში მოცემულია ზოგიერთი მოთხრობის გეგმა და მოსწავლეები თავად პოულობენ და კითხულობენ შესაბამის ეპიზოდებს. მათ უნდა შეეძლოთ გეგმის მიხედვით გამოყოფილი ეპიზოდის თხრობაც. მოგვიანებით კი მოსწავლეები დამოუკიდებლად დაყოფენ მოთხრობას ეპიზოდებად.

კითხვა-გაგების უნარ-ჩვევების განსავითარებლად ავტორთა ჯგუფმა დაგეგმა შესაბამისი სამუშაოები: – საკითხავი სავარჯიშოები, დამოუკიდებლად საკითხავი მასალა, კითხვის სწავლების ტექნოლოგიები და სხვა.

შეიძლება კითხვა-გაგების სწავლებასთან დაკავშირებული მეთოდები ასე დავასტრუქტუროთ:

1. ხმამაღალი კითხვა შესაბამისი ინტონაციით; 2. ხმამაღალი კითხვა დიალოგში;

3. ხმამაღალი კითხვა როლების შესაბამისად; 4. ხმამაღალი კითხვა ეპიზოდის მითითებით;

5. ხმამაღალი კითხვა ენობრივი ან ლექსიკური ამოცანების მითითებით;

6. ხმამაღალი კითხვა სავარჯიშოების ინსტრუქციებისა და მათი განმარტება – რას ვასრულებთ და როგორ ვასრულებთ;

7. ჩუმი კითხვა გარკვეული ამოცანით: – ტექსტში დეტალების დაფიქსირება;

– ტექსტში შინაარსის თანმიმდევრობაზე ყურადღების გამახვილება; – პერსონაჟთა ქცევაზე დაკვირვება და მისი შეფასება;

– ინფორმაციის დამახსოვრება და გადმოცემა; – ტექსტის ლოგიკური გაგრძელების მოძებნა;

– ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ლექსიკური ერთეულების, ხატოვანი გამონათქვამების ან მხატვრული სახეების განმარტება;

– ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ამბის მიმართება სათაურთან;

– ტექსტების შედარება მათ შორის საერთო და განსხვავებული დეტალების დაფიქსირების მიზნით;

– ტექსტში ენობრივი მასალის მოძებნა.

ვფიქრობთ, ამგვარი სამუშაოები ხელს შეუწყობს ტექსტის სრულყოფილად დამუშავებას.

ტექსტის გაგებასთან, კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებული რუბრიკები

ტექსტის გაგება მხოლოდ კითხვის ტექნიკის განვითარებას არ უკავშირდება. როგორც ზემოთ განხილული თემიდანაც ჩანს, აქ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსიკურ სამუშაოებს. ასევე, ტექსტის დედააზრის ამოსაცნობად კარგ სააზროვნო ამოცანას წარმოადგენს დამხმარე ტექსტობრივ მასალასთან ძირითადი ტექსტის დაკავშირება. ისიც უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ტიპის ტექსტის კითხვა, მათი შინაარსობრივი თუ იდეური გადაკვეთების დაფიქსირება დიდად შეუწყობს ხელს კითხვის, ტექსტის გაგების, სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც საფუძველს მოამზადებს მომავალში სასწავლო ამოცანების გამრავალფეროვნებისთვის.

2. ლექსიკონი – სიტყვის სკივრი

პირველი აუცილებელი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ტექსტს ახლავს, არის „სიტყვის სკივრი“ ანუ ლექსიკონი. იგი II კლასში შემოვიდა და პირველ რიგში, ცხადია, მისი დანიშნულებაა, ნათლად და მისაწვდომად განმარტოს თითოეული ის სიტყვა, რომელიც შეიძლება უცნობი ან დასაზუსტებელი აღმოჩნდეს კონკრეტული ტექსტის დამუშავების დროს. თავდაპირველად, რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში, მასწავლებელი მიუთითებს ხოლმე ლექსიკონის ადგილმდებარეობას, შემდეგ აუხსნის მოსწავლეებს მის დანიშნულებას. ჯერ კლასს ჰკითხავს ასახსნელი სიტყვის მნიშვნელობას. შემდეგ, პასუხს მიიღებს თუ არა, მიმართავს ლექსიკონს – „აბა, ვნახოთ ლექსიკონში, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა.“ მოგვიანებით, როდესაც მოსწავლეები ამ ტიპის სამუშაოს მიეჩვევიან, მასწავლებელი ნაწილ სიტყვებს თავად კითხულობს (იმას, რაც შედარებით რთულია), ნაწილს – ბავშვები პოულობენ და კითხულობენ (ყველას მოაძებნინებს, ერთ-ერთს წააკითხებს). მას შემდეგ, რაც ბავშვებს გამოუმუშავდებათ ლექსიკონის გამოყენების ელემენტარული ჩვევები, მასწავლებლის შეკითხვის შემდეგ ისინი თვითონ მოძებნიან ყველა სიტყვას. საბოლოოდ კი ტექსტის ჩუმად, დამოუკიდებლად წაკითხვის დროს ისინი სრულიად დამოუკიდებლად იმუშავებენ ლექსიკონზე.

ამდენად, შეიძლება გამოვყოთ ლექსიკონზე მუშაობის ეტაპები:

1. ლექსიკონის ადგილის დაფიქსირება. მასწავლებლის მუშაობაზე მოსწავლეების დაკვირვება;
2. მოსწავლეების ნაწილობრივი ჩართვა ლექსიკონზე მუშაობისას;
3. მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა ზეპირი მითითების შემდეგ;
4. მოსწავლეთა სრულიად დამოუკიდებელი მუშაობა ჩუმად კითხვისა და ტექსტის დამოუკიდებლად დამუშავების დროს.

ამდენად, „სიტყვის სკივრს“ არ უნდა მოვეკიდოთ, როგორც მხოლოდ დამატებით აპარატს. მას მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ, როგორც გარკვეული ენობრივი ამოცანის გადაწყვეტის და აზრის ზუსტად გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას.

ბ) კითხვები

თითოეულ ტექსტს ახლავს კითხვები, რომლებიც ძირითადად ემსახურება შინაარსის თანმიმდევრობისა და მისი დეტალების დაფიქსირებას.

კითხვები ძირითადად შინაარსობრივი ხასიათისაა და მოსწავლეს ეხმარება შინაარსის თანამიმდევრობის დადგენაში, მის დეტალურ აღდგენაში. ტექსტის წაკითხვისა და მისი ლექსიკური დამუშავების შემდეგ იწყება კითხვებზე მუშაობა. ზოგჯერ კითხვები მეორე დღეს ფრონტალური გამოკითხვის საშუალებაცაა. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი სვამს კითხვებს. სასურველია, უფრო ხშირად მოსწავლეები მუშაობდნენ კითხვებზე. ერთი კითხულობს შეკითხვას, მეორე – პასუხობს.

ზოგჯერ კითხვებში საანალიზო კითხვაცაა ჩართული. ამგვარი კითხვა ხშირად მსჯელობის მაპროვოცირებელია. მოსწავლეებს ზოგჯერ უჭირთ ერთმნიშვნელოვანი და სწორი პასუხის გაცემა. ამიტომ საჭირო ხდება დამატებითი, დამაზუსტებელი კითხვების დასმა. მასწავლებელს წარმმართველი როლი აქვს. იგი წარმართავს მოსწავლეთა მსჯელობას, მიჰყავს კლასი სწორი პასუხისაკენ. ჩნდება ალტერნატიული აზრებიც. ამ შემთხვევაში მსჯელობის გზით უნდა მივიდეთ სწორ აზრამდე.

3. დამხმარე ტექსტობრივი მასალა

ლიტერატურულ ტექსტთან ზოგჯერ მოცემულია სხვა ტექსტობრივი მასალაც: ანდაზები, გამოცანები, ხატოვანი გამონათქვამები, დამატებითი მასალა, საინფორმაციო ტექსტები (რუბრიკით „ეს საინტერესოა“). ეს მასალა, ზოგ შემთხვევაში, ამდიდრებს ტექსტში წარმოჩენილ საზროვნო თუ ზნეობრივ პრობლემას, ზოგჯერ დამატებით ინფორმაციას აწვდის, რაც ხელს უწყობს ტექსტის გაგებას, ზოგჯერ კი ახალი, სახალისო, მაგრამ შემეცნებითი ამოცანის სახით წარმოჩინდება.

ანდაზის წაკითხვის შემდგომ, საანალიზო კითხვების საშუალებით, მასწავლებელი კლასთან ერთად ხსნის ანდაზის შინაარსს, შემდეგ მას უკავშირებს ტექსტს. ცხადია, ანდაზების ცოდნა, ერთი მხრივ, ამდიდრებს მოსწავლის ინტელექტს, მეორე მხრივ, აჩვევს აზრის განზოგადებას, ეხმარება ნაწარმოების გაანალიზებაში, რადგან ანდაზაში ხშირად ფორმულის სახით არის გადმოცემული ნაწარმოების დედააზრი (მაგალითად, ანდაზები ტექსტთან „ხილთა ცილობა“).

რუბრიკაში „ეს საინტერესოა“ მოცემულია სხვადასხვა ტიპის მასალა, მაგალითად, ტექსტთან

„მალე სექტემბერიც დადგება“ მოცემულია ლექსიკური ერთეულები, რომელთა შორის ერთ-ერთი ლექსიკური ერთეული ტექსტიდანაა და დანარჩენი ამავე ტიპის სიტყვებია. იგი სავარჯიშოს თემაც ხდება, რომელიც სიტყვის კონტექსტში სწორად გამოყენებას ემსახურება; ტექსტთან „ფეფოს ახალწლისა“ მოცემულია საინფორმაციო მასალა „რა ერქვათ ძველად თვეებს“. ეს მასალა ხელს უწყობს დასასწავლი ტექსტის უკეთ გაგებას და აფართოებს მოსწავლის თვალსაწიერს. ტექსტთან „პეპის პირველი წერილი“ მოცემულია ორი წერილი, რომლებიც განსაკუთრებულ ამოცანას ისახავს. ისინი ერთი შინაარსისა და განსხვავებული ლექსიკური ერთეულების შემცველია. აქ დგება ამოცანა – მოსწავლეებმა დააფიქსირონ განსხვავება მიმართვის ჩვეულებრივ და ზრდილობიან ფორმებს შორის და ამის მიხედვით განსაზღვრონ ადრესატები.

ზოგჯერ მხატვრულ ტექსტს ახლავს მეორე საინფორმაციო ტექსტი, რაც არა მხოლოდ დამატებით ინფორმაციას აწვდის მოსწავლეს, არამედ ხელს უწყობს მხატვრული ტექსტის უკეთ გაგებას და წარმოშობს ახალ სასწავლო ამოცანებს. მაგალითად, მოთხრობასთან „გათავისუფლება“ შეტანილია საინფორმაციო ტექსტი „კუ“. მოთხრობის შინაარსიდან გამომდინარე, მოსწავლე აფიქსირებს, რა იცის კუს შესახებ, შემდეგ კი ეცნობა საინფორმაციო ტექსტს და აფიქსირებს, რა დამატებითი ინფორმაცია მიიღო.

მოგვიანებით კი, სხვადასხვა ტიპის ტექსტი ერთად იყრის თავს თემაში „მთვარე – ჩვენი თანამგზავრი“.

ამ თემაში მოცემულია: უძველესი ლეგენდა, საინფორმაციო ტექსტი და ფანტასტიკური ამბავი.

ამ ეტაპისთვის მოსწავლეს უკვე გარკვეული გამოცდილება აქვს. ამიტომ იგი ადვილად განსაზღვრავს, რომელი ტექსტი რომელ წიგნში უნდა მოიძიოს – ლეგენდებსა და მითებში, ფანტასტიკურ მოთხრობებსა თუ საბავშვო ენციკლოპედიაში. არაერთხელ შეხვდებით ამ და სხვა ტიპის დამხმარე ტექსტობრივ მასალას, რომელსაც ცხადად გამოკვეთილი მიზანი ექნება და, ამასთან, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, სხვადასხვა ტიპის ტექსტის კითხვაშიც გაიწაფოს.

4. ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული სავარჯიშოები

აღნიშნული რუბრიკა წიგნში ცალკე სათაურით არ არის გამოყოფილი, მაგრამ მასწავლებლისათვის ამ თვალსაზრისით კითხვების, სავარჯიშოებისა და სახალისო სამუშაოების გამოცალკევება ძალიან მნიშვნელოვანია.

ლექსიკურ და ენობრივ ამოცანებთან ერთად ყურადღებას ვამახვილებდით ლიტერატურულ და ტექსტოლოგიურ ამოცანებზე. მარტივად ბავშვისთვის გასაგებ ენაზე შემოვიტანეთ პორტრეტი, ვისაუბრეთ პერსონაჟის თვისებებზე, ტექსტის ეპიზოდებად დაყოფაზე.

ამგვარი ამოცანა უნდა ჩასწვდეს ნაწარმოების დედააზრს, ყურადღება გაამახვილოს ნაწარმოების მხატვრულ დეტალებზე, ზოგჯერ ეს შეკითხვის სახითაა მოცემული. მაგალითად: – რატომ იწვევს პეპის საქციელი სიცილს? („პეპის პირველი წერილი“); ზოგჯერ კი – შესაბამის სავარჯიშოშია ასახული. მაგალითად, მოსწავლემ შეარჩიოს ფეფოს დასახასიათებელი სიტყვები („ფეფოს ახალწლისა“). ტექსტთან „პეპის პირველი წერილი“ მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, დახატონ ან აღწერონ პეპი. შემდეგ კი კითხულობენ პეპის ავტორისეულ პორტრეტს. აქვე მოკლედ მივანიშნებთ პორტრეტის რაობაზე ლიტერატურასა და მხატვრობაში.

მოგვიანებით, ვსაუბრობთ, რა არის იგავ-არაკი („მგელი და კრავი“); ავუხსნით, რა არის სათაური და რა არის ქვესათაური („პურის ანგელოზი“). ზემოთ აღნიშნული ამოცანების შესაბამისი მასალა მოცემულია სახელმძღვანელოში. ზოგ შემთხვევაში კი ანალოგიური თემატიკა გატანილია რუბრიკებში „სასაუბრო“ და „სახალისო“.

ამგვარი ამოცანები ხელს შეუწყობს გემოვნებიანი და ყურადღებიანი მკითხველის აღზრდას.

5. დამოუკიდებელი მეტყველებითი აქტივობის განმავითარებელი რუბრიკა „სასაუბრო“

რუბრიკა „სასაუბრო“ ემსახურება დამოუკიდებელი მეტყველებითი აქტივობის განვითარებას. ამ რუბრიკაში შეტანილია კითხვები და სასაუბრო თემები, რომლებიც ან უშუალოდ ტექსტს უკავშირდება, ან ტექსტიდან გამომდინარე განწყობასა თუ თემატიკას.

„სასაუბროს“ მასალა შეიძლება რამდენიმე ბლოკში გავაერთიანოთ:

1. ლიტერატურულ მასალაში მოცემული თემის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან.

2. ლიტერატურული მასალის გააზრება, მოვლენის დახასიათება, პერსონაჟის საქციელის შეფასება და ანალიზი, დედააზრის გამოყოფა.

3. ნაწარმოების განწყობის, იუმორის დაფიქსირება.

იმისდა მიხედვით თუ რა ტიპისაა სასაუბრო თემა, უნდა დაიგეგმოს ამ რუბრიკაზე მუშაობა:

– თუ მოსწავლეები რაიმე ინფორმაციას გვაწვდიან, შეიძლება თითოეულს მივცეთ გამოხატვის საშუალება, ინფორმაცია ჩამოვწეროთ დაფაზე, ვთხოვოთ ბავშვებს, რაც ითქვა, ის აღარ გამეორდეს. შემდეგ განვიხილოთ, ყველა ეთანხმება თუ არა ამ მოსაზრებებს. თუ რაიმეს არ ეთანხმებიან, დაასაბუთონ. ამის შემდეგ მასწავლებლის დახმარებით, ან დამატებითი ტექსტის საშუალებით, ვაზუსტებთ ინფორმაციებს. ხშირ შემთხვევაში დამატებითი ტექსტი სახელმძღვანელოშია მოცემული რუბრიკაში „ეს საინტერესოა“. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს წავაკითხებთ ტექსტს, შემდეგ კი შევთანხმდებით შეგროვილი ინფორმაციის სისწორეზე.

– თუ მოსწავლეები საუბრობენ საკუთარ გამოცდილებასა და განცდებზე, ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს, ვინ იყო უკვე ჩართული ამგვარ სამუშაოში და ვინ – არა, თავად დაადგინოს, ვინ ისაუბრებს. შესაძლებელია, მოსწავლეებს მიეცეთ დავალება, ყურადღებით მოუსმინონ თანაკლასელებს და განსაზღვრონ – ვისი მონათხრობი უფრო საინტერესო იყო, ვინ ყვებოდა უფრო კარგად, – შესაბამისი ინტონაციით, გამართულად, მართლმეტყველების წესების დაცვით.

– თუ მოსწავლეები მსჯელობენ ტექსტთან დაკავშირებულ საკითხებზე, შესაძლოა ჯგუფებში და წყვილებადაც იმუშაონ, შეათანხმონ აზრები და ერთმა მათგანმა წამოადგინოს ჯგუფის მოსაზრება. რომელიმე ჯგუფს კი დაევალოს წარმოდგენილი ვერსიების შეფასება – რომელი მიაჩნია უფრო სწორად და დამაჯერებლად, რომელმა გამოხატა თავისი აზრი უფრო ცხადად.

ამგვარი სამუშაოები მოსწავლეს სტიმულს მისცემს, გადმოსცეს არა მარტო საინტერესო ინფორმაცია, არამედ განუვითარებს მას დამოუკიდებელი მსჯელობის უნარს, სხვების აზრის მოსმენის კულტურას.

ვფიქრობთ, ამ რუბრიკის გააქტიურება ხელს შეუწყობს ზეპირმეტყველების განვითარებას.

6. ენობრივ მასალასთან დაკავშირებული რუბრიკა „დაიმახსოვრე“

ენობრივ მასალასთან დაკავშირებული რუბრიკებიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუბრიკას „დაიმახსოვრე“. იგი იმ აუცილებელი საკითხების მიწოდებას ემსახურება, რისი თეორიული განმარტებაც სწავლების ამ ეტაპზე გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. ამ სახელმძღვანელოში, ტრადიციული გრამატიკული საკითხები მხოლოდ ამგვარი აუცილებელი ფრაგმენტებით არის შემოთავაზებული და მაქსიმალურად პრაქტიკული ფორმა აქვს მიცემული. გრამატიკული კატეგორიების დაწვრილებითი დეფინიციების შემოტანა ავტორთა ჯგუფს მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

რუბრიკაში „დაიმახსოვრე“ შემოტანილია შემდეგი თემები: პირის ნაცვალსახელები; ქართული ანბანი; სასვენი ნიშნები; როდის ვამბობთ „კითხვა დაესმის“?; ზმნა; წარსული, აწმყო, მომავალი, ზმნიზედების გათვალისწინებით; მიმართვა; ზმნის დრო; სულიერი და უსულო სახელები; სიტყვის გადატანა; ჩვენებითი ნაცვალსახელები; რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები; რიცხვები და რიცხვითი სახელები; სად და როგორ გამოვიყენოთ ტირე.

აღსანიშნავია, რომ ამავე რუბრიკაში შეტანილია ზოგიერთი მარტივი ლიტერატურათმცოდნეობითი თემაც. მაგალითად: იგავ-არაკი; სათაური და ქვესათაური; ციტატა.

იმისათვის, რომ უფრო ცხადი გახდეს ამ რუბრიკის სპეციფიკა, შემოგთავაზებთ ერთ მაგალითს, თუ როგორ ვასწავლით ისეთ რთულ თემას, როგორიცაა ზმნა.

ზმნაზე მოცემულ მასალას წინ უსწრებს თემა: როდის ვამბობთ „კითხვა დაესმის“?

იგი ასეა წარმოჩენილი:

„ცნობისმოყვარე ბავშვები არაერთ კითხვას სვამენ.

მასწავლებლებიც სვამენ კითხვებს, როდესაც ბავშვების ცოდნას ამოწმებენ. სიტყვები კი თვითონ მოითხოვენ კითხვებს: რა? ვინ? სად? როდის? რატომ? როდის ვსვამთ ამ კითხვებს?

მაშინ, როცა წინადადებაში ამა თუ იმ სიტყვის ამოცნობა გვინდა. აი, რატომ ვამბობთ, რომ სიტყვას კითხვა დაესმის.

დააკვირდით მაგალითს: „გუშინ მატასი სკოლაში წავიდა“.

ამ წინადადების თითოეულ სიტყვას დაესმის კითხვა: როდის? – გუშინ; ვინ? – მატასი; სად? – სკოლაში; რა ქნა? – წავიდა.

ამის შემდეგ შემოგვაქვს ზმნა.

იგი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „დააკვირდით წინადადებას: ბიჭი ვენახს ბარავს.

ამ წინადადების რომელი სიტყვა გვიჩვენებს, რომ ბიჭი რაღაცას აკეთებს ანუ მოქმედებს.

პასუხი იქნება: ბიჭი ბარავს.

ამრიგად, ბარავს მოქმედების გამომხატველი სიტყვაა.

ასევე შეიძლება ვიპოვოთ მოქმედების გამომხატველი სიტყვები წინადადებებში:

გოგონა კაბას კერავს. რას აკეთებს გოგონა?

ბიჭი ნაყინს ჭამს. რას აკეთებს ბიჭი?

გოგონა კაბას კერავს. ბიჭი ნაყინს ჭამს. მოქმედების გამომხატველ სიტყვას ზმნა ჰქვია.

იმისათვის, რომ ბავშვისთვის ადვილი გასაგები იყოს ზმნის დრო, ჯერ შემოგვაქვს დროის ზმნიზედები. ამისათვის თემასთან „შენი ჭირიმე, გუთანო!“ რუბრიკაში „ეს საინტერესოა“ მოცემულია ტექსტი „რა იქნება მომავალში“, რომელშიც დროის ზმნიზედებია გამოყენებული. ამას მოსდევს მასალა წარსული, აწმყო და მომავალი.

იგი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

„ტექსტში „რა იქნება მომავალში“ რამდენიმე სიტყვაა ასეთი, რომელიც დროს გამოხატავს.

წინათ, შარშან, შარშანწინ წარსულს ანუ დღემდე არსებულს აღნიშნავს. ახლა, დღეს ახლანდელი დრო ანუ აწმყოა.

ხვალ, ზეგ ჯერ დასადგომი დრო ანუ მომავალია.

წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც არაერთი სიტყვა გამოხატავს. დააკვირდით

წარსული: წინათ, უწინ, ადრე, შარშან, შარშანწინ. აწმყო: დღეს, ახლა, ამწუთას.

მომავალი: ხვალ, ზეგ. მაზეგ, გაისად.“

მხოლოდ ამ საკითხების დამუშავების შემდეგ ვაფიქსირებინებთ მოსწავლეს დროის ზმნიზედის მიმართებას ზმნასთან. შემოგვაქვს თემა „ზმნის დრო“. საამისოდ კარგ მასალას იძლევა ლიტერატურული თემა „წყალობა“.

ენობრივი მასალა შემდეგნაირად არის გაშლილი:

ლექსი იწყება სიტყვით უწინ. ეს სიტყვა ნიშნავს ადრე, წინათ. რა ხდებოდა უწინ?

უწინ აქ ბიჭი ცხოვრობდა.

თუ შევცვლით სიტყვას უწინ სიტყვით ახლა, ზმნაც შეიცვლება: უწინ – ცხოვრობდა; ახლა – ცხოვრობს.

თუ შევცვლით სიტყვას უწინ სიტყვით ხვალ, ზმნაც ისევ შეიცვლება: უწინ – ცხოვრობდა, ხვალ – იცხოვრებს.

ზმნის დროის ამოცნობა კითხვის დასმით შეიძლება.

წარსულ დროს დაესმის კითხვა რა გააკეთა? (დაწერა, დახატა). აწმყოს – რას აკეთებს? (წერს, ხატავს).

მომავალს – რას გააკეთებს? (დაწერს, დახატავს).

ცხადია, თითოეულ ენობრივ მასალას ახლავს სავარჯიშოები, რომლებიც პრაქტიკულად განამტკიცებს მოცემულ თეორიას.

ენობრივი მასალა მოცემულია სავარჯიშოებში, რომლებიც მთლიანად ეყრდნობა მოსწავლეთა სამეტყველო უნარებსა და ენობრივ გამოცდილებას. სწავლების ამოცანაა, რომ მოსწავლემ ენა დაკვირვების ობიექტად აქციოს. გავარჯიშების შედეგად დაგროვილი კონკრეტული გამოცდილება კი დაეხმარება ბავშვს სწორი დასკვნების გამოტანაში, რაც შემდგომში განზოგადდება და აზროვნებაში დამკვიდრდება.

7. სავარჯიშოები

სწავლების ზემოთ აღნიშნულმა პრინციპმა საშუალება მოგვცა გაგვეფართოვებინა ენობრივი სავარჯიშოების არეალი. მასში შევიდა როგორც ლექსიკოლოგიის, ასევე მორფოლოგიის და სინტაქსის საკითხები. სახელმძღვანელოში შევიდა სავარჯიშოები როგორც III კლასის მასალის გასამეორებლად და გასამტკიცებლად, ასევე ახალი ამოცანებით.

სახელმძღვანელოში შეტანილია შემდეგი თემატიკის სავარჯიშოები:

– ლექსიკური სავარჯიშოები (მსგავსი და საპირისპირო სიტყვები, სიტყვის შერჩევა კონტექსტის მიხედვით, სიტყვის განმარტება, სიტყვის მნიშვნელობის დადგენა კონტექსტის მიხედვით);

– რიცხვი (სახელებისა და ზმნის რიცხვი, რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნები, რიცხვი სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვებთან);

– პირის, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები; – ვინ და რა ჯგუფის სახელები;

– კითხვის დასმა წინადადებაში შემავალი სიტყვებისათვის;

– კავშირებისა და მაკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;

– სასვენი ნიშნები (წერტილი, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, დეფისი და ორწერტილი – ჩამონათვალის წინ);

– სიტყვათწარმოება და კომპოზიტების მართლწერა; – საკუთარი სახელები;

– ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები და სხვა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ეს სავარჯიშოები არ უკავშირდება ენის თეორიულ ცოდნას. მათში, მაქსიმალურად არის გამოყენებული ბავშვის ენობრივი გამოცდილება და შესაძლებლობები. აღნიშნული სავარჯიშოები ააქტიურებს ამ შესაძლებლობებს და ამა თუ იმ ენობრივ ფაქტს დაკვირვების ობიექტად აქცევს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სწორი ფორმების გამყარებას ზეპირ და წერით მეტყველებაში.

სავარჯიშოთა უმრავლესობა სრულდება ზეპირად. ზოგ შემთხვევაში მოსწავლეები შესატყვის ფორმებს ეძებენ დამოუკიდებლად (მაგალითად, ტექსტში), ხოლო შემდეგ ხდება მათი გაჟღერება.

სავარჯიშოებზე მუშაობის ეტაპები დამოკიდებულია იმაზე, თუ ამგვარი სამუშაოების შესრულების რა გამოცდილება აქვთ მოსწავლეებს. შეიძლება სავარჯიშოებზე მუშაობა სამ ეტაპად დაიყოს:

I – სავარჯიშოზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავების ეტაპი;

II – დამოუკიდებელი მუშაობის ეტაპი;

III – დამოუკიდებელი წერითი სამუშაოს – ტესტირების ეტაპი.

გთავაზობთ სამივე ეტაპის სტრუქტურას:

I ეტაპი

ა) მასწავლებელი მიუთითებს სავარჯიშოს ადგილს ან ნომერს;

ბ) მასწავლებელი წაიკითხავს ინსტრუქციას;

გ) წააკითხებს ინსტრუქციას მოსწავლეს;

დ) მასწავლებელი დააზუსტებს და გაიმეორებს ინსტრუქციას;

ე) გაამეორებინებს მოსწავლეს, რა სამუშაო უნდა შეასრულოს;

ვ) მოსწავლეებს წააკითხებს თითო-თითო მაგალითს;

ზ) თითოეული მაგალითი იწერება დაფაზე;

თ) მასწავლებელი სვამს დამხმარე კითხვებს და იძლევა მითითებებს; ი) მოსწავლეები ასრულებენ დასმულ ამოცანას;

კ) სწორი პასუხი ფიქსირდება დაფაზე;

ლ) როცა ამოიწურება სავარჯიშო, მოსწავლეები კიდევ ერთხელ წაიკითხავენ ინსტრუქციას და დაფაზე დაწერილ შესრულებულ ამოცანას.

II ეტაპი

ა) მასწავლებელი მიუთითებს სავარჯიშოს;

ბ) მოსწავლე კითხულობს ინსტრუქციას;

გ) მოსწავლე იმეორებს ზეპირად შესასრულებელ ამოცანას;

დ) მოსწავლე წაიკითხავს პირველ მაგალითს;

ე) მოსწავლეები ასრულებენ დასმულ ამოცანას;

ვ) როცა ამოიწურება სავარჯიშო, მოსწავლეები კიდევ ერთხელ წაიკითხავენ ინსტრუქციას და ზეპირად გაიმეორებენ შესრულებულ ამოცანას.

საჭიროების შემთხვევაში:

ზ) მასწავლებელი წერს მაგალითს დაფაზე;

თ) მასწავლებელი უსვამს მოსწავლეებს დამხმარე კითხვებს და აძლევს მითითებებს;

ი) მასწავლებელი სწორ პასუხს წერს დაფაზე.

III ეტაპი

ა) მასწავლებელი მხოლოდ მიუთითებს სავარჯიშოს;

ბ) მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა გაიგოს ინსტრუქცია;

გ) მოსწავლემ დამოუკიდებლად, ყოველგვარი კომენტარისა და ნიმუშის განხილვის გარეშე უნდა შეასრულოს დავალება როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.

დ) მოსწავლემ უნდა შეძლოს შემაჯამებელი ტესტის შესრულება.

8. წერითი უნარ-ჩვევების, დამოუკიდებელი წერითი მეტყველების განმავითარებელი რუბრიკები

ა) დაიმახსოვრე, როგორ იწერება

თითქმის ყოველ თემას ახლავს რუბრიკა „დააკვირდი, როგორ იწერება". ამ რუბრიკაში ლიტერატურული ტექსტიდან გამოტანილია ყველა ის სიტყვა, რომელმაც შეიძლება რაიმე თვალსაზრისით შექმნას მართლწერის სირთულე. მართებული ორთოგრაფიული ერთეულები აქ ვიზუალური დამახსოვრების, თვალის მიჩვევის მიზნით არის გამოტანილი და წიგნიერი მეტყველების „პასიური" ათვისების, ჩვევების გამომუშავების ამოცანას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა ადგილას რამდენჯერმე მეორდება. ასევე, ამგვარი მიდგომა სულაც არ მოითხოვს ორთოგრაფიული ერთეულების გარჩევას იმის მიუხედავად, რთულ კატეგორიას განეკუთვნება ის, თუ – მარტივს. რამდენადაც აქ ანალიტიკური ათვისების ამოცანა კი არა დგას, არამედ – მექანიკური დამახსოვრების.

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ სახელმძღვანელოში შეტანილი ლიტერატურული ტექსტები გამართულია (ადაპტირებულია) თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების გათვალისწინებით, რათა იმავე „ვიზუალური ეფექტით" ბავშვის მეხსიერებაში მცდარი ფორმებიც არ აღიბეჭდოს.

ეს რუბრიკა ჯერ გაკვეთილზე დამუშავდება, – წავიკითხოთ, დავწეროთ დაფაზე, შემდეგ კი იქცევა გამეორებისა და გამოკითხვის საგნად – აბა, გავიხსენოთ, როგორ იწერება ესა თუ ის სიტყვა.

ამ რუბრიკას იგივე დანიშნულება აქვს, უბრალოდ, ამჯერად მასალა დასამახსოვრებლად არის გამიზნული და იგი შესატყვისად დასტრუქტურებულია. მოცემულია ერთი ტიპის ფორმები. ეს ფორმები მოსწავლემ უნდა დაიმახსოვროს. სასურველია, ეს ფორმები ჩამოიწეროს თაბახის ფურცელზე და გარკვეული დროის განმავლობაში გაკრული იყოს კლასში. მაგალითად, ტექსტთან „მატარებელი" რუბრიკაში „დაიმახსოვრე, როგორ იწერება" მოცემულია დეფისიანი კომპოზიტები: ეზო-ეზო, ღობე-ღობე, უკან-უკან, სოფელ-სოფელ, მინდორ-მინდორ, ქალაქ-ქალაქ.

რა თქმა უნდა, არც ამ შემთხვევაში ვუხსნით მოსწავლეებს ამგვარი კომპოზიტების წერის თეორიულ საფუძვლებს.

ბ) წერითი დავალება

ყოველი ტექსტის ბოლოს მოცემულია წერითი დავალება. დავალების თემა-ტიკა გამომდინარეობს ტექსტის ან ენობრივი მასალის თემიდან. წერითი დავალება მოსწავლეს სახლში სამუშაოდ ეძლევა. მან იგი დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს, თუმცა მასწავლებელი დავალების მიცემისას აძლევს გარკვეული ტიპის განმარტებებს, რომელიც შეახსენებს მოსწავლეს წერის კულტურის ელემენტებს. იშვიათ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ამის აუცილებლობას დაინახავს, შეიძლება თემატური ინსტრუქციაც მივცეთ მოსწავლეებს.

საწერი თემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ იგი გათვლილია ბავშვის შესაძლებლობებსა და გამოცდილებაზე.

1. დამოუკიდებელი წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განმავითარებელი თავისუფალი თემები:

2. დამოუკიდებელი წერითი მეტყველების, წარმოსახვისა და ფანტაზიის განმავითარებელი თემები:

3. ეპიზოდის ან გამოკრებითი შინაარსის, გეგმის შედგენის უნარის განმავითარებელი თემები. მაგალითად:

4. ლიტერატურულ საკითხებზე (პერსონაჟის დახასიათება, პერსონაჟის საქციელზე მსჯელობა) წერილობითი მსჯელობის უნარ-ჩვევების განმავითარებელი თემები.

5. ლექსიკური მარაგის გააქტიურება და მისი წერით მეტყველებაში სწორად გამოყენების უნარ-ჩვევების განმავითარებელი თემები. მაგალითად:

6. ენობრივი ალღოს გააქტიურების, ცოდნის წერით მეტყველებაში გადატანა. მართლწერის უნარ-ჩვევების განვითარება.

წერითი დავალებების თემატიკა გამომდინარეობს ამა თუ იმ თემის ლიტერატურული თუ ენობრივი ამოცანებიდან. მას ხშირად წინ უძღვის ზეპირი სავარჯიშოები, საკლასო წერით დავალებებთან და რუბრიკა „სახალისოსთან“ ერთად.

საკლასო სამუშაო რვეულის შესახებ, რომელიც სასწავლო კომპლექტის ერთ-ერთი ელემენტია. ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

9. შერეული აქტივობების რუბრიკა „სახალისო“

ამ რუბრიკაში გაერთიანდა მრავალფეროვანი, მართლაც, სახალისო სამუშაოები. შესწავლილ ნაწარმოებზე შექმნილი მულტფილმის ნახვა; როლური თამაშები; ბუნების დაცვითი წარწერა – მოწოდებების შექმნა; ლიტერატურული ზღაპრის ანალოგიით სახალისო დღესასწაულების გამოგონება; სასწავლო ტექსტის მაგალითზე უკუთხო და უკუნჭულო ქვეყნის დახატვა; იუმორისტული ტაქსტის – „გმირი ქვასანაყი კაკლის ომში“ – შედგენა; გამოცნობანას თამაში აღწერითი ტექსტის გამოყენებით და სხვ.

10. რვეული საკლასო სამუშაოებისათვის

საკლასო წერითი დავალებები

წერის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, დამოუკიდებლად წერისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო რვეულის იმ ნაწილს, რომელიც საკლასო მუშაობისთვისაა განკუთვნილი. საწერი თემატიკა მრავალფეროვანია. გადაწერის ამოცანა შენარჩუნებულია მხოლოდ პირველი ორი კვირის განმავლობაში, ყველა დანარჩენი სამუშაო ენობრივი ან ლიტერატურულია.

თუკი მოსწავლეებს არა აქვთ ამგვარი სამუშაოს შესრულების გამოცდილება, მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს შესაბამისი ინსტრუქცია. სხვა შემთხვევაში კი III კლასის მოსწავლე დამოუკიდებლად უნდა ასრულებდეს წერით სამუშაოს. წერითი სამუშაო სწორდება.

მოსწავლეები არა მარტო გაეცნობიან დაშვებულ შეცდომებს, არამედ ზეპირად გაიმეორებენ სწორ ვარიანტს. ენობრივი სავარჯიშოების სწორი ვარიანტი შეიძლება დაიწეროს დაფაზეც, რათა იგი უფრო თვალსაჩინო გახდეს.

საკლასო წერითი სამუშაოების თემატიკა: – სასვენი ნიშნების დასმა და გადაწერა; – წაკითხულის შინაარსი;

– სიტყვის შერჩევა და ჩასმა კონტექსტში;

– ენობრივი კონსტრუქციებისა და ფორმების გამოყენებით წინადადების შედგენა;

– წინადადების შევსება და დასრულება;

– ენობრივი ფორმების სწორად ჩასმა კონტექსტში; – კითხვის დასმა სიტყვებისათვის;

– დიალოგის შევსება;

– გამოტოვებული ფრაზების აღდგენა; – კითხვა-პასუხი;

– ტექსტის დალაგება შინაარსის თანმიმდევრობით; – ტექსტის გადაყვანა ერთი დროიდან მეორეში;

– ტექსტის გადაყვანა ერთი პირიდან სხვა პირში; – კომპოზიტების შედგენა და გამოყენება;

– მსგავი და საპირისპირო სიტყვების დაჯგუფება ან ჩასმა ტექსტში;

– სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების განმარტება კონტექსტის მიხედვით; – შეცდომების ჩასწორება ტექსტში;

– ნასწავლი მასალის გათვალისწინებით საინფორმაციო ტექსტის შედგენა; – მისალოცი ბარათის და სხვა საკომუნიკაციო ტექსტების შედგენა;

– ამბის გაგრძელება და დასრულება; – აღწერითი ტექსტის შედგენა;

– მოკლე შინაარსის გადმოცემა;

– მოცემულ თემაზე თხზულების დაწერა; – გეგმის მიხედვით თხზულების დაწერა.

სამუშაო რვეულის წერითი სამუშაოების ბლოკი სასწავლო კომპლექტის მნიშვნელოვანი ელემენტია და მისი გამოყენება აუცილებელია.

11. დამოუკიდებლად საკითხავი მასალა

დამოუკიდებლად საკითხავი მასალის მიზანია:

1. მოსწავლეში კითხვის მოტივაციის განვითარება;
2. დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება;
3. მიღწეული შედეგების დადგენა-შეფასება.

დამოუკიდებლად საკითხავი მასალის თემატიკა და ამოცანები საკმაოდ მრავალფეროვანია. ზოგ შემთხვევაში იგი თემატურად ეხმიანება გავლილ მასალას, ზოგჯერ კი მასთან დაკავშირებულია მიზნებისა და ამოცანების თვალსაზრისით.

ზოგადად ასე შეიძლება გადმოვცეთ თითოეული ტექსტის დამოუკიდებლად კითხვის მიზნები და ამოცანები:

1. „ჩემი თავგადასავალი“ – აკაკი წერეთელი – ავტობიოგრაფიული ტექსტის გაცნობა;

– ტექსტის შინაარსის გაგება;

– ავტორისა და მოქმედი გმირის იგივეობის დაფიქსირება; – კითხვებზე პასუხის გაცემა წერილობით;

– წაკითხული ტექსტის გათვალისწინებით საკუთარი გამოცდილების წერილობით გადმოცემა (გაიხსენე ერთი ამბავი შენი თავგადასავლიდან).

2. „მეჩონგურე“ – ხალხური. – ტექსტის შინაარსის გაგება;

– ჟანრისთვის დამახასიათებელი დეტალების დაფიქსირება; – ტექსტზე მუშაობის უნარის გამომუშავება;

– ზღაპრის დედააზრის გაგება.

3. „ხელმწიფე და ღარიბი კაცი“ – ხალხური.

– იგავური ტექსტის გაგებაზე ორიენტირებულ ტესტში სწორი პასუხის შერჩევა.

– ტექსტის შინაარსობრივ გეგმაზე მუშაობა.

4. „ხეები“ – გურამ პეტრიაშვილი.

– შემოქმედებითი წარმოსახვისა და ფანტაზიის განვითარება – ზღაპრის დასრულება;

– საკუთარი დამოკიდებულების წერილობით გადმოცემა; – აღწერითი დეტალების დაფიქსირება.

5. „მეკვლე“ – ნუნუ ლაღიძე

– ტექსტის შინაარსის გაგება;

– საკუთარი დამოკიდებულების წერილობით გადმოცემა; – ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება.

6. „კაცის ძალა“ – ხალხური. – ხალხური ზღაპრის გაცნობა; – ტექსტის შინაარსის გაგება;

– ჟანრისა და ელემენტარული ჟანრობრივი თავისებურებების დაფიქსირება;

– ლექსიკური სამუშაოს შესრულება – კონტექსტის გათვალისწინებით ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის დადგენა;

– ტექსტის მთავარი იდეის დაფიქსირება.

7. „ვახტანგ VI“ – იაკობ გოგებაშვილი – საინფორმაციო ტექსტის გაგება;

– მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოღება ტექსტიდან; – კითხვებზე პასუხის გაცემა.

8. „როგორ მოაჯადოვა ქონდრისკაცმა ნილსი“ – სელმა ლაგერლოფი. – ტექსტის შინაარსის გაგება;

– ლექსიკური სამუშაოს შესრულება – სიტყვებისა და გამონათქვამების განმარტება კონტექსტის მიხედვით;

– კითხვებზე პასუხის გაცემა წერილობით.

9. „როგორ დაიწყო ნილსისა და გარეული ბატების საოცარი მოგზაურობა“ – სელმა ლაგერლოფი.

– ტექსტის შინაარსის გაგება;

– კითხვებზე პასუხის გაცემა; – პერსონაჟის დახასიათება.

10. „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“ – ე. რასპე. – ტექსტის შინაარსის გაგება;

– საინფორმაციო და სათავგადასავლო ტექსტების განსხვავება; – სათაურისა და ქვესათაურის დაფიქსირება.

11. „ტომის ოინები“ – მარკ ტვენი. – ტექსტის შინაარსის გაგება;

– კითხვებზე პასუხის გაცემა;

– წარმოსახვის განვითარება: სავარაუდო გაგრძელების მოფიქრება. – ტექსტის ავტორისეული გაგრძელების გაცნობა;

– ნაწყვეტის თემის მიმართება სათაურთან; – პერსონაჟის საქციელის შეფასება;

– პერსონაჟის დახასიათება.

12. „როგორ დაიპყრო ადამიანმა ზღვა“. – ტექსტის შინაარსის გაგება;

– მთავარი ინფორმაციის დამახსოვრება; – სწორი პასუხების მოძიება ტესტში.

დამოუკიდებლად საკითხავ მასალასთან დართული სამუშაოები ითვალისწინებს მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითებს, სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამავე გაკვეთილზე მოხდება შესრულებული სამუშაოს კლასში განხილვა, ეს ხელს შეუწყობს მეტაკოგნიციის უმარტივესი და პირველადი ჩვევის ჩამოყალიბებას.

მასწავლებელი გადააშლევინებს შესაბამის გვერდს და მისცემს ინსტრუქციას – ყურადღებით წაიკითხონ ტექსტი და შეასრულონ ყველა დავალება. დავალების შესრულებისას შეუძლიათ მიუბრუნდნენ ტექსტს და დააზუსტონ პასუხები. მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს მუშაობის პროცესში.

ბოლო ათი წუთის განმავლობაში ხდება სამუშაოს შემოწმება.

მოსწავლეები კითხულობენ პასუხებს. სწორი პასუხი იწერება დაფაზე. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება – სწორი პასუხი გადაამოწმონ დაფაზე. თუ შეცდომა დაუშვეს, იგი გადახაზონ და შემოხაზონ სწორი პასუხი. ზოგ შემთხვევაში ტექსტს წავაკითხებთ რამდენიმე მოსწავლეს და ბავშვებთან ერთად ვიმსჯელებთ, რამდენად სწორად და სრულფასოვნად შესრულდა იგი.

დამოუკიდებლად საკითხავ მასალას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაში. ამდენად, იგი აუცილებელი ელემენტია სასწავლო პროცესში. იგი უეჭველად უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა.

12. დამოუკიდებლად საკითხავი მასალის შეფასება:ის ცხრილები

დავალება № 1

მოსწავლის გვარი, სახელი			კლასი	თარიღი
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით ღია ტესტის შევსება;			
2	ავტობიოგრაფიული ჟანრისთვის დამახასიათებელი ნიშნების დაფიქსირება;			
3	ტექსტის ეპიზოდებისა და დეტალების დაფიქსირება;			
4	ავტობიოგრაფიული ჟანრის მოკლე ეპიზოდური თხზულების დაწერა.			

მოსწავლემ შეძლო:

ა) ავტობიოგრაფიული ჟანრის დეტალებით დატვირთული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;

ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

გ) ნაწარმოებით მიღებული გამოცდილების გადატანა საკუთარ გამოცდილებაზე.

შენიშვნა

დავალება№2

მოსწავლის გვარი, სახელი			კლასი	თარიღი
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით ღია ტესტის შევსება;			
2	ზღაპრისთვის დამახასიათებელი ნიშნების დაფიქსირება;			
3	ტექსტის ეპიზოდებისა და დეტალების დაფიქსირება;			
4	ტექსტის მთავარი სათქმელის გააზრება;			
4	მითითებული ეპიზოდის ამოწერა			

მოსწავლემ შეძლო:

ა) დეტალებით დატვირთული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;
ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.
გ) შეძლო ზღაპრის ესთეტიკის დაფიქსირება.

შენიშვნა

დავალება №3

მოსწავლის გვარი, სახელი			კლასი	თარიღი
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით დახურული ტესტის შევსება;			
2	შეძლო იგავური ტექსტის მორალის დაფიქსირება;			
3	ტექსტის ეპიზოდებისა და დეტალების დაფიქსირება;			
4	ტექსტის გეგმაში გამოტოვებული პუნქტების შევსება			
4				

მოსწავლემ შეძლო:

ა) იგავური ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;
ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.
გ) ტექსტის თანმიმდევრობის დაფიქსირება

შენიშვნა

დავალება №4

მოსწავლის გვარი, სახელი			კლასი	თარიღი
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტიდან აღწერითი ტექსტის ამოწერა.			
2	ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით შემოქმედებითი თემების დაწერა;			
3	ზღაპრის განწყობის დაფიქსირება და საკუთარი დასასრულის შექმნა;			
	გამოავლინა ტექსტის აგებისა და აზრის წერილობით გადმოცემის უნარი			
4	თემაში გამოავლინა საწყისი ენობრივი კომპეტენცია.			

მოსწავლემ შეძლო:

ა) მაღალესთეტიკური ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;

ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

გ) გამოავლინა ფანტაზიისა და შემოქმედებითი აზროვნების უნარი;

დ) გამოავლინა შემოქმედებითი თემის წერის უნარი

შენიშვნა

დავალება №5

მოსწავლის გვარი, სახელი			კლასი	თარიღი
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით ღია ტესტის შევსება;			
2	ტექსტის ეპიზოდებისა და დეტალების დაფიქსირება;			
4	ტექსტის მთავარი სათქმელის გააზრება;			
4	მითითებული ეპიზოდის ამოწერა			

მოსწავლემ შეძლო:

ა. დეტალებით დატვირთული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;

ბ. ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

გ. შეძლო ტექსტის განწყობისა და იუმორის დაფიქსირება.

შენიშვნა

დავალება№6

მოსწავლის გვარი, სახელი			კლასი	თარიღი
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით ღია ტესტის შევსება;			
2	ზღაპრისთვის დამახასიათებელი ნიშნების დაფიქსირება;			
3	ტექსტის ეპიზოდებისა და დეტალების დაფიქსირება;			
4	ტექსტის მთავარი სათქმელის გააზრება;			
4	კითხვებზე წერილობით პასუხის გაცემა			

მოსწავლემ შეძლო:

ა) დეტალებით დატვირთული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;

ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

გ) შეძლო ზღაპრის იგავური დადააზრის გაგება.

შენიშვნა

დავალება№7

მოსწავლის გვარი, სახელი			კლასი	თარიღი
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	შინაარსის გათვალისწინებით ტექსტის ტიპის დადგენა			
2	საინფორმაციო ტექსტის გაგება			
3	ტექსტზე მუშაობა და კითხვებზე წერილობით პასუხის გაცემა			

მოსწავლემ შეძლო:

ა) საინფორმაციო ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;

ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

გ) მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაფიქსირება და გაანალიზება.

შენიშვნა

დავალება№ 8

მოსწავლის გვარი, სახელი			კლასი	თარიღი
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის გათვალისწინებით კითხვებზე პასუხის გაცემა			
2	სიტყვისა და იდიომატური გამონათქვამის განმარტება			
3	პერსონაჟის დახასიათება			
4	გამოავლინა ტექსტის აგებისა და აზრის წერილობით გადმოცენის უნარი			
5	თემაში გამოავლინა საწყისი ენობრივი კომპეტენცია.			

მოსწავლემ შეძლო:

ა) ლიტერატურული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;

ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

გ) ლიტერატურული ანალიზის ელემენტარული უნარის გამოვლენა

დ) წერითი მეტყველების უნარის გამოვლენა.

შენიშვნა

დავალება№9

მოსწავლის გვარი, სახელი			კლასი	თარიღი
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის გათვალისწინებით კითხვებზე პასუხის გაცემა;			
	გამოავლინა ტექსტში შესაბამისი ეპიზოდის დაფიქსირების უნარი;			
	მოკლე შინაარსის წერილობით გადმოცემის უნარი;			
	თემაში გამოავლინა საწყისი ენობრივი კომპეტენცია.			

მოსწავლემ შეძლო:

ა) ლიტერატურული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;

ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

გ) წერითი მეტყველების უნარის გამოვლენა.

შენიშვნა

დავალება№10

მოსწავლის გვარი, სახელი			კლასი	თარიღი
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	შეძლო კითხვებზე პასუხის გაცემა;			
2	საინფორმაციო დეტალების დაფიქსირება;			
3	ნაწარმოების სტრუქტურის გაგება;			
4	ნაწარმოების განწყობილების დაფიქსირება,			
მოსწავლემ შეძლო: ა) სპეციფიკური ლიტერატურული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა, გაგება და გააზრება; ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.				
შენიშვნა				

დავალება№11

მოსწავლის გვარი, სახელი			კლასი	თარიღი
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	კონტექსტის გათვალისწინებით ტექსტის გაგრძელება			
	პერსონაჟის დახასიათება			
მოსწავლემ შეძლო: ა)კლასიკური ლიტერატურული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა, გაგება და გააზრება; ბ)ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა. გ) შემოქმედებითი წერის უნარის გამოვლენა დ)წერითი მეტყველების უნარის გამოვლენა.				
შენიშვნა				

დავალება№12

მოსწავლის გვარი, სახელი			კლასი	თარიღი
	ინდიკატორები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს
1	ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით დახურული ტესტის შევსება.			
2	საინფორმაციო ტექსტის გაგება			

მოსწავლემ შეძლო:

ა) საინფორმაციო ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;

ბ) ყურადღების კონცენტრირება და კითხვის ტექნიკის გამოვლენა.

გ) მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაფიქსირება და გაანალიზება.

შენიშვნა

V. მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი

1. გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები

გაკვეთილის დაგეგმვა სასურველია გაკვეთილის გეგმის სქემის შედგენით დავიწყოთ.

ქვემოთ მოგვყავს გაკვეთილის გეგმის სტანდარტული სქემა. ამ სქემაში მოცემულია ყველა ის საკითხი, რაზედაც უნდა აიგოს გაკვეთილი. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს არის ჩონჩხი, რომელსაც უნდა შევასხათ ხორცი.

გაკვეთილის გეგმის სტანდარტული სქემა

მასწავლებელი	
გაკვეთილის ჩატარების თარიღი	
გაკვეთლის თემა	
სწავლების საფეხური და კლასი	
საგაკვეთილო დრო	
მოსწავლეთა რაოდენობა	
ინდ.სასწ. გეგმის არსებობა	
სასწავლო მიზნები	
ესგ-თი განსაზღვრული მისაღწევი შედეგები/ინდიკატორები	

გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები	
გაკვეთილის თანამიმდევრობა/ აქტივობები	
დავალება, დავალების შეფასება	
სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსები	
შეჯამება	
შეფასება	
თვითშეფასება	

გაკვეთილის კონსტრუირების მეორე საყრდენი ბურჯია გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები და მასალის წარდგენის ფაზები. ეს ფაზებია:

გამოწვევის ფაზა

I – მოტივაცია

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, საჭიროა კონკრეტულ თემასთან მიმართებით მასწავლებელმა შეარჩიოს შესაბამისი აქტივობა და მოიფიქროს, რა დამატებითი რესურსები შეიძლება გამოიყენოს. ამასთან ერთად, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, მის მიერ შერჩეული აქტივობები და დამატებითი რესურსები რამდენად შეუწყობს ხელს გარკვეული გამოცდილების საფუძველზე ახალი ინტერესების გაჩენასა და მოტივაციის ამაღლებას; რამდენად ემსახურება იგი მასალის უკეთ გააზრებას.

II – საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა

მასწავლებლის მიერ განსაზღვრული მიზნისა და მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, წინასწარ დაგეგმილი სამუშაოების მიზნისა და ამოცანის ნათლად განსაზღვრა და მოსწავლეებისათვის განმარტება.

სიღრმისეული წვდომის ფაზა

I – ძირითადი სასწავლო მასალის დამუშავება წინასწარ შერჩეული მეთოდებითა და აქტივობებით.

II – მოსწავლეების ორგანიზება სამუშაოს დამოუკიდებლად შესასრულებლად, ზუსტად განსაზღვრული აქტივობებითა და ნათელი, ცხადი ინსტრუქციით.

რეფლექსიის ფაზა

I – შესრულებული სამუშაოს შემოწმება და გასწორება წინასწარ დაგეგმილი მეთოდებითა და სამუშაოს ზუსტი ორგანიზებით.

II – საშინაო დავალების შემოწმება. შესრულებული სამუშაოს შეჯამება, შეფასება და თვითშეფასება.

შეჯამების ფაზა

შესრულებული სამუშაოების განმტკიცება-შეჯამება. საშინაო დავალების მიცემა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი მაინც გაკვეთილის მიზანზეა დამოკიდებული. ზოგიერთი გაკვეთილი შეიძლება იყოს ერთი დიდი ექსპერიმენტი, ან პროექტი. მაგალითად, ზღაპრის გათამაშება, თოჯინების თეატრის წარმოდგენა, ან კულინარიის დღე. მთავარი ის არის, რომ გაკვეთილის თემა აჩენს იდეას, მაგრამ იდეის განხორციელება უნდა დავიწყოთ სტანდარტთან მიმართებით; სტანდარტიდან გამომდინარე დავსახოთ მიზნები, მიზნებიდან გამომდინარე განვსაზღვროთ შედეგები, შედეგების მისაღწევად დავსახოთ სტრატეგიები, შევარჩიოთ მეთოდები და მეთოდების შესაბამისად განვახორციელოთ აქტივობები, აქტივობების შესაბამისად განვსაზღვროთ შეფასების კრიტერიუმები. მაგრამ ვიდრე ყოველივე ამას შევაფასებდეთ, უნდა განვსაზღვროთ ყველაზე მთავარი – რა ტიპის სწავლება უფრო წაადგება მოსწავლეს. თუ ჩვენ გვინდა მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის ჩატარება, ამისათვის ყველაზე მისაღებია კონსტრუქტივისტური მეთოდი, როდესაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს თავად ააგოს ცოდნის ლოგიკური ჯაჭვი, აღმოაჩინოს, დაადგინოს, განაზოგადოს და დასკვნა გამოიტანოს. ამგვარი გაკვეთილების ჩატარება ალბათ ძნელია, მით უმეტეს

დაწყებით კლასებში, სადაც სასწავლო რუტინას დიდი დრო მიაქვს. მაგრამ თუ გვინდა სწავლა სახალისო და შედეგიანი იყოს, სწორედ კონსტრუქტივისტური მეთოდი უნდა იყოს წარმმართველი.

2. გაკვეთილის გეგმა-სცენარის ნიმუში

საგანი	ქართული ენა და ლიტერატურა	
მასწავლებელი	. . . .	
საფეხური, კლასი	დაწყებითი საფეხური , მე-2 კლასი	
მოსწავლეები	. . . მოსწავლე, სსმ მოსწავლე . . .	
თემა	„ მაიას ყვავილები“	
აქტუალობა	მგრადი განვითარების პრინციპებთან ინტეგრირება; ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.	
სტანდარტთან შესაბამი-სობა	6; 1.6; 7.6; 7.12; 11; 12.4; 13.4; 13.3; 14.	
სასწავლო მიზანი	გამოავლინოს ტექსტზე მუშაობის უნარი; შეძლოს თანამშრომლობა; გაიაზროს პრობლემის საზოგადოებრივი მნიშვნელობა	
მოსალოდნელი შედეგები	შეძლო ტექსტის შინაარსის გაგება და დეტალების დაფიქ-სირება; შეძლო პერსონაჟთა ქცევის შეფასება და მთავარი იდეის გაგება; შეძლო ტექსტში დასმული პრობლემის საკუთარ გამოცდილე-ბასთან და საზოგადოებრივ პრობლემასთან დაკავშირება.	
მოსწავლის წინარე ცოდნა	იცის ტექსტზე მუშაობა; შეუძლია მისი ასაკისათვის შესაფერისი ნაწარმოების მთავარი სათქმელის გაგება; იცის აზრის გამოხატვა; იცის წერილობით მარტივი ამოცანის გადაჭრა; აქვს საწყისი სოციალური ცნობიერების; შეუძლია გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა.	
სასწავლო რესურსი	*სასწავლი ტექსტი* „მაიას ყვავილები“ წესებისა *შფასების ცხრილები:* ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტა-ციის შეფასება. *პლაკატის შესაქმნელი რესურსები:* ფორმატები; ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, მარკერები; სოციალური ქსელი; ინტერნეტ რესურსი: „სწორი კვების თეფში“ http://higia.ge/ka/liveWellDetailed/27/	

გაკვეთილის მსვლელობა / საკლასო მენეჯმენტი	გ ა კ ვ ე თ ი ლ ი #1		
	2.მთავარ პრობლემასთან დაკავშირებული გამოწვევის ფაზა; ა) ჩუმად წაიკითხეთ ტექსტი; ბ) უპასუხეთ შეკითხვებს: • მოგეწონათ თუ არა მოთხრობა? • რა არის ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი? ბ) თქვენც ხომ არ გაქვთ მსგავსი პრობლემა;	5 წთ	ორგანიზება- საკლასო
	3 პრობლემის გააზრების ეტაპი; 1. ***ჩავატაროთ პატარა კვლევა*** – ვინ როდის იძინებს; ავირჩიოთ დამხმარე ასისტენტები; ბავშვეს შევავსებინოთ ანკეტები – ვინ როდის იძინებს. ინსტრუქცია: პირველი გრაფაა ადრე(9-10 სთ); მეორე - ცოტა გვიან; (11 სთ) გვიან – (12სთ); იმის მიხედვით თქვენ რომელ საათზე იძინებთ შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ პლუსი. შემდეგ ასისიტებტებმა დათვალონ ვინ იძინებს დროულად; ვინ – ცოტა გვიან; ვინ – ძალიან გვიან. 2. ***შევადგინოთ დიაგრამა;*** შევავსოთ დაფაზე დაკრული დიაგრამა. (ვერტიკალში განლაგებულია პატარა კუბიკებისგან შენდგარი სამი სვეტი, რომლებსაც ქვეშ აწერია: ადრე, ცოტა გვიან, გვიან. მოსწავლეთა რაოდენიბის მიხედვით დავთვლით კუბიკებს და შესაბამის სიმაღლეზე შემოვხაზავთ სვეტს.) აღვნიშნოთ, რომელია მეტი, რომელი ნაკლები და რომელი – საშუალო. 2. ***ზეპირი გამოკითხვით დავადგინოთ, უფრო ხშირად ვინ რას აკეთებს ძილის წინ.*** გამოიკვეთება ძირითადად რამდენიმე ფაქტი. საკარაუდოდ: ა) ვუყურებ მულტფილმებს; ბ)ვთამაშობ კომპიუტერზე; გ) ვერთობი მობილური ტელეფონით; დ) წიგნს ვკითხულობ; ხელის აწევით შევამოწმოთ როგორ იქცევა უმრავლესობა. **საკლასო სამუშაო:** რვეულში შევასრულოთ დავალება: ძილის წინ.(2-3 წინადადებით გადმოვცეთ)	15წთ	
	4 სიღრმისეული წვდომის ფაზა: წავიკითხოთ ტექსტი: ძილი და ჯანმრთელობა.	3წთ	
	5. რეფლექსია 1. შევადგინოთ სამი ჯგუფი; 2. გავუნაწილოთ თემები:“რატომ უნდა დავიძინოთ ადრე“; როგორ დავიცვათ დღის რეჟიმი“; „როგორ უნდა მოვიქცეთ ძილის წინ“ 3. ვიმუშაოთ პლაკატებზე. დახატეთ ნახატი და მიუწერეთ: გაფრთხილება, დარიგება, მოწოდება. 4. გამოვაკრათ პლაკატები კლასში;	15წთ	ორგანიზება- ჯგუფური (3-4 ჯგუფი)
	6. მასწავლებელი გაკვეთილის შემდეგ პლაკატებს გადაუღებს ფოტოებს და განათავსებს სოციალურ ქსელში ან სკოლის საიტზე, რუბრიკით „ვსწავლობთ და ვასწავლით ჩვენს თანატოლებს“.		
	დავალების მიცემა. დაფაზე დაიწერება: სახელმძღვანელოდან საშინაო დავალება გვ 39.	2წთ.	

	გ ა კ ვ ე თ ი ლ ი #2		
	გამოწვევის ფაზა მასწავლეველი სვამს კითხვებს: რა დგას ჩვენს საკლასო ოთახში? რა კითხვა დაესმის თქვენ მიერ ჩამოთვლილ სიტყვებს? ვინ ზის პირველ მერხზე? ვინ დგას დაფასთან? რომელი კითხვა დავსვით ახლა? რა დასკვნა გამოვიტანოთ? - არის სიტყვები, რომლებსაც დაესმის კითხვები „ვინ?, „რა“. **სიღრმისეული წვდომის ფაზა:** წავიკითხოთ ენობრივი მასალა „არსებითი სახელი“ **განმტკიცების ფაზა** მუშაობა საკლასო სამუშაოების რვეულში #1 , #2. **საშინაო დავალების შემოწმება** სახლში შექმნილი პრეზენტაციების მოსმენა; **რეფლექსია** დაფაზე გაკრული T დიატრამის შევსება. სასრგებლო და არასასარგებლო საკვები.	5წთ 2წთ 5წთ 18წთ 5წთ	
	საშინაო დავალების მიცემა „მაიას ყვავილები“ - თხრობით	1წთ	
შეფასება	განმავითარებელი: ა) ჯგუფური მუშაობა; ბ) პრეზენტაცია	4წთ	შესაბამისი შეფასების ცხრილების გამოყენება.
უკუკავშირი	შესაბამისი კითხვარის შევსება		მოსწავლეებს ურიგდებათ შესაბამისი ცხრილები

7.რეფლექსია	ყურადღება მივაქციოთ ა) რამდენად ავლენს კლასი განსახილველი მასალისადმი ინტერესს; ბ) თუ ერთ-ორ მოსწავლეს გაუჭიდა სამუშაო პროცესში ჩართვა, რა მოვიმოქმედეთ პრობლემის დასაძლევად. ბ) რამდენად ორგანიზებულია სასწავლო პროცესი; გ) რას ვაქცევ ყურადღებას და რას ვაფასებ: სოციალური ცნობიერების განვითარებას; ჯგუფური მუშაობის სწორად წარმართვას; ინტერნეტ რესურსის აქტიურად და მიზანმიმართულად გამოყენებას; რამდენად ავლენენ პრეზენტაციის უნარს;		

რესურსები – შეფასების სქემები ცხრილები და დიაგრამები

უკუკავშირი

მოსწავლის გვარი სახელი კლასი					თარიღი
გაკვეთილის თემა	„მაიას ყვავილები“				
]					
ჩატარებული სამუშაოები	მომეწონა	ძალიან მომეწონა	შევასრულე სამუშაო	კარგად შეასრულე სამუშაო	გამიჭირდა სამუშაოს შესრულება
შევისწავლეთ ახალი ტექსტი					
ვიმუშავეთ თემაზე ძილი და ჯანმრთელობა					
ჩავატარეთ პატარა კვლევა					
შევქმენით პლაკატი					
სახლში მოვამზადეთ პრეზენტა-ცია ჯანსაღ კვებაზე.					
გამოვიყენეთ ინტერნეტი					

T დიაგრამა

ცხრილი სტატისტიკისათვის

სვეტში დავთვალოთ რაოდენობა და მთლიანად შემოვავლოთ ფერადი მარკერი შევადაროთ ერთმანეთს სვეტების სიდიდე და გამოვიტანოთ დასკვნა

ადრე		**ცოტა გვიან**		**გვიან**

გამოკითხვის ცხრილი

თითოეულმა დასვას პლუსი თავისი რეჟიმის გათვალისწინებით		
ადრე	ცოტა გვიან	გვიან

3. სცენარები

გაკვეთილების სცენარები:

„ფეფოს ახალწლისა“ (3 საათი)

გაკვეთილის სცენარი №1.

1. გამოწვევის ფაზა – 3 წთ.

• ჩვენ მიერ შესასწავლი მოთხრობის სათაურია „ფეფოს ახალწლისა“. როგორ ფიქრობთ, რას შეეხება ეს მოთხრობა?

– ახალი წლის ამბებს.

• ჯერ ახალ წლამდე დიდი დროა. რა თვეა ახლა? – სექტემბერი.

•გავიხსენოთ წელიწადის თვეები!

– იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

• როდის იწყება ახალი წელი? – პირველ იანვარს.

• რას უკავშირდება მოსწავლეებისათვის სექტემბერი? – სწავლის დაწყებას.

• მართალია, ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ახლა წავიკითხოთ და ვნახოთ, რა არის „ფეფოს ახალწლისა“.

2. სიღრმისეული წვდომა – 5 წთ.

1. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს.

2. მოსწავლეებს ავალებს დამოუკიდებლად ჩუმად წაკითხვას და მათთვის უცნობი სიტყვების ამოწერას.

უცნობი სიტყვების დამუშავება – 10 წთ.

- ვის შეუძლია განმიმარტოს ეს სიტყვა?
- ვის შეუძლია მოძებნოს სიტყვის სკივრში და წაიკითხოს ამ სიტყვის განმარტება?

კითხვის უნარის განმტკიცება – 10 წთ.

კითხვა გაგრძელებებით.

3. რეფლექსია – 10 წთ.

ა) მუშაობა კითხვებზე;

ბ) სასაუბრო.

საკლასო წერა – 10 წთ.

მასწავლებელი დაარიგებს სამუშაო რვეულებს, მიუთითებს შესასრულებელ სამუშაოს. ინსტრუქციის გაგების მიზნით მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- ვინ წაიკითხავს წერითი სამუშაოს ინსტრუქციას?
- ვინ გაიმეორებს, როგორ უნდა შეასრულოთ წერითი სამუშაო?
- ვინმესთვის გაუგებარი ხომ არ არის შესასრულებელი სამუშაო?

მასწავლებელი ბოლოს თავად წაუკითხავს მოსწავლეებს ინსტრუქციას და იწყებენ საკლასო სამუშაოს შესრულებას.

4. საშინაო დავალების მიცემა – 2 წთ.

„ფეფოს ახალწლისა“ – თხრობით. წერითი დავალება.

წერით დავალებასთან დაკავშირებით, სასურველია, მასწავლებელმა მოკლე ინსტრუქცია მისცეს ბავშვებს: თემა 4-5 წინადადებისგან უნდა შედგებოდეს. უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებს – ვის მინდა ვგავდე? რატომ მინდა მას ვგავდე? როგორ ვბაძავ? როცა გავიზრდები, რას გავაკეთებ, რომ მას დავემსგავსო?

გაკვეთილის სცენარი №2

1. გამოწვევის ფაზა – 2 წთ.

- გავიხსენოთ, რა ყოფილა ფეფოს ახალწლისა? – სექტემბერი.
- რა სიახლეს უკავშირდება მოსწავლეთათვის სექტემბერი? – ახალ სასწავლო წელს.
- ვინ მოგვითხრობს იმას, თუ რა გადახდა ფეფოს?

ნაწარმოების თხრობა – 13 წთ.

ჯერ მთლიანად თხრობა ერთი მოსწავლის მიერ, რათა მთლიანობაში გაიხსენონ ნაწარმოები, შემდეგ – გაგრძელებებით თხრობა.

2. სიღრმისეული წვდომა – 10 წთ. კითხვებზე პასუხის გაცემა;

მუშაობა გამონათქვამებზე – 7 წთ.

მოსწავლეები გაგრძელებებით კიდევ ერთხელ კითხულობენ ტექსტს. მასწავლებელი აჩერებს მოსწავლეს იმ წინადადებაზე, რომელშიც მოცემულია

გამონათქვამები: „ის დღე იყო და ის დღე“, „რა მადლი აქვს“, „პირდაპირ გულს უკლავდა“, „გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსა“, „წუთისოფელი მახეს დაუგებს“, „სალაპარაკო არ დაელევა“.

• თუ იცით, რას ნიშნავს ეს გამონათქვამები? „ ვინ იცის, რას ნიშნავს? და ა.შ.

დასასრულს, თავად აძლევს სრულყოფილ განმარტებას.

3. რეფლექსია – 3 წთ.

საკლასო სამუშაოს შესრულება №1

შემაჯამებელი მუშაობა – 10 წთ.

მასწავლებელი შეადგენს 5-6 კაციან ჯგუფებს. მისცემს მათ თითო-თითო ფურცელს და აძლევს დავალებას, სახელმძღვანელოში მოცემული გამონათქვამების გამოყენებით შეადგინონ წინადადებები და ჩამოწერონ ფურცელზე. შეუძლიათ ერთმანეთს დაეხმარონ, რჩევა მისცენ, შეუსწორონ, ან შეუ-

ვსონ წინადადებები. შემდეგ თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი კითხულობს ჯგუფის მიერ შედგენილ წინადადებებს. მოსწავლეებს შეუძლიათ ნასწავლი ტექსტითაც ისარგებლონ.

გაკვეთილის სცენარი №3

1. გამოწვევის ფაზა – 2 წთ.

• კიდევ ერთხელ გავიხსენოთ წელიწადის თვეები. „ ვინ იცის, რომელ თვეს ეძახიან ვარდობისთვეს? „ რომელ თვეს ეძახიან ღვინობისთვეს?

ძველად თვეებს სხვა სახელებიც ერქვა. სწორედ ამის შესახებაა საუბარი ჩვენს წიგნში

2. სიღრმისეული წვდომა

მუშაობა რუბრიკაზე „ეს საინტერესოა“ – 3 წთ.

წაიკითხეთ „ეს საინტერესოა“. ყურადღებით იმუშავეთ, თქვენ უნდა შეძლოთ კითხვებზე პასუხის გაცემა. დრო გაქვთ სამი წუთი.

შემაჯამებელი მუშაობა – 8 წთ.

• რის მიხედვით არქმევდნენ ძველად თვეებს სახელებს?
• რატომ დაურქმევიათ მაისისთვის ვარდობისთვე?
• რატომ დაურქმევიათ ივნისისთვის თიბათვე?
• რატომ დაურქმევიათ ივლისისთვის მკათათვე?
• რატომ ჰქვია ოქტომბერს ღვინობისთვე?
• აგვისტოს მარიამობის თვესაც ეძახიან; ვინ მიხვდება, რატომ?
• ნოემბერს გიორგობისთვესაც ეძახიან; ვინ იცის, რატომ?

ენობრივ სავარჯიშოზე მუშაობა – საკლასო სამუშაო №2

(თავისი – თავიანთი) – 10 წთ. რა სიტყვებს ვაქცევთ ყურადღებას? – თავისი, თავიანთი.წერითი დავალების შესრულების შემდეგ, სასურველია, ზეპირი სავარჯიშოების შესრულებაც:

– გიორგიმ მოიტანა თავისი ფანქრები. – მოსწავლეებმა მოიტანეს . . .
– ნინომ მაჩვენა თავისი თოჯინა.
– გოგოებმა მაჩვენეს . . .
– კოტემ ჩამაბარა თავისი რვეული. – მოსწავლეებმა ჩამაბარეს . . .

3. რეფლექსია – დავფიქრდეთ წაკითხულის შესახებ – 10 წთ.

შემოხაზე სიტყვები, რომლებიც, შენი აზრით, ფეფოს შეეფერება.

მოსწავლეები დამოუკიდებლად ასრულებენ დავალებას, შემდეგ კი მსჯელობენ, რატომ შემოხაზეს ან არ შემოხაზეს ესა თუ ის სიტყვა.

შემდეგ მოსწავლეები პასუხს სცემენ კითხვებს:

ვინ არის ჩვენ მიერ შესწავლილი მოთხრობის გმირი? რატომ ჰქვია ამ მოთხრობას „ფეფოს ახალწლისა“. თქვენი აზრით, როგორი გოგოა ფეფო?

საკლასო წერა №3 – 10 წთ.

წერითი დავალება – 2 წთ.

სასურველია, მასწავლებელმა წერით დავალებასთან დაკავშირებით მოკლე ინსტრუქცია მისცეს ბავშვებს:

• გავიხსენოთ, რომელი სიტყვები ავარჩიეთ პეპოს დასახასითებლად. მის გათვალისწინებით დაწერეთ: როგორი გოგოა ფეფო.

გიმნაზიაში (3 საათი)

გაკვეთილის სცენარი №4

1. გამოწვევის ფაზა – 3 წთ.

– დღეს ჩვენ უნდა შევისწავლოთ მოთხრობა, რომლის სათაურია „გიმნაზიაში“. როგორ ფიქრობთ, რაზე იქნება ეს მოთხრობა, რა არის გიმნაზია?

– გიმნაზია იგივე სკოლაა, სასწავლებელია.
– როგორ ფიქრობთ, სად უნდა ხდებოდეს მოთხრობაში აღწერილი ამბავი?
– გიმნაზიაში, სკოლაში.
– ახლა ვნახოთ, ვინ არის ამ მოთხრობის მთავარი გმირი? წავიკითხოთ მოთხრობა.

2. სიღრმისეული წვდომა – 3 წთ.
მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს მოთხრობას.
ტექსტის ლექსიკური დამუშავება – 12 წთ.

მოსწავლეები გაგრძელებებითა და პაუზებით კითხულობენ ტექსტს. მასწავლებელი პაუზას აკეთებინებს იმ წინადადებაზე, სადაც განსამარტავი სიტყვაა მოცემული. ჯერ მოსწავლეებს სთხოვს, განმარტონ ამ სიტყვის მნიშვნელობა, შემდეგ პოულობენ მას სიტყვის სკივრში და კითხულობენ განმარტებას.

შემაჯამებელი ლექსიკური სამუშაო – 10 წთ.

1. მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, შეასრულონ ლექსიკური სავარჯიშო: – განმარტე, რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვები. მოსწავლეები თითო-თითო წინადადებას კითხულობენ და განმარტავენ ხაზგასმულ სიტყვას. თუ მოსწავლემ არასწორად ან არაზუსტად განმარტა სიტყვა, მასწავლებელი ისევ მოსწავლეებს მიმართავს, შეავსონ ან განმარტების ახალი ვერსია წარმოადგინონ. ბოლოს, მასწავლებელი მხოლოდ იმეორებს დაზუსტებულ განმარტებას, რათა წარმოდგენილი ვერსიებიდან სწორ ვარიანტზე გამახვილდეს ყურადღება.

ამავე მიზნით კიდევ ერთხელ წაიკითხავენ ყველა წინადადებას და დააფიქსირებენ განმარტებებს.

3. რეფლექსია

2. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, შეასრულონ მეორე ლექსიკური სავარჯიშო: მოძებნეთ მოთხრობაში მსგავსი გამონათქვამები: მაშინღა შესულიყო, თავისთვის ჩაიცინა, სიკეთეს არ მომიტანს.

მოსწავლეები დამოუკიდებლად ასრულებენ დავალებას. შეიძლება რიგრიგობით თითო გამონათქვამი წაიკითხონ, შეიძლება წყვილებად იმუშაონ და მსგავსი გამონათქვამები ფურცელზე ამოწერონ.

საშინაო დავალების მიცემა– ამ მოთხრობის მოკლე შინაარსის თხრობა.

გაკვეთილის სცენარი №5

1. გამოწვევის ფაზა

აკაკიმ შეგნებულად დაარღვია წესრიგი, თუ შემთხვევით აღმოჩნდა ამ სიტუაციაში?

– შემთხვევით აღმოჩნდა ამ სიტუაციაში.

– რა დავარქვათ ამგვარ სიტუაციაში შემთხვევით აღმოჩენას? – უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნა.

სასაუბრო თემატიკაზე მუშაობა – 5 წთ.

– შენ თუ აღმოჩენილხარ გაკვეთილზე უხერხულ მდგომარეობაში?

– თუ ჩაგიდენია ისეთი რამ, რის გამოც შენიშვნა დაიმსახურე?

მუშაობა რუბრიკაზე „სასაუბრო“ – 10 წთ.

– ახლა გავიხსენოთ მოთხრობის ის მონაკვეთი, რომელშიც მასწავლებელმა იხსნა აკაკი.

– აკაკი წერეთელი დაწვრილებით არ მოგვითხრობს, როგორ უპასუხა ყველა შეკითხვას. მაგალითად: როგორ თესავენ სიმინდს? რანაირად იზრდება? როგორ მუშაობენ? როგორ აკეთებენ მჭადს? რას უპასუხებდა. აკაკი? შევეცადოთ, ჩვენ გავცეთ ამ კითხვებს პასუხები. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით გასცემენ პასუხებს ამ კითხვებს.

• ახლა გავითამაშოთ მასწავლებლობანა.

„მასწავლებელმა“ ისეთივე კითხვები უნდა დაუსვას „მოსწავლეს“ ხორბლის შესახებ, როგორსაც მოთხრობაში სვამს მასწავლებელი. მოსწავლე კი გასცემს პასუხებს. კლასი ყურადღებით უსმენს.

• არასწორი ან არასრული პასუხის შემთხვევაში ერთ-ერთი დაეხმარება მოსწავლეს.

2. სიღრმისეული წვდომა

მუშაობა ტექსტის გეგმაზე – 10 წთ.

• მოთხრობის რომელი მონაკვეთი გავიხსენეთ მასწავლებლობანას გათამაშების დროს?

– მონაკვეთი, რომელშიც მასწავლებელმა იხსნა აკაკი წერეთელი.

• რა სათაური შეიძლება შევურჩიოთ ამ მონაკვეთს?

– მასწავლებელმა იხსნა აკაკი.

• მოთხრობა შეიძლება მონაკვეთებად დავყოთ და თითოეულ მონაკვეთს სათაურიც შევურჩიოთ. ახლა წავიკითხოთ, როგორ შეიძლება დაიყოს ეს მოთხრობა მონაკვეთებად და დასათაურდეს.

სასურველია გეგმა დაფაზეც ეწეროს, ან თაბახზე მსხვილი შრიფტით დაწერილი გამოვაკრათ.

3. რეფლექსია

შემაჯამებელი მუშაობა – 3 წთ.

მოსწავლეები რიგრიგობით კითხულობენ გეგმის სათაურების შესაბამის მონაკვეთებს (ეპიზოდებს).

თუ მოსწავლე კითხვისას გადავიდა შემდეგ მონაკვეთზე, მასწავლებელი შეაჩერებს და ჰკითხავს: – ჩახედე დასათაურებას. რომელი ახალი ამბავი იწყება ამ მონაკვეთიდან?

საკლასო წერა – 10 წთ.

4. საშინაო დავალების მიცემა – 2 წთ.

შემდეგი გაკვეთილისთვის უნდა შეგეძლოთ გეგმის სათაურების მიხედვით მოთხრობის მონაკვეთების თხრობა.

გაკვეთილის სცენარი №6

გავლილი მასალის გამეორება – 10 წთ.

მასწავლებელი რიგრიგობით მოათხრობინებს გეგმაში გამოყოფილ მონაკვეთებს და ასე შეიკვრება მთელი მოთხრობა.

1. გამოწვევის ფაზა – 5 წთ.

- ვინ გვიამბობს ამ ამბავს? – აკაკი წერეთელი.
- ვის შესახებ ჰყვება იგი? – თავის თავზე.
- ამოვიკითხოთ მოთხრობის დასაწყისიდან, როგორ ახსენებს იგი თავის თავს?

– „მე რადგან დილას არა მეჭამა რა, შინ შევირბინე“.

- რა სიტყვით აღნიშნა აკაკიმ ის, რომ თავის თავზე საუბრობს? – სიტყვით მე.
- გამოიყენეთ ეს სიტყვა და მიპასუხეთ შემდეგ კითხვებზე: • ვინ იცის გაკვეთილი?

– მე ვიცი გაკვეთილი.

- ვინ არის დღეს მორიგე? – მე დღეს მორიგე ვარ.
- ახლა აღვნიშნოთ, პასუხის გაცემისას ვის შესახებ საუბრობდნენ (დავუშვათ გიორგი და ნინო) მოსწავლეები?

– საკუთარ თავზე.

- რა სიტყვას იყენებდნენ?

– სიტყვას მე.

- ახლა გამოვიდეს ორი მოსწავლე. ერთმა მითხრას, რომელ კლასში სწავლობს, გამოიყენოს ჩვენთვის ნაცნობი სიტყვა მე. ასევე ჰკითხოს მოსაუბრეს, რომელ კლასში სწავლობს ის.

– მე მესამე კლასელი ვარ. შენ რომელ კლასში სწავლობ? – მეც მესამე კლასელი ვარ.

- ახლა სახელი და გვარი დაასახელე და მოსაუბრესაც ჰკითხე. – მე ნინო აბაშიძე ვარ. შენ რა გქვია?

– მე გიორგი მაჩაბელი ვარ.

- რა სიტყვა გამოიყენა ნინომ, როცა თანამოსაუბრეს მიმართა? – სიტყვა შენ.
- ახლა ჰკითხე გიორგის მისი მეგობარი თამუნას შესახებ, რომელ კლასშია იგი?

– რომელ კლასში სწავლობს შენი მეგობარი თამუნა? – თამუნა მესამე კლასელია.

- თამუნას ნაცვლად სხვა სიტყვა რომ გამოვიყენოთ, როგორ იტყვი? – ის მესამე კლასში სწავლობს.
- ახლა მიპასუხეთ, ამ სამი სიტყვიდან – მე, შენ ის (მასწავლებელი ამ სიტყვებს დაფაზე წერს) როდის რომელ სიტყვას ვიყენებთ?

– მე-ს, როცა საკუთარ თავზე ვსაუბრობთ.

– სიტყვას – შენ, როცა მოსაუბრეს მივმართავთ. – სიტყვას ის, როცა სხვაზე ვლაპარაკობთ.

2. სიღრმისეული წვდომა

მუშაობა ენობრივ მასალაზე „ნაცვალსახელი“ – 13 წთ.

1. მასწავლებელი ხსნის რუბრიკაში „დაიმახსოვრე“ მოცემულ მასალას.
2. მოსწავლეებს წააკითხებს ამ ენობრივ მასალას.

3. დასვამს კითხვებს:
• რომელია პირველი პირის ნაცვალსახელი?
• როდის ვიყენებთ პირველი პირის ნაცვალსახელს? რომელია მეორე პირის ნაცვალსახელი?
• როდის ვიყენებთ მეორე პირის ნაცვალსახელს? რომელია მესამე პირის ნაცვალსახელი?
• როდის ვიყენებთ მესამე პირის ნაცვალსახელს?

3. რეფლექსია
განსამტკიცებელი მუშაობა – 5 წთ.

მასწავლებელი ზეპირად შეასრულებინებს მოსწავლეებს №1 და №2 სავარჯიშოებს. ასევე დამატებით თავად მისცემს ანალოგიურ ზეპირ მასალას (სხვა ზმნებს).

საკლასო წერა – 10 წთ.
საშინაო დავალების მიცემა – 2 წთ.
წერითი დავალება.

პატარა მოგონებები დიდ მწერალზე
თემა: მოგონებები აკაკი წერეთელზე. 2 საათი
გაკვეთილის სცენარი №7 „წარწერა წიგნზე", „სიკეთის ძალა"
1. გამოწვევის ფაზა – 3 წთ
– ჩვენ ახლახან ვისწავლეთ აკაკი წერეთლის „მგელი და კრავი", „გაზაფხული". თუ გახსოვთ, კიდევ რა შევისწავლეთ?
* გიმნაზიაში.
– გავიხსენოთ, ვინ არის ამ მოთხობის მთავარი გმირი? * აკაკი წერეთელი
– ვინ არის ამ მოთხრობის ავტორი? * აკაკი წერეთელი.
– ეს რაზე მიგვანიშნებს?
* მწერალი წერს თავისი ცხოვრების შესახებ. – რომელ პირში ჰყვება მწერალი ამბავს?
– შეგახსენებთ, ამგვარ ნაწარმოებს ბიოგრაფიული ჰქვია. იმ ვრცელ მოთხრობას, საიდანაც თქვენ მიერ შესწავლილი ნაწყვეტია ამოღებული ჰქვია „ჩემი თავგადასავალი".
– ახლა გავეცნოთ კიდევ რამდენიმე ეპიზოდს აკაკი წერეთლის ცხოვრებიდან.
2. სიღრმისეული წვდომა
I. ტექსტზე მუშაობა – 15 წთ.
– ყველანი ჩუმად, თქვენთვის წაიკითხავთ ტექსტს „წარწერა წიგნზე". შემდეგ კი მიპასუხებთ შეკითხვებზე.
(მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს)
– რა არის ამ მოგონებაში საინტერესო?
* ის, თუ როგორი წარწერა გაუკეთა აკაკიმ წიგნს.
– ვინ ჰყვება ამ ამბავს თავად აკაკი თუ სხვა მის შესახებ? * სხვა ჰყვება აკაკის შესახებ.
– ეს სხვა აკაკის თანამედროვეა. იგი ან მომსწრე დამნახველია ამ ამბისა, ან მაშინვე გაუგონია ეს ამბავი აკაკის ახლობლებისაგან. მოგვიანებით კი ამ ამბავს გაიხსენებს, მოიგონებს.
– მოდით კიდევ ერთხელ წავიკითხოთ ამ პატარა ამბების საერთო სათაური. * პატარა მოგონებები დიდ მწერალზე.
– როგორ ფიქრობთ, რა ჰქვია ამგვარ ამბებს? * მოგონებები.
– ახლა ვნახოთ, როგორ გავიგეთ ტექსტი. როგორ ფიქრობთ, რას გვასწავლის ისტორიის სახელმძღვანელო?
* ძველ ამბებს მეფეთა და ომების შესახებ.
– ამ ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, რომელი ქვეყნის ისტორია იყო ამ სახელმძღვანელოში მოთხრობილი?
* საქართველოსი.
– რას გვასწავლის წიგნზე გაკეთებული წარწერა?
* უნდა გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, უნდა ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ისტორია.

– ეს წარწერა მარტო პატარა დათიკოსთვის იყო მნიშვნელოვანი, თუ დღეს ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ?

* ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ.

– სწორედ ამიტომ ინახება სახლ-მუზეუმში. სად არის აკაკის სახლ-მუზეუმი?

* სხვიტორში.

– რატომ მაინცდამაინც სხვიტორში?

* იმიტომ, რომ აკაკი წერეთლის მშობლიური სიფელია.

– კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ბოლო წინადადება. დააკვირდით, ყველა სიტყვის მნიშვნელობა იცით თუ არა. გამოიყენეთ „სიტყვის სკივრიც“.

– რას ნიშნავს რელიკვია?

* რელიკვია არის ძველი მნიშვნელოვანი სამახსოვრო ნივთი.

(შეიძლება საუბარი სკოლაში არსებულ რელიკვიაზე, თუ ასეთი არსებობს).

II. ტექსტზე მუშაობა – 15 წთ.

– ახლა წაიკითხეთ „სიკეთის ძალა“. (მოსწავლეები წაიკითხავენ ტექსტს).

– რა შეემთხვა ერთხელ ქუჩაში აკაკის? – ვინ დააკავა ჯიბგირი?

– რა უთხრა აკაკიმ ჯიბგირს? – რა იფიქრა პოლიციელმა?

– მართლა შეხუმრებული ნაცნობი იყო ეს კაცი აკაკისა? – რატომ იცრუა აკაკიმ?

– რა გავლენა მოახდინა აკაკის საქციელმა ქურდზე? – რატომ ჰქვია ამ ამბავს „სიკეთის ძალა“?

3. რეფლექსია

სახალისო სამუშაო – 12 წთ.

ვაჩვენოთ ბავშვებს სხვადასხვა შინაარსის წიგნები: მხატვრული ლიტერატურა, საბავშვო ენციკლოპედია, საინფორმაციო-შემეცნებითი კრებული (მაგ.: მსოფლიოს შვიდი საოცრება), სახელმძღვანელო და სხვა. ყურადღება გავამახვილებინოთ ყდაზე, ავტორზე, მხატვარზე, გამომცემლობაზე, გამოცემის თარიღსა და სარჩევზე.

შემდეგ შევადგინოთ ოთხკაციანი ჯგუფები, დავურიგოთ მათ თითო-თითო სხვადასხვა ტიპის წიგნი და კითხვარი. ვთხოვოთ, ყურადღებით დაათვალიერონ წიგნები და შეავსონ კითხვარი.

სავარაუდო კითხვები:

1. რა ჰქვია თქვენს წიგნს? 2. ვინ არის ავტორი?

3. ვინ არის მხატვარი?

4. რომელმა გამომცემლობამ გამოსცა იგი?

5. რაზე მიგვანიშნებს სარჩევი – წიგნში სხვადასხვა პატარა ამბებია მოცემული, სხვადასხვა ცნობები და ინფორმაციები თუ ერთი დიდი ნაწარმოების ქვეთავებია ჩამოთვლილი?

6. რა ხატია ყდაზე?

7. ვიდრე გადაშლიდით, როცა ყდა ნახეთ, რა შეიტყვეთ ამ წიგნის შესახებ?

8. მოგწონთ თუ არა ეს წიგნი და რატომ?

(თითოეული კითხვის შემდეგ დატოვეთ ცარიელი სტრიქონი პასუხის ჩასაწერად)

ბოლოს გავაცნოთ მოსწავლეებს თითოეული ჯგუფის ნამუშევარი.

საკლასო სამუშაო №1,2.

გაკვეთილის სცენარი № 8

„აკაკი და ჭირვეული ბიჭი“, „აკაკის სახლი“

I. ტექსტზე მუშაობა

1. გამოწვევის ფაზა – 5 წთ.

– დააკვირდით ფოტოს და აღწერეთ, რა არის ზედ გამოსახული. * . . . . .

– აკაკი ძალიან უყვარდა ყველას. იგი ყველა ოჯახში სასურველი სტუმარი იყო. დიდი პოეტი გამოირჩეოდა მოსწრებული სიტყვა-პასუხით და ენაკვიმატობით. ამიტომ უამრავი მოგონება შემოგვრჩა, სადაც ხალხი ამგვარ ამბებს იხსენებს. მოდით წავიკითხოთ „ჭირვეული ბიჭი და აკაკი წერეთელი“. (მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს).

– რით არის ეს მოგონება საინტერესო?

– იგი სახალისოა. ჩანს აკაკის ენამახვილობა.

2. სიღრმისეული წვდომა – 10 წთ.

II. ტექსტზე მუშაობა

– აკაკის სახლი მნიშვნელოვანია ქართველი ხალხისათვის. თუ იცით, როგორ მუზეუმს ჰქვია სახლ-მუზეუმი? დიდი პიროვნების სახლს, სადაც მადლიერმა ხალხმა მუზეუმი გახსნა. შთამომავლობას შეუნახა სხვადასხვა ნივთი, მისი ცხოვრების ამსახველი ფოტოები და სხვა მრავალი რამ. ეს ყველაფერი მოვლილია, თვალსაჩინოდ გამოფენილი, რათა მნახველმა დაათვალიეროს. გავისხენოთ სად არის აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი.

* სხვიტორში

– აი, რა თქვა ერთმა ქალბატონმა აკაკის სახლის შესახებ. (მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს).

– როგორი ყოფილა აკაკის სახლი?

* პირდაპირ კლდეზე ამოშენებული, ძალიან მყარი. მას ბზარი ვერაფერმა გაუჩინა.

– წაიკითხეთ ტექსტიდან, რატომ ვერ გაუჩენს დროთა ცვლა ბზარს აკაკის შემოქმედებას.

* მისი შემოქმედება პირდაპირ ხალხის გულიდანაა აღმოცენებული.

– როგორ გავიგოთ – აკაკის შემოქმედება პირდაპირ ხალხის გულიდანაა აღმოცენებული. ეს იმას ნიშნავს, რომ აკაკი წერდა იმაზე, რაზედაც ხალხი ფიქრობდა, რასაც განიცდიდა. იგი ხალხის უსაყვარლესი პოეტია.

3. რეფლექსია

შემაჯამებელი სამუშაო – 10 წთ.

სახელმძღვანელოში მოცემული კითხვების დამუშავება.

სახალისო სამუშაო – 20 წთ.

დავარიგოთ ფურცლები, რომლებსაც აწერია „პატარა მოგონება ჩემს ახლობელ ადამიანზე“.

მოსწავლეებს ვთხოვოთ, ერთი ძალიან პატარა ამბავი გაიხსენონ თავის ახლობელ ადამიანზე – დედაზე, მამაზე, დაზე, ძმაზე, მეგობარზე, ბებიასა თუ ბაბუაზე.

ამბავი დაიწყეთ სიტყვით „ერთხელ“. ეს სიტყვა მოგონებას უხდება, იგი მიგვანიშნებს, რომ ადრე როდისღაც მოხდა ეს ამბავი.

შევაგროვოთ დაწერილი თემები. მეორე დღეს აღვნიშნოთ, ვისი მოგონება რით იყო საინტერესო და ზოგიერთი მათგანი წავიკითხოთ.

საკლასო სამუშაო №3.

„მესერი“ – 3 საათი

გაკვეთილის სცენარი № 9

1. გამოწვევის ფაზა – 3 წთ.

– დავაკვირდეთ მოთხრობის ილუსტრაციას, ვივარაუდოთ, რაზე შეიძლება იყოს ეს მოთხრობა, ვინ არიან მისი პერსონაჟები.

2. სიღრმისეული წვდომა

ტექსტზე მუშაობა – I ეპიზოდი – 7 წთ.

– წავიკითხოთ მოთხრობის პირველი ეპიზოდი და ამოვწეროთ ის ადგილები, რომლებიც პერსონაჟის განწყობილებასა და საქმისადმი დამოკიდებულებას გადმოგვცემს.

სამუშაოს შეჯამება – 10 წთ.

– წავიკითხოთ ამოწერილი ფრაზები. შეცდომის შემთხვევაში მოსწავლეებს მივცეთ მსჯელობის საშუალება. გამოვრიცხოთ ზედმეტი ფრაზები. დაფაზე დაიწეროს სწორი ვერსია.

ტექსტზე მუშაობა – II ეპიზოდი – 10 წთ.

– წავიკითხოთ ტექსტის მეორე ეპიზოდი. გამოვიჩინოთ ყურადღება, რადგან ერთმანეთს უნდა დაუსვათ შეკითხვები და გასცეთ პასუხები.

– ვმუშაობთ წყვილებად, პირველ რიგში მსხდომი მოსწავლეები ჩამოწერენ სამ შეკითხვას მოცემული ეპიზოდის შინაარსის გათვალისწინებით. მათი მეწყვილეები კი წერილობით გასცემენ პასუხს.

3. რეფლექსია

შემაჯამებელი სამუშაო – 7 წთ.

– წავიკითხოთ თითო-თითო შეკითხვა და მისი შესაბამისი პასუხი. რამდენიმე ვარიანტის წაკითხვის შემდეგ გავარკვიოთ, ვინმეს ისეთი შეკითხვა ხომ არ აქვს დაწერილი, რაც ჯერ არ წაგვიკითხავს.

ეპიზოდების გამთლიანება – 8 წთ.

– გავიხსენოთ: რა დაავალეს ტომს? როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ტომი საქმისადმი?

როგორ ცდილობს ტომი, საქმე სხვას გადააბაროს? რითი უნდა ჯიმი აცდუნოს? რატომ ვერ დაიხ-მარა ტომმა ჯიმი?

– კიდევ ერთხელ გადახედეთ ორივე ეპიზოდს. შეეცადეთ, დაიმახსოვროთ და მიამბოთ;

– ეპიზოდებად თხრობა;

– მოსწავლეებს ვეკითხებით, რაიმე ხომ არ გამოტოვეს თხრობისას.

საკლასო წერითი სამუშაო №1, 2; 7 წთ.

– დავარიგებთ რვეულებს;

– მივუთითებთ შესასრულებელ სამუშაოს;

– ერთ-ერთ მოსწავლეს წავაკითხებთ ინსტრუქციას;

– მეორე მოსწავლე განმარტავს, როგორ უნდა იმუშაონ წერით დავალებაზე; – მასწავლებელი კიდევ ერთხელ გაიმეორებს ინსტრუქციას.

სამუშაოს შეჯამება – 3 წთ.

– ამ წერითი სამუშაოს შეჯამება შეიძლება მოხდეს იმავე დღეს; – მოსწავლეები თავად ასწორე-ბენ შეცდომებს;

– მოსწავლე კითხულობს ერთ პუნქტს, სხვები თავიანთ რვეულებში ამოწმებენ. თუ მოსწავლემ არასწორი პასუხი გასცა, მაშინ სხვა ვერსიაც განიხილება;

– ყოველი განხილული წინადადება იწერება დაფაზე;

– ვისაც შეცდომა აქვს დაშვებული, წერს შეცდომების გასწორებას, მათ ეხმარებიან მოსწავლეები, ვისაც არც ერთი შეცდომა არ დაუშვია.

მუშაობა სავარჯიშოზე № 1 და №2 – 4 წთ.

– №2 სამუშაო შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურადაც, წყვილებშიც და ჯგუფებშიც;

– მოსწავლეებს ეძლევათ განსაზღვრული დრო;

– შემდეგ გახმოვანდება თითოეული მაგალითი.

4. საშინაო დავალება – 1 წთ.

– „მესერის“ პირველი ორი ეპიზოდი თხრობით; – სახლში დახატეთ ჯიმი და ტომი.

გაკვეთილის სცენარი № 10

წინა მასალის გამოკითხვა – 5 წთ.

– თხრობა ეპიზოდებად;

– ნახატების პრეზენტაცია.

1. გამოწვევის ფაზა – 4 წთ.

– ისევ დავაკვირდეთ ილუსტრაციას, მიხვდით თუ არა წაკითხული ეპიზოდის მიხედვით, რა ხდება ამ სურათზე. გავაგრძელოთ კითხვა. ყურადღებით წაიკითხეთ მესამე ეპიზოდი. დააკვირდით მოქმედ პერსონაჟებს, მათ საქციელს, თქვენ მოგიწევთ მათ შესახებ მსჯელობა.

2. სიღრმისეული წვდომა

ტექსტზე მუშაობა – 5 წთ.

– წავიკითხოთ ტექსტი. შემდეგ ვიმუშაოთ წყვილებად. თქვენი შეთანხმების მიხედვით ერთი დაწერს, როგორ იქცევა ტომი, მეორე – როგორ იქცევა ბენ როჯერსი. შემდეგ გაცვლით ნაწერებს, წაიკითხავთ ერთმანეთის ნაწერს, ურთიერთშეთანხმებით შეავსებთ ან ჩაასწორებთ მას.

შემაჯამებელი სამუშაო – 5 წთ.

– რამდენიმე მოსწავლე წაიკითხავს შესრულებულ დავალებას; – სხვები შეავსებენ ან შესწორე-ბებს შეიტანენ;

– კლასი ამოარჩევს საუკეთესო ვარიანტებს;

– აღწერეთ სურათი და ახსენით, ვინ არიან მასზე გამოხატული;

ტექსტზე მუშაობა – 8 წთ.

– წავიკითხოთ მეოთხე ეპიზოდი. შემდეგ ვიმუშაოთ ჯგუფებში. თქვენ შეთანხმდებით, თუ თქვენი წარმოდგენითა და ტექსტზე დაყრდნობით როგორ შეავსოთ ამბავი. შეადგინეთ დიალოგი.

3. რეფლექსია

შემაჯამებელი სამუშაო – 5 წთ.

– თითოეული ჯგუფი წაიკითხავს საკუთარ ნამუშევარს;

– მოსწავლეები ამოირჩევენ, რომელი ვარიანტი უფრო საინტერესოა.

ეპიზოდების გამთლიანება – 7 წთ.
– ტექსტის ბოლოს დასმულ კითხვებზე მუშაობა; – მსჯელობა ტომის საქციელზე.
სავარჯიშოებზე მუშაობა – 5 წთ.
სავარჯიშო № 2, № 4 – ორივე სავარჯიშო მიმართულია ტექსტის გაგება-გაანალიზებაზე.
– მეოთხე სავარჯიშო კლასში მსჯელობით შესრულდება;
– მეორე სავარჯიშო კი – ინდივიდუალურად, შემდეგ კი გადამოწმდება სწორი ვერსიები.
4. საშინაო დავალება – 1 წთ.
„მესერის" III, IV ეპიზოდები თხრობით;
წერითი დავალება: შეადგინე მოთხრობის გეგმა და ჩაწერე რვეულში.

VI. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა და პრინციპების შესახებ

შეგახსენებთ, რომ ესგ-ს თანახმად დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ანუ სწავლა-სწავლება, უპირველეს ყოვლისა, დადებით დამოკიდებულებას უნდა უყალიბებდეს მოსწავლეს, უნდა ემსახურებოდეს მის მრავალმხრივ განვითარებას, ხელს უწყობდეს წიგნიერების განვითარებას. ხოლო თუ გავიხსენებთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს, სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ახალი ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა). ერთი სიტყვით, ეს სხვა არაფერია, თუ არა სწალების კონსტრუქტივისტული მეთოდების, გამჭოლი კომპეტენციებისა და მეტაკოგნიციის (სწავლის სწავლა) გამოყენება სწავლა–სწავლების პროცესში.

1. გამჭოლი კომპეტენციები

წიგნიერება. წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღების უნარი.

- მედიაწიგნიერება. ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა – ტექსტმა, რომლიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს მრავალგვარი ფორმის მულტიმედიატექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა.
- ციფრული წიგნიერება იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერება. იგი ამჟამად მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავების უნარს. ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც ციფრული წიგნიერება ეწოდება.
- რაოდენობრივი წიგნიერება. რაოდენობრივი წიგნიერება არის რაოდენობებით ოპერირების უნარი, რაც რიცხვებს შორის მიმართებების გაგებას, რაოდენობათა შედარებასაც გულისხმობს.
- ეკოლოგიური წიგნიერება. ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების და პირადი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას.
- მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია. მრავალენობრივი კომპეტენცია არის ადამიანის უნარი, დაეუფლოს ენას/ენებს და გამოიყენოს ეს ცოდნა.
- სემიოტიკური კომპეტენცია. სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალური და არავერბალური (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტეპრეტირების, საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის, ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის უნარი.
- სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება,

გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვათა უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.

გამჭოლი კოპეტენციების მთავარი აზრი ის არის, რომ ეს არ არის ერთი საგნის ამოცანა, ამიტომ გამჭოლი კოპეტენციების დაუფლება ბუნებრივი პროცესი უნდა იყოს, მას არ უნდა უფრთხოდეს მასწავლებელი. თუმცა დაწყებით საფეხურზე ყველა ასპექტის თანაბარი სიხშირითა და სიძლიერით გამოყენება ვერ მოხერხდება. ჩვენთვის გამჭოლ კოპეტენციათა შორის მნიშვნელოვანია წიგნიერება. რაც უფრო ხშირად მივცემთ მოსწავლეს შეფასების, შეჯამების, დამოუკიდებელი აზრის გამოთქმის, წიგნიერების სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით გამოყენების, საკუთარი გამოცდილების ახალ იდეებზე მორგების საშუალებას, მით უფრო სასურველ შედეგს მივიღებთ. ამის საშუალებას კი ჩვენ მიერ შედგენილი სახელმღვნელოების არაერთი ტექსტი და რუბრიკა იძლევა. მაგ.: „სასაუბრო“, „ეს საინტერესოა“, „სახალისო“ და სხვა.

განსაკუთრებით საინტერესოა დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის მედიაწიგნიერება. ერთდროულად ენობრივი, ხმოვანი და ვიზუალური მხარეების გამოყენება ძალიან აადვილებს ბავშვისათვის სასწავლო ამოცანის წვდომას, ჩვენ სახელმძღვანელოების ციკლში მივმართავთ ხოლმე მულტიმედიას – „ნახე“, „შეადარე“, „გვიამბე“ და ა.შ.

რაოდენობრივი წიგნიერება ალბათ მოგვიანებით შემოვა, მინი კვლევის სახით, სტატისტიკური გათვლების სახით. მანამდე კი იმასაც შეიძლება დავჯერდეთ, რომ მოსწავლეებს ხშირად მოუწევთ თვლა, რამდენი ხმოვანი და თანხმოვანია სიტყვაში, რამდენი მარცვალია სიტყვაში, რამდენჯერ მეორდება სიტყვა და ა.შ.

ეკოლოგიურ წიგნიერებას შეგვიძლია პირდაპირ დავუკავშიროთ მასალა. ეს თემა ჩვენი სახელძღვანელოების ციკლში განსაკუთრებით გააქტიურებულია მე-3 კლასში.

სემიოტიკური კომპეტენცია საკმაოდ აქტიურად შეიძლება განვითარდეს დაწყებით კლასებში. სახელმძღვანელოებში ნახატმა მრვალგვარი ფუნქცია შეიძინა, რაც პირდაპირაა სახელძღვანელოში მოცემული. ასევე კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს მოვასმენინებთ შესწავლილ ლექსებზე შექმნილ სიმღერებს, სადღესასწაულო სიმღერებს და ისინი გამოხატავენ თავიანთ განწყობას, დახატავენ ნახატებს. დაწყებით კლასებში ასევე აქტიურად შეიძლება ცხრილების გამოყენება, დაფაზე, ფორმატზე და ინდივიდუალურად, მათ შორის ძალიან პოპულარულია ვენის დიაგრამა და ცხრილი „რა ვიცოდი, რა გავიგე, რა მინდა ვიცოდე.“

რაც შეეხება ციფრულ ანუ კომპიუტერულ წიგნიერებას, ეს ამ თაობის პრიორიტეტია, ამიტომ მასწავლებელმა, თუ ამის საშუალება არსებობს, აქტიურად უნდა გამოიყენოს იგი, მასალის მოძიების, თვალსაჩინოების მოპოვების, მინი ბროშურისათვის ტექსტის ასაწყობად და ა.შ.

 უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება, როგორებიცაა კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, არა მარტო საგაკვეთილო პროცესის პრიორიტეტი უნდა იყოს, არამედ საერთოდ, აღმზრდელობითი პროცესისა. საგაკვეთილო პროცესში სამოქალაქო თემატიკა უნდა იქცეს, ერთი მხრივ, მასალასთან მიმართებაში მსჯელობის საგნად, მეორე მხრივ იგი უნდა ვაქციოთ სასკოლო ცხოვრების წესად. მუშაობა ამ მიმართულებით უნდა დავიწყოთ ბავშვის სკოლაში მოსვლის დღიდან, დაწყებით საფეხურზე ჯგუფური სამუშაოების სწორად ორგანიზებით, მოსწავლეების ჩართვით წესების შეუშავებასა და დაცვაში.

2. მეტაკოგნიცია

მეტაკოგნიცია ანუ სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვისა და, სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი. ეს მეტაკოგნიციის პროცესის პედაგოგიური ხედვაა.

მაინც რა არის მეტაკოგნიცია? მეტაკოგნიცია საკუთარი შემეცნების (უფრო ფართოდ კი საკუთარი ფსიქიკური პროცესების) შემეცნების საგნადვე (ობიექტად) გადაქცევაა. პედაგოგიური თვალთახედვით, ეს ნიშნავს მოსწავლის მიერ სწავლის ქცევის შემეცნებითი დაკვირვების საგნად, ობიექტად გადაქცევას. საამისოდ, პირველ რიგში, საჭიროა მოსწავლემ დასვას შემდეგი კითხვები: რა გავაკეთე და როგორ? რას ვაკეთებ და როგორ? რას გავაკეთებ და როგორ?

პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეს დასჭირდება, რომ დააკვირდეს უკვე შესრულებულ სასწავლო აქტივობას, მაგალითად, კრიტიკული დაკვირვების ობიექტად აქციოს უკვე შესრულებული სავარჯიშო: სწორად შეასრულა თუ არა იგი, რა შეცდომები დაუშვა და რატომ. შემდეგ კი საჭიროა დაკვირვების შედეგის ვერბალური განზოგადება (ვთქვათ, „მე დავუშვი ასეთი და ასეთი შეცდომები, რადგან ...). დაკვირვების შედეგის ვერბალური განზოგადება სასწავლო ქცევის ობიექტივაციის აუცილებელი ეტაპია.

კითხვაზე – რას ვაკეთებ და როგორ? პასუხი ფაქტობრივად ნიშნავს იმას, თუ როგორ იყენებს მოსწავლე წინარე გამოცდილებას, გამოაქვს თუ არა სწორი დასკვნები უკვე მიღებული გამოცდილებიდან. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მეტაკოგნიციის საკმარისი დონე. მთლიანი მეტაკოგნიტური ციკლის დასრულებისათვის საჭიროა პასუხი ბოლო კითხვაზე – რას გავაკეთებ და როგორ? ამისათვის უნდა განხორციელდეს შემდგომი სასწავლო ქცევის წინასწარი განჭვრეტა – ანიციპაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე უკვე მიღებული და განზოგადებული გამოცდილების საფუძველზე დაგეგმავს შემდგომ სასწავლო ქცევას.

როგორც ვხედავთ, სწავლების სწავლა საკმაოდ რთული ფსიქიკური აქტივობაა. მასში ჩართულია სხვადასხვა შემეცნებითი პროცესები, როგორიცაა დაკვირვება, უშუალო ან ხანგრძლივი მეხსიერება (შესრულებული სამუშაოს გასახსენებლად), კრიტიკული აზროვნება (შეცდომებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოჩენისათვის), ლოგიკური აზროვნება (შედეგების განზოგადებისათვის). საჭიროა აგრეთვე ყურადღების კონცეტრაციისა და ნებელობითი ქცევის განხორციელების უნარები.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ინტელექტის განვითარების კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე იმყოფებიან. ინტელექტის განვითარების ეს დონე ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვანი მეტაკოგნიტური აქტივობის განხორციელებას. განვითარებისეულად, ეს შესაძლებლობა მოსწავლეს გაუჩნდება ინტელექტის განვითარების შემდგომ სტადიაზე – ლოგიკური ოპერაციების სტადიაზე (12 წლის ასაკიდან). მაგრამ მეტაკოგნიციის განვითარების თვითდინებაზე მიშვება დიდი პედაგოგიური და მეთოდური შეცდომა იქნებოდა. მით უმეტეს, რომ დაწყებით სკოლას აქვს კარგი საშუალებები ამ პროცესების მართვისათვის, კონკრეტული სასწავლო საგნების შინაარსისა და ზოგადად, სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სახით.

სწავლის სწავლის უნარს მინიმალურ დონეზე გამოცდილება აყალიბებს. სკოლაში ამ უნარის გამოყენება სისტემატურ და სისტემურ სახეს უნდა იღებდეს. მეტაკოგნიციის გარეშე ვერ განხორციელდება ხარისხიანი სწავლება. ამას კი საფუძველი დაწყებით კლასებში უნდა ჩაეყაროს. მეორე კლასის მოსწავლეებს მასწავლებელმა თავიდან უნდა გააცნოს სავარჯიშოებზე მუშაობის პრინციპები, მოგვიანებით უკვე მოსწავლემ უნდა ახსნას, როგორ იმუშაოს ამა თუ იმ სავარჯიშოზე; ასევე მასწავლებელი დაუგეგმავს მოსწავლეებს, თუ როგორ გაასწორონ საკუთარი ნაწერი დაფაზე მოცემული მოდელის მიხედვით; შემდგომში მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი ნაწერის გასწორება ზეპირი განხილვის საფუძველზე.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი სამუშაოს თანმიმდევრობის განხილვა: ჯერ ეს საქმე კეთდება, მერე – ეს და ბოლოს – ეს. საჭიროა ჩატარებული სამუშაოს შეფასება. დავიწყოთ ჯგუფური მუშაობის შეფასებით, თუ რატომ იყო ჯგუფი წარმატებული ან წარუმატებელი. კარგია შეფასების ბარათების გამოყენებაც. კარგად დაგეგმილი განმავითარებელი შეფასებაც მოსწავლეს გააცნობიერებინებს, რატომ დაუშვა შეცდომა და როგორ გამოასწოროს იგი.

3. მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება სასწავლო პროცესში

როგორც ცნობილია, მასწავლებლებისა და სახელმძღვანელოების ავტორებისათვის, გრიფირების წესების კრიტერიუმებში სხვა სიახლეებთან ერთად შინაარსის ბლოკში გაჩნდა საკითხები, რომლებიც სწავლების მიზნებს მდგრადი განვითარების პრინციპებს უკავშირებს. ეს გამართლებულიცაა, თუკი ვთანხმდებით, რომ სკოლას მხოლოდ ცოდნის მიღების ფუნქცია არ უნდა ჰქონდეს, მან უნდა იზრუნოს მოქალაქის აღზრდასა და მოზარდის ცხოვრებისათვის მომზადებაზე. 1.8 კრიტერიუმის თანახმად, შინაარსი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის სამოქალქო ცნობიერების განვითარებას, ითვალისწინებდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს და ხელს უწყობდეს მათ გააზრებას ასაკის შესაბამისად. იმავე პრინციპების გათვალისწინებით, სახელმძღვანელო უნდა ემსახურებოდეს ჰუმა-

ნიზმისა და ტოლერანტობის აღზრდას, რა თქმა უნდა, ნებსით თუ უნებლიეთ, არ უნდა შეიცავდეს მასალას(ტექსტს, ილუსტრაციას თუ მოწოდებას), რომელიც უარყოფითი ქმედებებისაკენ წაახალისებს მოსწავლეს. სახელმძღვანელოს შინაარსი საშუალებას უნდა იძლეოდეს კავშირი დაამყაროს მასწავლებელმა მდგრადი განვითარების პრინციპებთან, რასაც საფუძვლად შეიძლება დავუდოთ მდგრადობის ვარსკვლავი:

ბუნება;
ეკონომიკა;
საზოგადოება;
კეთილდღეობა.

ლიტერატურული მასალით შეიძლება მოსწავლეს ყურადღება გავუმახვილოთ: ეკოლოგიაზე, ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენებაზე, ბუნებრივი კატასტროფების მიზეზებზე, შრომის კულტურაზე, ეკონომიკურად შეჭირვებული ადამიანებისადმი თანალმობის და თანადგომის სურვილის აღზრდაზე; ტოლერანტობის, ჰუმანიზმის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, კულტურული მეობისა და მსოფლიო კულტურებთან კავშირის აღქმაზე; ბავშვთა უფლებების დაცვაზე, უფლებებისა და მოვალეობების თანაკვეთის პროცესის არსებობაზე; ჯანსაღი ცხოვრების წესებისა და ჯანსაღი კვების პრობლემებზე და სხვ.

მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება შეიძლება კიდევ უფრო გააქტიურდეს მესამე კლასში. ამ თვალსაზრისით საინტერესო პრობლებებს წარმოაჩენს ნაწარმოებები: "კეთილი ფერიები", "რას გვირჩევს მოხუცი მეტყევე", "რამ იცის სიღარიბე", "მაიას ყვავილები", "გაბუტული მეგობრები", "ონავრები".

ჯანსაღი ცხოვრების წესის თემა–ძილის რეჟიმი, რომელიც ასე აქტუალურია დღევანდელი ბავშვებისათვის, მოცემულია ტექსტში "მაიას ყვავილები". შესაძლებელია, ამ თემამ გაგრძელება ჰპოვოს ბუნებისმცოდნეობის გაკვეთილზე, მოხდეს ინტეგრირება მათემატიკასთან. გაკვეთილზე ჩატარდეს მინი კვლევა-გაითვალოს ვინ როგორ იცავს ძილის რეჟიმს, აიგოს შესაბამისი დიაგრამა ან მარტივი ცხრილი, ამ ცხრილზე დაყრდნობით შეიქმნას სოციალური სარეკლამო პლაკატები, მათ შორის ზოგიერთი მათგანი აჩუქონ პარალერურ კლასებს ან მათზე პატარებს, პირველ-მეორე კლასელებს.

მოქალაქეობა ცხოვრების წესია და არა ლოზუნგი. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეების საქველმოქმედო საქმიანობაში ჩართვას. მესამე კლასში შეტანილია მოთხრობა "კეთილი ფერიები", რომელიც გაჭირვებული ოჯახისა და მარტოხელა მოხუცთა დახმარების არაჩვეულებრივ მაგალითს იძლევა. ამის შემდეგ შეიძლება მოეწყოს სასკოლო აქცია: "ერთი ტკბილეულით ნაკლები მივირთვათ": დავთვალოთ რამდენი წევრი გვყავს ოჯახში და მოვიტანოთ იმდენი ცალი ტკბილეული, ვისაც სურვილი აქვს – მეტიც. ხელოვნების გაკვეთილზე გავაკეთოთ სადღესასწაულო, მისალოცი და ტკბილეულის ჩასაყრელი პარკები ან კოლოფები. შემდეგ დავთვალოთ და გადავანაწილოთ საჩუქრები და დავადგინოთ რამდენ მარტოხელა მოხუცს შეიძლება მივულოცოთ ახალი წელი. გაკვეთილზე "მე და საზოგადოება". ვისაუბროთ ბავშვთა სახლების, მოხუცთა თავშესაფრების შესახებ, რა პასუხისმგებლობა აქვს საზოგადოებას მათ მიმართ. დავიხმაროთ მშობლები და სათანადო ადგილას გავაგზავნოთ ბავშვების მიერ მომზადებული ტკბილეულის ნაკრებები და მისალოცი ბარათები.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია გვქონდეს შრომის კულტურა, სიღარიბეს ვძლიოთ საქმით და შრომით. ამის შეგნებას კი ბავშვობიდან უნდა ჩაეყაროს საფუძველი. ამ თვალსაზრისით სახელმძღვანელოში შეტანილია მოთხრობები "რამ იცის სიღარიბე" და "შრომის საფასური". "რამ იცის სიღარიბე" მოგვითხრობს ერთი გლეხის შესახებ, რომელიც სულ შრომობდა, მაგრამ სიღარიბეს თავი ვერ დააღწია, ბრძენი მიხვდა, რომ ამ კაცის პრობლემა არა სიზარმაცე, არამედ არაორგანიზებული შრომა იყო, ეს საკითხი მოსწავლეებმა უნდა დაუკავშირონ საკუთარ გამოცდილებას – დღის რეჟიმს. სწორად დაგეგმილი სამუშაო თავისუფალ დროსაც უფრო მეტს გვიტოვებს და სამუშაოც უფრო ხარისხიანია. ანალოგიურ თემას ეხება მოთხრობა "შრომის საფასური", ადამიანი სიღარიბის პრობლემას შრომით უნდა აგვარებდეს და არა შემწეობის თხოვნით, გამოსავალი ყოვ-

ელთვის არსებობს, იგი უნდა ვიპოვოთ. ამის მშვენიერი მაგალითი მოცემულია მოთხრობაში, თუ როგორ აქცია შრომამ ჩალა ოქროდ. ვკითხოთ ბავშვებს რისი გაკეთება შეუძლიათ თავისი ხელით? გადავწყვიტოთ საკლასო ოთახის გამწვანება ქოთნის მცენარეებით, ხელოვნების გაკვეთილზე შევქმნათ სუვენირები, ნახატები, აპლიკაციები, სათამაშოები, სამკაულები; მოვაწყოთ გამოფენა-გაყიდვა და შევიძინოთ მცენარეები.

სამოქალაქო ცნობიერებას ჩამოყალიბებისათვის შეიძლება ვიზრუნოთ, როდესაც ვასწავლით ეპიზოდს "ლიონბერგელი ემილის თავგადასავლიდან", თავად ამბავი სასაცილოა, როგორ ასწია ემილიმ თავისი და იდა ფლაგშტოკზე, მაგრამ ამ ისტორიაში ერთი საგულისხმო დეტალია. დანიის სოფლებში ტრადიცია ყოფილა, სტუმრების მიღებისას მასპინძლები ეზოს ფლაგშტოკზე ქვეყნის დროშას სწევენ. ეს ეპიზოდი უნდა დავუკავშიროთ ჩვენს დროშასა და სხვა სახელმწიფო ატრიბუტიკას, გავაცნოთ ბავშვებს ისინი, ვისაუბროთ სად და როდის აღიმართება ხოლმე ქართული დროშა, ვუთხრათ, რომ არსებობს ქართული დროშის დღე, საინფორმაციო ფოტო. ინტერნეტში მოვაძებნინოთ ღონისძიებები, რომლის ჩატარებისას აღიმართება ხოლმე ქართული დროშა. ჩამოწერონ, მათი აზრით, როგორ უნდა იქცეოდნენ ქართული დროშის დღეს საქართველოს მოქალაქეები. ბოლოს დაწერონ წერილი – წარმოიდგინონ, რომ უცხოელ მეგობარს თავიანთ ქვეყანას აცნობენ, რას მისწერდნენ ქართული დროშის შესახებ.

კონფლიქტების მოგვარების პრობლემას უკავშირდება მოთხრობა "გაბუტული მეგობრები", იგი ამ მიზნითაც დაიწერა და შევიდა სახელმძღვანელოში. მას ახლავს თემის შესაბამისი სამუშაოები. შეიქმნას პლაკატი, როგორ ავიცილოთ კონფლიქტი, მისი ფოტო გამოქვეყნდეს სოციალურ ქცელში, ხოლო თავად პლაკატი გამოიფინოს კლასში.

ვანდალიზმს, საზოგადოებრივი ქონების დაზიანების, პრობლემასა და მისგან გამოწვეულ საფრთხეს ეხება მოთხრობა "ონავრები". ძალიან სერიოზული პრობლემაა, ადამიანებმა ისწავლონ არა მარტო საკუთარი სივრცის მოვლა-პატრონობა, არამედ საზოგადოებრივი სივრცის მოფრთხილება, დალაგება და ა.შ. ცხადია, უმჯობესია, თუ ამ ყველაფერს ბავშვობისას ჩაეყრება საფუძველი. ცელქობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ვინმეს უკვე დანაშაულია. შევქმნათ სამუშაო ჯგუფები, დავურიგოთ სიტუაციური მაგალითები, ვთხოვოთ მათი შეაფასონ სიტუაცია და მოძებნონ გამოსავალი.

მდგრადი განვითარების პრინციპებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკოლოგიურ პრობლემებს, გახშირებული ხანძრების ფონზე, მნიშვნელოვანია რეკრეაციული ზონების მოფრთხილება; არა მარტო სისუფთავის, არამედ უსაფრთხოების ნორმების დაცვასაც. ამ თემას უნდა მიებას თემა: რა მნიშვნელობა აქვს ტყეს ეკოლოგიური ბალანსისათვის, როგორ შეიძლება გამოსწორდეს მდგომარეობა. ეს თემა შეიძლება დავუკავშიროთ ლექსს "რას გვირჩევს მოხუცი მეტყევე" და ჩატარდეს ინტეგრირებული სამუშაოები ბუნებისმცოდნეობის, "მე და საზოგადოების" გაკვეთილებზე. შეიძლება დაიგეგმოს კლასგარეშე ღონისძიებებიც – მოსწავლეებს მშობლებთან ან უფროს დაძმებთან ერთად მონაწილეობა მივაღებინოთ ნერგების დარგვაში, რეკრეაციული ზონის დასუფთავებაში, მსვლელობის მოწყობაში სოციალური ტრანსფარანტებით.

4. დიფერენცირებული სწავლება

დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებას, ამისათვის საჭიროა მასწავლებელმა სწორად შეაფასოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. დიფერენცირებული სწავლება იგება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: მოსწავლეთა ცოდნის, უნარების და სწავლის სტილის განსაზღვრა; მასწავლებლის მოლოდინების რეალურ საფუძველზე დაყრდნობა; მოსწავლის ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინება; დაკვირვება, თუ რა ტიპის მასალის გაგება უფრო უადვილდება მოსწავლეს და რას ვერ იგებს; მოსწავლის შედეგების შემოწმება და ანალიზი; მასზე ადაპტირებული სასწავლო გეგმისა და სტრატეგიების შერჩევა;

დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობა იმაზეა გამოკიდებული, რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს; რამდენად ითვალისწინებს მათ ცოდნასა და გამოცდილებას, რომლითაც იგი ოჯახსა და სოციალურ გარემოს უკავშირგება.

როდესაც მასწავლებელი სწავლების პროცესში მრავალფეროვან აქტივობებს იყენებს, მას უფრო ადვილად შეუძლია დაადგინოს მოსწავლეთა განსხვავებული უნარები და ინტერესები, განსაზღვროს მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები. იგი ასევე ადვილად შეძლებს მოსწავლეთა საჭიროებებზე სასწავლო პროცესის მორგებას.

დიფერენცირების ორი ტიპი არსებობს: 1. გარეგანი, როდესაც მასწავლებელი სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ჯგუფებს ქმნის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2. შინაგანი, როცა მასწავლებელი ისე ახდენს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, რომ ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

ცნობილია, რომ არ არის ადამიანი ტალანტის გარეშე. თითოეული ადამიანი უნიკალური და განსხვავებულია თავისი შესაძლებლობებით, მისწრაფებებით და მიზნებით. დიფერენცირებული სწავლება იმას კი არ ნიშნავს, მხოლოდ აღმოვაჩინოთ რა შეუძლია და რა იცის, არამედ უნდა დავეყრდნოთ მის ძლიერ მხარეებს და მორგებული სისიტემით გავაუმჯობესოთ იგი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი იმასაც გულისხმობს, რომ მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს თვითდამკვიდრებაში, მისი განსხვავებულობის დადებით კონტექსტში წარმოჩენას. დიფერენცირებული სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განმავითარებელი შეფასების აქტუალურად და მიზანმიმართულად გამოყენებას.

როგორც მასწავლებელთა პრიფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილი „პედაგოგიური გამკვლევი – პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის" აღნიშნავს: „დიფერენცირებული მიდგომა სწავლების გზაა, ეს არ არის კონკრეტული მზა შეთავაზება." სწავლების დიფერენცირებული მიდგომა ავალებს მასწავლებელს კარად გაიცნოს მოსწავლე და შესთავაზოს მას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც გააუმჯობესებს სწავლების შედეგებს.

5. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები

თანამედროვე სკოლა ორიენტირებულია მარავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენებაზე. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ რესურსებს, რომლებიც გამჭოლ კომპეტენციებს განეკუთვნება და ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ მედიაწიგნიერებაზე ზრუნვა ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. ჩვენი სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს შესაბამის მასალას, რომელიც სპეციალური ლოგოთია აღნიშნული.

ძალიან საინტერესო აქტივობები შეიძლება შეიქმნას სემიოტიკური კომპეტენციის გააქტიურებით და ვერბალური თუ არავერბალური საშუალებით (სქემები, დიაგრამები, ნახატები, მელოდიები) გააზრების, განცდის და გამოხატვის უნარის განვითარების მიზნით. მათ შორისაა კოგნიტური ცხრილები და დიაგრამები. ცნობილია, რომ გრაფიკული მაორგანიზებელის გამოყენება ხელს უწყობას ლოგიკური აზროვნების განვითარებას. ზოგ შემთხვევაში ცხრილი კონკრეტული ამოცანისთვისაა შექმნილი, თუმცა არის ყველასთვის ცნობილი ვენის დიაგრამა, T დიაგრამა და ცხრილი „1, 2, 3". ისინი საკმაოდ აქტიურად გამოიყენება ქართული ენის სწავლებაში. ხშირ შემთხვევაში სავარჯიშოში მოთხოვნაა შეტანილი მოსწავლემ შეავსოს ცხრილი, თუ რა ტიპის ცხრილი უნდა შეადგინოს მასწავლებელმა და დაურიგოს მოსწავლეებს ამას მასწავლებლის სახელმძღვანელოს ბოლოს მივუთითებთ. სახელმძღვანელოში ჩართულია ხატვის და მუსიკის მოსმენის სასწავლო ამოცანებიც, რომლებიც ასევე თავისი ლოგოთია მინიშნებული.

ზემოთ ჩამოთვლილ ტექნოლოგიებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისტის გამოყენებას, კომპიუტერი თანამედროვე ბავშვისთვის ყველაზე ახლობელი სათამაშოცაა და შრომის იარაღიც. ამიტომ ისტის გამოყენება პირდაპირ უკავშირდება 21-ე საუკუნის ბავშვის უნარებსა და მოთხოვნილებებს. განათლების სამინისტროს ხელშეწყობით შეიქმნა „ბუკის" კომპუტერული პროგრამა "ისწავლე ხალისით", თავისი შესანიშნავი საგანმანათლებლო თამაშებით, რაც ორგანულად შეერწყა სახელმძღვანელოს კონცეფციასა და ამოცანებს.

გარდა ამისა, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ისტის გამოყენებით მრავალფეროვანი სამუშაო. სასწავლო ანიმაციებისა და ლიტერატურულ მასალაზე შექმნილი ფილმების ყურება, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მასალების მოძიება და სხვ.

VII. შეფასება

I-IV კლასებში მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით. თუ მასწავლებელმა კარგად არ გაიაზრა განმავითრებელი შეფასების მიზნები და, აქედან გამომდინარე, პრინციპები, მოსწავლისა და მშობლისათვის ბუნდოვანი დარჩება მოსწავლის შედეგები. ამიტომაა, რომ მშობელთა ნაწილი ფიქრობს, რომ უფრო მოსახერხებელი იყო განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხშირად სტრესში აგდებს ბავშვს. მოსწავლე პირველივე მარცხის შემთხვევაში დაბალი მოსწრების ჯგუფში ინაცვლებს.

1. განმავითარებელი შეფასების მიზნები, საგანი, მეთოდები და უკუკავშირი

შეგახსენებთ, რომ ესგ ნათლად აყალიბებს განმავითარებელი შეფასების მიზნებს.

განმავითარებელი შეფასების მიზანია, ემსახურებოდეს და ხელს უწყობდეს: სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, წინსვლისა და განვითარების შფასებას, წინარე ცოდნის დადგენას, ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასებას. უნდა შეფასდეს მეტაკოგნიციის, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი.

განმავითარებელი შეფასების საგანია სწავლის პროცესი. ეს სწავლის პროცესის შეფასებაა და არა შედეგის, მაგალითად: ტექსტის შესწავლის პროცესის, რაიმე თემის დამუშავების, პროექტზე მუშაობის რომელიმე ეტაპის შეფასება, რჩევების მიცემა და არა თავად ნამუშევრის შეფასება.

განმავითარებელი შეფასების მეთოდებია: მასწავლებლის მიერ მოსწავლის შეფასება, მოსწავლის თვითშეფასება, მოსწავლეთა ურთიერთშეფასება.

განმავითარებელი შეფასების უკუკავშირი გულსხმობს წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევას, სწავლის სტრატეგიის შეცვლას, რჩევა-დარიგების გათვალისწინებით შედეგზე გასვლას (რა დონე ჰქონდა და რა დონეს მიაღწია).

განვიხილოთ ერთი მარტივი ცხრილი, რომელსაც გაკვეთილის ბოლოს იყენებს მასწავლებელი:

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ცხრილს და უხსნის, იმ შემთხვევაში თუ რაიმე მიზეზის გამო ვერ შეასრულა სამუშაო, ვერ გაიგო მასალა, გრაფაში არაფერს არ ჩაწერს. ამ ცხრილის საშუალებით და დაკვირვების საფუძველზე ბევრი რამ შეიძლება გამოიკვეთოს, რაც სპეციალური სამუშაოების დაგეგმვას მოითხოვს.

	ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი	**შ ე ფ ა ს ე ბ ა**	
	რა ვისწავლე დღეს?	შევასრულე სამუშაო	კარგად შევასრულე
1	წავიკითხეთ „გიმნაზიაში“:	+	
2	შევაფასეთ მომხდარი ამბავი	+	
3	გავითამაშეთ ეპიზოდი		+
4	შევაფასეთ აკაკისა და მისი კლასელის საქციელი.		+
5	გავიგეთ განსხვავება I , II და III პირებს შორის.	+	
6	გავიგეთ რატომ არის I პირში თხრობა მოთხრობაში „გიმნაზიაში“	+	

ანალოგიური თვითშეფასების კითხვარი ერთ კონკრეტულ საკითხზეც შეიძლება გაკეთდეს. მაგალითად:

	ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი	**შ ე ფ ა ს ე ბ ა**	
		შევასრულე	კარგად შვასრულე
1	გავარკვიეთ განსხვავება ახლანდელ, წარსულს და მომავალ დროებს შორის	+	
2	დავასახელეთ სამივე დროის ზმნები;		+
3	გადავიყვანეთ აწმყო დროის ზმნები წარსულსა და მომავალში;		+
4	დავადგინეთ რომელ დროში დგას ტექსტში მოცემული ზმნები.	+	

ამგვარი თვითშეფასების ცხრილით შესაძლებელია სამუშაოების ტიპებიც შევაფასოთ, რომელი უფრო მოეწონათ მოსწავლეებს. კარგია, როდესაც მოსწავლე მხოლოდ თავის მიერ შესრულებულ სამუშაოზე კი არ გამოთქვამს აზრს, არამედ იმაზეც, რაც მასწავლებელმა დაგეგმა – რომელი მათგანი უფრო მოეწონა, თუ არ მოეწონა, არ ჩაწერს პლუსს.

მაგალითად:

	ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი	**შ ე ფ ა ს ე ბ ა**	
	შევისწავლეთ ტექსტი	მომეწონა	ძალიან მომეწონა
1	ვიმსჯელეთ პერსონაჟის შესახებ	+	
2	ტექსტი წავიკითხეთ როლებში		+
3	შევასწორეთ ერთმანეთის ნაწერები		+

სხვათა შეფასებაც მეტაკოგნიციის განვითარებას უწყობს ხელს, ამიტომ ერთმანეთის ზეპირი, მოკლე წერილობითი, ან ცხრილით შეფასება კარგია, თან თანამშრომლობის ერთგვარი ფორმაც არის.

2. აქტივობის ორგანიზება და წესები

№	**რუბრიკის „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“ წესები**
1	დაიცავით თამაშის წესები;
2	არ შეუშალოთ ხელი მეორე გუნდს ან მოთამაშეს;
3	ობიექტურად შეაფასეთ თამაში;
4	ღირსეულად შეხვდით გამარჯვებასაც და დამარცხებასაც

№	**რუბრიკა „სასაუბროს” წესები:**
1	ხელის აწევით გამოხატეთ აზრის გამოთქმის სურვილი; არ წამოიძახოთ ადგილიდან
2	მასწავლებლისგან დაელოდეთ საუბრის დაწყების ნებართვას;
3	ყურადღებით მოვუსმინეთ ერთმანეთს;
4	არ ჩაერიოთ სხვის საუბარში და არ შეაწყვეტინოთ კლასელს ლაპარაკი;
5	თუ არ ეთანხმებით მოსაუბრეს, აზრი გამოთქვით ისე, რომ არ მიაყენოთ შეურაცხყოფა.

3. შეფასების ცხრილები

ანალოგიური ცხრილები მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლის შესაფასებლადაც გამოიყენოს. მაგალითად:

ჯგუფური მუშაობის შეფასების ნიმუში

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	ჯგუფის ყველა წევრს ეძლევა თავისი აზრის გამოთქმის და მუშაობაში ჩართვის საშუალება;			
2	ჯგუფმა შეძლო სამუშაოს გადანაწილება და თითოეული წევრის შესაძლებლობის გამოყენება;			
3	სამუშაო პროცესი წარიმართება მშვიდად და არ უშლის სხვას ხელს;			
4	იცავენ სამუშაო დროის ლიმიტს;			
5	პრეზენტატორის არჩევა ხდება ურთიერთშეთანხმებით.			

წყვილებად მუშაობის შეფასების ნიმუში

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	შეძლეს თანამშრომლობა ორივე წევრი გამოთქვამს თავის აზრს და ჩართულია სამუშაოში;			
2	საწინააღმდეგო აზრის წარმოქმნის შემთხვევაში, ასაბუთებენ თავიანთ აზრს და შეუძლიათ შეთანხმება.			
3	სამუშაო პროცესი წარიმართება მშვიდად და არ უშლის სხვას ხელს;			
4	იცავენ სამუშაო დროის ლიმიტს;			
5	პრეზენტატორის არჩევა ხდება ურთიერთშეთანხმებით.			

სამუშაოს წარდგენის (პრეზენტაციის) შეფასება

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	მოსწავლეს გააზრებული აქვს საპრეზენტაციო მასალა;			
2	გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საპრეზენტაციო თემის მიმართ;			
3	პრეზენტაციისას იყენებს თვალსაჩინოებას;			
4	მასალის წარდგენისას მეტყველებს ნელა, შესაბამისი ინტონაციისა და პაუზების დაცვით.			
5	მოსწავლე იყენებს ნაცნობ ლექსიკას და მართლმეტყველების საბაზო ნორმებს.			

	მოსწავლის გვარი, სახელი				
	ს ა მ უ შ ა ო	**შ ე ფ ა ს ე ბ ა**			
	უცხო ტექსტის კითხვა და გაგება	წარმატებით	უშვებს რამდენიმე მარტივ შეცდომას	უშვებს შეცდომებს, მაგრამ გარკვეულ შედეგს აღწევს	ასრულებს დახმარებით
1	კითხულობს;				
2	ყურადღებას აქცევს უცნობ ლექსიკურ ერთეულებს და არკვევს მათ მნიშვნელობას;				
3	პასუხს სცემს კითხვებს;				
4	აფასებს პერსონაჟების ქცევას;				
5	იგებს ტექსტის მთავარ სათქმელს;				
6	უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას.				

კითხვისა და ზეპირმეტყველების აქტივობების შეფასების ცხრილი

	მოსწავლის გვარი, სახელი, კლასი							**შევსების თარიღი**
	აქტივობის სახე და შეფასების ინდიკატორები	**აქტივობის სიხშირე**			**აქტივობის შესრულების ხარისხი**			
		ყოველთვის	**ხშირად**	**იშვიათად**	**წარმატებით ასრულებს**	**ასრულებს მცირე ხარვეზებით**	**უშვებს შეცდომებს**	**ასრულებს დახმარებით**
I	**ტექსტების კითხვა**							
1	მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტი პის ტექსტის უშეცდომოდ, მთლიანი სიტყვებით, თანაბარი ტემპით, სწორი ინტონაციით კითხვა;							
2	მოსწავლეს შეუძლია გაგრძელებით კითხვა;							
3	მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის მითითებით, კონკ-რეტული ეპიზოდის პოვნა, არეული ტექსტის დალაგება და წაკითხვა.							
II	**ლექსიკონის დამუშავება**							
1	მოსწავლემ იცის,სად უნდა ეძებოს უცნობი სიტყვის განმარტება;							
2	მოსწავლეს შეუძლია განმარტებული სიტყვის გამოყენე-ბა მნიშვნელობის ადეკვატურად;							
3	მოსწავლე იგებს განმარტებული სიტყვის ნიუანსს კონტექსტის მიხედვით.							
4	მოსწავლეს შეუძლია ახალი ლექსიკის დანიშნულები-სამებრ გამოყენება.							
III	**მართლწერაზე დაკვირვება**							
1	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს სიტყვის მართლწ-ერის რუბრიკის დამუშავებაში;							
2	მოსწავლეს შეუძლია სწორად დაწერილი სიტყვის გარჩევ, ამისი არამართებული ფორმისგან;							
3	მოსწავლე პოულობს მითითებულსიტყვას ტექსტში.							
4	მოსწავლეს შეუძლია მართლწერის ნასწავლი ფორმების პრაქტიკაში გამოყენება.							
IV	**კითხვებზე პასუხის გაცემა**							
1	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს კითხვებზე პასუხის გაცემაში;							
2	მოსწავლე იძლევა შინაარსობრივად სწორ პასუხებს;							

3	მოსწავლე იყენებს სრული პასუხების ფორმას.							
4.	მოსწავლეს შეუძლია სააზროვნო კითხვებზე პასუხის გაცემა.							
V	**ზეპირი, ლიტერატურული, ლექსიკური, გრამატიკული და სააზროვნო სავარჯიშოები**							
1	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს სავარჯიშოების შესრულებაში;							
2	მოსწავლე აკეთებს სავარჯიშოებს სწორად;							
3	მოსწავლეს შეუძლია მითითებული შეცდომის გასწორება.							
VI	**თხრობა**							
1	მოსწავლე თანმიმდევრულად გადმოსცემს სხვადასხვა ტი პის ტექსტის შინაარსს;							
2	იგებს და გადმოსცემს ნაწარმოების დედააზრს, გამოარჩევს დედააზრისათვის მნიშვნელოვან დეტალებს მეორეხარისხოვანისაგან;							
3	მოსწავლე მოყოლისას მეტყველებს უშეცდომოდ, ხანგრძლივი პაუზების გარეშე, შეუძლია განყენებულ თემაზე საუბარი.							
VII	**თავისუფალი მეტყველებითი აქტივობა — სასაუბრო, პრეზენტაციები და სხვ.**							
1	მოსწავლე სწორად რეაგირებს სამეტყველო სიტუაციაზე;							
2	სათქმელს ალაგებს სწორად, აზრს გადმოსცემს გასაგებად;							
3	მეტყველებს გამართულად და გაბმულად, არ უშვებს ბევრ ენობრივ შეცდომას;							
4	საჭიროების შეთხვევაში მოიხმობს ადეკვატურ ფაქტებს;							
5	ადეკვატურად იყენებს სამეტყველო როლს.							
VIII	**ჯგუფური თამაშები**							
1	მოსწავლეს აქვს ჯგუფში მუშაობის მაღალი მოტივაცია, აქტიურია ჯგუფში;							
2	მოსწავლე პასუხისმგებლობით ეკიდება ჯგუფში მუშაობას;							
3	მოსწავლე უსმენს ჯგუფის წევრებს, გამოთქვამს თავის აზრს კონსტრუქციულად, შეუძლია დათმობაზე წასვლა ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე.							
IX	**შეჯამება—კომენტარი**							

წერითი აქტივობების შეფასების ცხრილი

	მოსწავლის გვარი, სახელი, კლასი							**შევსების თარიღი**
	აქტივობის სახე და შეფასების ინდიკატორები	**აქტივობის სიხშირე**			**აქტივობის შესრულების ხარისხი**			
		ყოველთვის	**ხშირად**	**იშვიათად**	**წარმატებით ასრულებს**	**ასრულებს მცირე ხარვეზებით**	**უშვებს შეცდომებს**	**ასრულებს დახმარებით**
I	**წერის ტექნიკა**							
2	იცავს სათანადო მანძილს სიტყვებსა და წინადადებებს შორის;							
3	შეუძლია წერილობითი ტექსტის სწორი ორგანიზება.							
II	**მართლწერა**							
1	წინადადების ბოლოს სვამს მისთვის ნაცნობ ნიშანს;							
2	სწორად წერს მისთვის ნაცნობ სიტყვებს;							
3	წინადადებაში სწორად იყენებს კავშირებს;							
4	სწორად ამყარებს მარტივ სინტაქსურ კავშირებს;							
5	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს სიტყვის მართლწერის რუბრიკის დამუშავებაში და შეძლებისდაგვარად იყენებს.							
III	**წერითი მეტყველება**							
1	წერილობით პასუხობს კითხვებს;							
2	წერს კარნახს;							
3	წერს მარტივი ტექსტის მოსმენილის შინაარსს;							
4	წერს ნასწავლი ტექსტის ან ეპიზოდის მოკლე შინაარსს;							
5	შეუძლია მარტივი მსჯელობითი ხასიათის ტექსტების შედგენა. (როგორია პერსონაჟი; როგორ მოიქცა იგი);							
6	წერს მცირე ზომის ტექსტს ნაცნობ თემაზე;							
7	მოკლედ გადმოსცემს წერილობით თავის მოსაზრებას.							

შეუძლებელია ყველა სასწავლო ამოცანის შეფასების მატრიცის განხილვა, მთავარი ისაა, რომ მასწავლებელმა იცოდეს ამგვარი ცხრილების შედგენის პრინციპი.

დაბოლოს, გთავაზობთ წლიური შეფასების მატრიცას, რომლის პრინციპი მარტივია, მასწავლებელმა უნდა დაადგინოს სტანდარტის ყოველ პუნქტთან მიმართებაში როგორ დაძლია მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმა.

	წლიური შეფასება				
№	**მოსწავლის გვარი, სახელი, კლასი**				**შევსების თარიღი**
	ეროვნული სასწავლო გეგმის მიმართულებები და სტანდარტის შედეგები	**აქტივობის შესრულების ხარისხი**			
		წარმატებით ასრულებს	**ასრულებს მცირე ხარვეზებით**	**უშვებს შეცდომებს**	**ასრულებს დახმარებით**
I	**ზეპირმეტყველება**				
1	მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.				
2	მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.				
3	მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.				
4	მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.				
5	მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.				
	კითხვა				
6	მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.				
7	მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.				
8	მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.				

9	მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.				
10	მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.				
11	მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.				
12	მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.				
	წერა				
13	მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.				
14	მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.				
15	მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.				

კომენტარი და რეკომენდაციები

VIII. ინკლუზიური განათლება

თანამედროვე საზოგადოება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ავლენს სსსმ მოსწავლეების მიმართ, ამიტომ განათლების სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური მატერიალური თუ საგანმანათლებლო სტანდარტები, რომლის დაცვაც ევალება სკოლას. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში, სპეციალური საჭიროების განსაზღვრის საქმეში, ერთვება მულტიდისციპლინური გუნდი: მასწავლებელი, ფსიქოლოგი და სპეცმასწავლებელი. პირველ რიგში, კვალიფიციური დიაგნოსტიკის მეშვეობით განისაზღვრება, რა კონკრეტულ საჭიროებასთან გვაქვს საქმე. ამის შესახებ ვრცლადაა საუბარი ესგ-ს VIII თავში. გარდა ამისა, არსებობს მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ცხრილები, რომლებსაც თქვენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საიტებზე მოიძიებთ.

ყოველ სსსმ მოსწავლეს თავისი შესაფერისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (შემოკლებით – ისგ) სჭირდება. ამჯერად ჩვენ ინკლუზიური განათლებისადმი მიდგომის მთავარ პრინციპებს ჩამოვთვლით:

1. სსსმ მოსწავლე უნდა იყოს სასწავლო პროცესში ჩართული;
2. იგი კომფორტულად უნდა გრძნობდეს თავს სოციალურ გარემოში და გრძნობდეს კლასელებისა და პედაგოგების მზრუნველობას;
3. სსსმ მოსწავლე მხოლოდ სპეცმასწავლებელთან არ უნდა მუშაობდეს;
4. ისგ ისე უნდა შედგეს, რომ იგი უკავშირდებოდეს საგაკვეთილო პროცესს;
5. მასწავლებელი თემატურად უნდა გეგმავდეს, როგორ გაუმარტივოს სსსმ მოსწავლეს სამუშაო ან რით ჩაანაცვლოს იგი;
6. სსსმ მოსწავლე, შეძლებისდაგვარად ჩართული უნდა იყოს კლასგარეშე ღონისძიებებში;
7. სსსმ მოსწავლე უნდა მონაწილეობდეს ჯგუფურ მუშაობაში და ასრულებდეს მისთვის დაძლევად დავალებებს და სხვ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი ხედავს და აღიარებს ბავშვის პრობლემებსა და საჭიროებებს, როდესაც იგი თანამშრომლობს სკოლასთან, გონივრული შედეგიც სახეზე იქნება. თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება. კლასში ზოგჯერ გვეყოლება არაღიარებული სსსმ მოსწავლე, ან, უბრალოდ სწავლის სიძნელეების მქონე ბავშვი. მასწავლებელს არ აქვს უფლება მშობლის თანხმობის, სპეციალური დასკვნის გარეშე რომელიმე მოსწავლე აღიაროს ინკლუზიურად, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის მიღმა დავტოვოთ. რადგან ეს გამოიწვევს მოსწავლის უფრო მეტ ჩამორჩენასა და იზოლირებას. როგორც ვიცით, I-IV კლასებში შეფასება მხოლოდ განმავითარებელია. ამიტომ მოსწავლებელმა უნდა სტანდარტის მოთხოვნების მინიმუმის გათვალისწინებით, გონივრულ ფარგლებში, გაუმარტივოს მოსწავლეს პროგრამა და არ დატოვოს საგაკვეთილო პროცესის მიღმა. მის მიმართაც დაიცვას ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები, იყოს ობიექტური, მშობელს ხშირად მიაწოდოს ინფორაცია მოსწავლის ძლიერი მხარეების შესახებ, რა დაძლია და რისი დაძლევა გაუჭირდა, მისცეს რეკომენდაციები; შეფასებისას იყოს ჰუმანური, მოზომილი, მაგრამ ობიექტური. შესაძლოა ამგვარმა დამოკიდებულებამ მშობელი განაწყოს თანამშრომლობისაკენ. ეს არ იქნება იმ ტიპის პროგრამა, რასაც სსსმ მოსწავლეს უდგენენ, მაგრამ ეს იქნება დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

ჩვენი სასწავლო საგნიდან (ქართული ენა და ლიტერატურა) გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის პრობლემები, რაც მოსწავლეს წერა-კითხვის დაუფლების პროცესში შეიძლება გაუჩნდეს.

ზოგადად, წერა-კითხვის დაუფლების სერიოზულ და მნიშვნელოვან დარღვევაზე მაშინ შეიძლება საუბარი, თუ მოსწავლე კლასის დონეს ორი სასწავლო წლით ჩამორჩება. ასეთ შემთხვევებში შესაძლოა საქმე გვქონდეს ან მნიშვნელოვან გონებრივ ჩამოჩენასთან ან ისეთ დარღვევასთან, როგორიცაა დისლექსია. დისლექსია ნაწერ ნიშანთა სისტემის კოდირება-დეკოდირების უუნარობაა (ეს პრობლემა რაოდენობრივ წიგნიერებაშიც იჩენს თავს დისკალკულიის სახით). დღესდღეობით მისი გამომწვევი მიზეზები ბოლომდე დადგენილი არ არის.

ხშირად წერა-კითხვის დაუფლების პრობლემები ზედაპირზე დევს და ადვილად შესამჩნევია. ასეთი პრობლემების „დადებითი მხარე„ ის არის, რომ ისინი, დროული და სწორი ჩარევის მეშვეობით, ადვილად დაძლევადია.

პირველი, რაც წერა-კითხვის ათვისების შეფერხების შემთხვევაში უნდა გავაკეთოთ, ბავშვს საფუძვლიანად უნდა შევუმოწმოთ მხედველობა და სმენა. მხედველობის ისეთი პრობლემები, როგორიცაა შორსმხედველობა, ახლომხედველობა, სიელმე, ასტიგმატიზმი, თვალის კუნთის მოდუნება და სხვ., მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს წერა-კითხვის პროცესებზე. რაც შეეხება სმენას, სმენის დაქვეითებამ შეიძლება გამოიწვიოს ფონოლოგიური ცნობიერების შეფერხება; ხოლო ფონოლოგიური ცნობიერება საფუძველია წერა-კითხვის ათვისებისა.

მეორე და მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც ადვილად განხორციელებადია: არ დავაძალოთ ცაცია ბავშვებს მარჯვენა ხელით მუშაობა! ჩვეულებრივ, დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობისათვის წამყვანი ხელია მარჯვენა. ასეთი ადამიანების ტვინი გარემოდან მიღებულ აღქმით ინფომციას (მხედველობით, სმენით, შეხებით და სხვ.) მარცხენა ჰემისფეროს მეშვეობით გადაამუშავებს. ცაციების ცენტრალური ნერვული სისტემის თავისებურება კი ის არის, რომ გარემოდან მიღებული აღქმითი ინფორმაციის გადამუშავება მათი ტვინის მარჯვენა ჰემისფეროთი ხდება. ჩვენ რომ ცაციებს მარჯვენა ხელით აქტივობა დავაძალოთ, შემეცნებით დისონანსში ჩავაგდებთ მათ. ეს მაშინვე აისახება წერისა და კითხვის ათვისებაზე, მთლიანად ბავშვის ქცევაზე.

არსებობს წერა-კითხვის ისეთი შეცდომები, რომლებსაც სწავლების დაწყებით საფეხურზე ხშირად ვხვდებით და რომლებიც, როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, ადვილად ექვემდებარება გამოსწორებას. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი და შევეხოთ მათი გამოსწორების გზებსაც.

ყველაზე გავრცელებულია ე.წ. პედაგოგიური მიშვებულობა. ამის მიზეზი ის არის, რომ მოსწავლეს ეზარება კითხვა, არ ერთვება აქტიურად გაკვეთილის მსვლელობაში. შესაძლოა მასწავლებელმა და მშობელმა ეს გვიან შეამჩნიონ და პრობლემა გაღრმავდეს.

ამ პრობლემის თავი და თავი მოტივაციის უქონლობაა – ბავშვი პირველივე წარუმატებლობის შემთხვევაში კარგავს კითხვისა და წერის მოტივაციას. ასეთი პრობლემის დაძლევის კარგი საშუალებაა პატარა, ადვილი ტექსტების განმეორებითი კითხვა. მაგრამ განმეორებითი კითხვა უნდა გავაძლიეროთ დამატებითი მოტივით. ამის საუკეთესო საშუალებაა წამზომით დროის მონიშვნით კითხვა. ტექსტის ყოველი შემდეგი წაკითხვა წინაზე უფრო სწრაფად მოხდება. ბავშვიც ჩართული იქნება საკუთარ თავთან ამ ერთგვარ შეჯიბრში (მიაქციეთ ყურადღება, ხომ არ დაიზეპირა ბავშვმა ტექსტი?!).

ფონოლოგიური ცნობიერების განუვითარებლობა. ჩვეულებრივ, 6 წლის ასაკისათვის ბავშვების უმრავლესობას შეუძლია გაბმული მეტყველებიდან ცალკეული ბგერების გამოყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლე ვერ შეძლებს კონკრეტულ ბგერას კონკრეტული გრაფიკული ხატი – ასო დაუკავშიროს. არის შემთხვევები, როდესაც ამ უნარის ჩამოყალიბება ფერხდება და ბავშვს სპეციალური დახმარება სჭირდება. ჩვენ გთავაზობთ მთელ რიგ ფონეტიკურ ვარჯიშებს, რაც წერა-კითხვის სწავლების ჩვენი მეთოდით არის გათვალისწინებული და ამგვარ პრობლემას თავიდან აგვაცილებს. ეს ვარჯიშები შედის პირველი კლასის მასწავლებლის სახელმძღვანელოში. ესენია: ფონეტიკური წყვილების შედარება-განსხვავება, ერთ ბგერაზე დაწყებული სიტყვების დასახელება, ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება. ამას შეიძლება დავუმატოთ სიტყვების ბგერებად დაშლის ამოცანაც.

ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება შეიძლება შეფერხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვს მეტყველების სპეციფიკური პრობლემები აქვს. აქ საქმეში ლოგოპედი უნდა ჩავრთოთ.

ჩვენ გავითვალისწინეთ აგრეთვე ისეთი ტიპური შეცდომები, როგორიცაა სიტყვის გამთლიანებით ამოკითხვის პრობლემა, სარკისებრი ასოების აღრევა და ბადეში ასოების არასწორად ჩაწერა (გამომწვევი მიზეზი – ჩამოუყალიბებელი სივრცითი მიმართებები), გამოცნობით კითხვა (გამომწვევი მიზეზი – კითხვაში გაუმართლებელი აჩქარება), კითხვისას ასოების გამოტოვება (მიზეზი – თვალის არათანმიმდევრული მოძრაობა) და სხვ.

ამგვარი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, პირველი და მეორე კლასის მოსწავლის სამუშაო რვეულებში შეტანილია სპეციალური სავარჯიშოები.

წერა-კითხვის სწავლება-სწავლის სწორად წარმართვის შემთხვევაში, მოსწავლეები მეოთხე კლასის დასასრულისათვის კითხულობენ და წერენ გამართულად და თავისუფლად იყენებენ ამ უნარებს სხვა სასკოლო საგნების დასაუფლებლად.

IX. ეროვნული სასწავლო გეგმა ქართულ ენაში

III კლასი
საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება	
სტანდარტის შედეგები	**III კლასის შეფასების ინდიკატორები**
ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.	**მოსწავლე:** 1. მიზნისა და სამეტყველო სიტუაციის ადრესატის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, ინტონაციას); 2. ადეკვატურად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციაში; 3. ადეკვატურად აღიქვამს ინფორმაციას; 4. გადმოსცემს ინფორმაციას ნანახის, განცდილის შესახებ; 5. ჰყვება ამბავს პირადი გამოცდილებიდან.
ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.	**მოსწავლე:** 1. ისმენს და ამოიცნობს პრაგმატული ტექსტების ადრესატს (მაგ., ვისთვისაა განკუთვნილი რეკლამა – დიდებისთვის თუ პატარებისთვის) და მიზანს (გაფრთხილება, რჩევის მიცემა, აკრძალვა, ინტერესის/სურვილის აღძვრა და სხვ.); 2. ამოიცნობს ტექსტის თემას; 3. ასახელებს ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს; 4. საკუთარი სიტყვებით, თანამიმდევრულობისა და აზრობრივი შესაბამისობის დაცვით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს; 5. ამოიცნობს ტექსტის შინაარსს სათაურის მიხედვით.
ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.	**მოსწავლე** 1. აღწერს და ახასიათებს პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით; 2. ავლებს პარალელს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავსა და პირად/ლიტერატურულ გამოცდილებას შორის; 3. მარტივი გამოთქმებით („მომწონს / არ მომწონს“, „საინტერესოა / უინტერესოა“, „ვეთანხმები/ არ ვეთანხმები“, „ერთგულია / მოღალატეა“, „მამაცია / მხდალია“ და ა. შ.) აფასებს ნაწარმოებს, პერსონაჟებს, მათს საქციელს და ცდილობს საკუთარი მოსაზრების ახსნას („არ ვეთანხმები იმიტომ, რომ...“, „საინტერესოა იმით, რომ...“ და ა. შ.).

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.	**მოსწავლე** 1. სასაუბრო თემებისათვის (მაგ., „წელიწადის დროები“, „ცხოველები“, „ქალაქი“, „სოფელი“ და ა. შ.) იყენებს სპეციალურ ლექსიკას; 2. სიტყვათა შესაკავშირებლად გააზრებულად იყენებს კავშირებსა და სიტყვა-კავშირებს (ან, თუ, ვინც, რაც, როგორც, როცა/როდესაც...); 3. სწორად იყენებს პირის, ჩვენებით, კითხვით და უარყოფით ნაცვალსახელებს; 4. სათანადო კონტექსტში სწორად იყენებს სიტყვებს: ყველა, ზოგი (ზოგიერთი), არც ერთი და სხვ.; 5. მართებულად სვამს კითხვებს (ვინ...? რა...? როგორი...? რომელი...? რამდენი...?) და კითხვით წინადადებაში მახვილს სვამს კითხვით სიტყვებზე; 6. სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში; 7. მიზნისა და სამეტყველო სიტუაციის ადრესატის გათვალისწინებით, ირჩევს შესაბამის სამეტყველო სტილს; 8. განარჩევს და სწორად იყენებს ჩვეულებრივ და თავაზიანობის გამომხატველ ზმნურ ფორმებს („მოდი – მობრძანდით“; „აიღე – ინებეთ“, „დაჯექი – დაბრძანდით“ და სხვ.).
ქართ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**მოსწავლე:** 1. იყენებს საყრდენებს/მინიშნებებს (მაგ., შეთავაზებული მარტივი გრაფიკული მაორგანიზებლების) ინფორმაციის დასახარისხებლად; 2. იყენებს ნიმუშებს, საყრდენებს საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქცევის წარსამართავად.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ჯგუფური აქტივობები, სიტუაციური თამაშები (ადრესანტის ცვლილებით);
- მოსმენილი წიგნის/მოთხრობის შესახებ თანაკლასელებისთვის შთაბეჭდილების გაზიარება;
- წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის შესახებ მინიდისკუსიის მოწყობა;
- სარითმო სიტყვების ამოცნობა ლექსებში;
- სხვადასხვა მოდალობის წინადადების შედგენა და გამოთქმა შესაბამისი ინტონაციით;
- მრავალფუნქციური ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის (მაგ., ინტერვიუ ცნობილ პოეტთან, მსახიობთან) მომზადება და იმიტირება;
- ტექსტის როლური ინსცენირება შესაბამისი ინტონაციისა და მიმიკის გამოყენებით;
- მინიდიალოგების გათამაშება ერთსა და იმავე თემაზე/საკითხზე განსხვავებული სამეტყველო სიტუაციების შეთავაზებით (მაგ., სხვადასხვა ადრესატთან – მასწავლებელთან, თანაკლასელთან, მშობელთან, ოჯახის წევრთან, ნაწარმოების პერსონაჟთან);
- მინიპრეზენტაციები (მაგ., პრეზენტაცია „ფოტოს მოყოლილი ამბავი“ – მოსწავლეები წარადგენენ საოჯახო ალბომიდან შერჩეულ ფოტოსურათს და ჰყვებიან მასთან დაკავშირებულ ამბავს);
- საუბარი/თხრობა საყვარელი წიგნის, ფილმის, მულტფილმის შესახებ (მასწავლებლის მიერ წინასწარ შეთავაზებულ მარტივ საორიენტაციო შეკითხვებზე დაყრდნობით ან ცოცხალი ინტერაქციის გზით;
- სასწავლო მასალასთან დაკავშირებული სახალისო ვიქტორინები;
- თამაში ლექსიკური ერთეულებით: ორ- ან მეტცნებიან კომპოზიტებში ფუძეთა გამოყოფა (მაგ.: გონებაწართმეული, უსახლკარო, თავგზააბნეული, ხელფეხშეკრული) და სხვა.

მიმართულება: კითხვა	
სტანდარტის შედეგი	**III კლასის შეფასების ინდიკატორები**
ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.	**მოსწავლე:** 1. თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, ცდილობს დაიცვას სათანადო ტემპი; 2. ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე ზომის ტექსტებს; 3. ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან.
ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.	**მოსწავლე:** 1. ამოიცნობს ტექსტის თემას, წვდება დედააზრს (მთავარ იდეას); 2. ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს, რამდენჯერ და სხვ.); 3. აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს; 4. ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს, გამოაქვს სათანადო დასკვნა; 5. აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული (მაგ., მსგავსება-განსხვავების) ნიშნით; 6. საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას; 7. განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს; 8. განსაზღვრავს, რა იცის / რა არ იცის ცალკეულმა პერსონაჟმა; 9. ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს; 10. ამოიცნობს, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ პერსონაჟებს ერთმანეთთან (ნათესაური, მტრული, მეგობრული და სხვ.); 11. გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს); 12. განსაზღვრავს რეპლიკის ავტორს, ადრესატსა და მიზანს (რჩევის მიცემა, ინფორმირება, ახსნა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვ.); 13. აკვირდება მხატვრული ტექსტების ენას, მწერლისეულ ლექსიკას; 14. ეძებს და პოულობს, რომელ რუბრიკას / ქვესათაურს უკავშირდება ილუსტრაცია, წარწერა.
ქართ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.	**მოსწავლე:** 1. წაკითხული ნაწარმოებიდან მიღებული შთაბეჭდილებით ქმნის ილუსტრაციებს; 2. აფასებს სხვების მიერ შექმნილ ილუსტრაციებს (რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის შინაარსს); 3. ჯგუფის წევრებთან ერთად დგამს ნაწარმოებში ასახულ სცენებს.

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.	**მოსწავლე:** 1. გამოხატავს წაკითხული ტექსტით აღძრულ ემოციებს, განცდებს; 2. ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან და გამოაქვს დასკვნა; 3. ასახელებს საყვარელ პერსონაჟს და ხსნის საკუთარ არჩევანს; 4. ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათს საქციელს; 5. ასახელებს მულტფილმებს, სურათებს, ნახატებს, მოსმენილ და წაკითხულ ნაწარმოებებს, რომლებიც გაახსენდა ტექსტის კითხვის დროს; მსჯელობს მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე.
ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.	**მოსწავლე:** 1. მთლიანობაში აკვირდება ტექსტის სტრუქტურას, მის სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს (სათაურს, რუბრიკას, ილუსტრაციას, წარწერას, აბზაცს, სვეტს, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტსა და სხვ.) ინფორმაციის ამოკრების მიზნით; 2. ასახელებს ტექსტის კომპოზიციურ მახასიათებლებს (სათაურს, ილუსტრაციას, წარწერას, პირობით ნიშანს, რუბრიკას, აბზაცების რაოდენობას, სქემასა და სხვ.); 3. ამოიცნობს, რომელ რუბრიკაში, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს ესა თუ ის ინფორმაცია (მაგ., რას ჭამს ზღარბი? . . . – რუბრიკაში „საკვები`);
ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.	**მოსწავლე:** 1. ამოიცნობს სასვენი ნიშნების (წერტილის, მძიმის, ორწერტილის, ბრჭყალების, კითხვისა და ძახილის ნიშნების) ფუნქციას; 2. ამოიცნობს პირდაპირ ნათქვამს; 3. კითხვების (რა? ვინ? როგორი? რამდენი? რას აკეთებს?) გამოყენებით განასხვავებს შესაბამის მეტყველების ნაწილებს.

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**მოსწავლე:** 1. ცდილობს უცნობი სიტყვების ახსნას კონტექსტის გათვალისწინებით; 2. ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ; 3. წაკითხული შინაარსის უკეთ გაგების მიზნით გონებაში, წარმოსახვაში აცოცხლებს მას; 4. კონკრეტული ინფორმაციის მოძიებისას, საყრდენებად იყენებს ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს, სტრუქტურულ მახასიათებლებს; 5. აღწერს, რა ხერხს მიმართა დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; 6. დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენადაა პასუხის სისწორეში დარწმუნებული („დარწმუნებული ვარ", „თითქმის დარწმუნებული ვარ", „არა ვარ დარწმუნებული`); 7. განსაზღვრავს და პოულობს ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელსაც უნდა მიუბრუნდეს პასუხის დასაზუსტებლად; 8. მასწავლებლის დახმარებით ადგენს ტექსტის მარტივ გეგმას მისთვის სასურველი ფორმით (სიტყვიერად ან ნახატებით).

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- წინადადებაში გამოტოვებულ ადგილას მართებული სიტყვის შერჩევა და ჩასმა კონტექსტის მიხედვით;
- ტექსტში გადმოცემულ მოქმედებათა დროისა და ადგილის გრაფიკულ სქემაში ასახვა / ქრონოლოგიური სქემის შედგენა;
- როლებში კითხვა/მკითხველის თეატრი;
- საყვარელი ნაწარმოების/ეპიზოდის წაკითხვა თანაკლასელებისთვის;
- ხმამაღალი კითხვის ჩანაწერის მოსმენა და კორექტირება;
- ინფორმაციის კატეგორიზაცია თემატურად;
- აზრობრივი რუკების / სქემების შექმნა;
- პერსონაჟის დამახასიათებელი სიტყვების/ფრაზების/წინადადებების/ეპიზოდების მოძიება და ამოწერა;
- მოვლენათა შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების სქემის სახით გადმოცემა;
- მოკლედ გადმოცემული ამბის გავრცობა საყრდენების/მინიშნებების გამოყენებით;
- ტექსტის სიუჟეტის ან მხოლოდ დასასრულის შეცვლა;
- პერსონაჟის ალტერნატიული საქციელის მოფიქრება;
- საყვარელი ნაწარმოებების დასურათების კონკურსი-გამოფენა;
- საყვარელი ნაწარმოების /ზღაპრის მიხედვით წიგნის შექმნა;
- წაკითხული ნაწარმოების მიხედვით დიორამების შექმნა;
- ტექსტის დაყოფა კომპოზიციური და სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით;
- ნაცნობი და უცნობი ლექსიკის აქტივაცია – მათი გამოყენებით ახალი წინადადებების შექმნა;
- მსგავსი და განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვების დაჯგუფება;
- ვარაუდების სქემის გამოყენება;
- ტექსტთან დაკავშირებით მოსწავლეების მიერ ერთმანეთისთვის კითხვების დასმა;
- ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და დასათაურება, გეგმის შედგენა და სხვა.

მიმართულება: წერა	
სტანდარტის შედეგები	**III კლასის შეფასების ინდიკატორები**
ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.	**მოსწავლე:** 1. წერს ინსტრუქციებს, გასაგებად წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას; 2. აღწერს კონკრეტულ საგანს/ნივთს (მცენარეს, ცხოველს, მოვლენას), წარმოაჩენს მათ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს; 3. გადმოსცემს კონკრეტულ ფაქტს/მოვლენას საკუთარი ცხოვრებიდან; 4. ადგენს მარტივ დიალოგებს; 5. თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ინფორმაციას; 6. თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის/ტექსტის ეპიზოდის შინაარსს; 7. თანამიმდევრულად აგებს თხრობას; 8. ცდილობს ახლად შესწავლილი სიტყვების, ფრაზების გამოყენებას (მაგ., საინფორმაციო ტექსტების შედგენისას).
ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.	**მოსწავლე:** 1. იყენებს ზმნას სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით; 2. სწორად იყენებს კავშირებს (და, თუ, მაგრამ, ან) რთული და შერწყმული წინადადებების ნაწილების დასაკავშირებლად; 3. სათანადოდ იყენებს პირის, ჩვენებით („ეს / ის კაცი მოვიდა – ეს / ის მოვიდა“...) და კითხვით (რომელი? როგორი?) ნაცვალსახელებს; 4. სათანადო კონტექსტში სწორად ხმარობს სიტყვებს: ყველა, ზოგი (ზოგიერთი), არც ერთი; 5. სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში, სწორად ათანხმებს რიცხვით და / ან ზედსართავ სახელსა და არსებით სახელს ბრუნვასა და რიცხვში; 6. მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებიდან შეარჩევს მოცემული კონტექსტისთვის შესაფერის / მართებულ სიტყვას; 7. იყენებს დიალოგის გაფორმებისთვის საჭირო ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს (ზმნის II პირის ფორმებს, პუნქტუაციის ნიშნებს); 8. სწორად დამარცვლავს სიტყვებს და გადააქვს სტრიქონიდან სტრიქონზე; 9. სათანადოდ იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, მძიმეს, ორწერტილს, ბრჭყალებს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს); 10. სათანადოდ აფორმებს მარტივ დიალოგებს; 11. საჭიროებისამებრ ყოფს ნამუშევარს აბზაცებად თანამიმდევრულობის დაცვით.

ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**მოსწავლე:** 1. საჭიროებისამებრ იყენებს საყრდენებს (მოდელს, მითითებებს, მარტივ გრაფიკულ სქემებს, გეგმას და სხვ.); 2. ითვალისწინებს მიზანსა და აუდიტორიას მარტივი პრაგმატული ტექსტის (მაგ., მოსაწვევი ბარათის) შედგენისას; 3. გადაიკითხავს და ჩაასწორებს საკუთარ ნაწერს, ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში სასურველ სიტყვას ან წინადადებას; 4. კარნახით ნაწერ ტექსტს უდარებს დედანს (ჩასწორების მიზნით); 5. ამოწმებს და ჩაასწორებს საკუთარ და/ან სხვის ნაწერში მისთვის ნაცნობ სასვენ ნიშნებს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- მარტივი ინსტრუქციების შედგენა ნაცნობ თემატიკაზე (მაგ., როგორ უნდა მოვიქცეთ ქუჩის გადასასვლელებზე, როგორ მოვუაროთ შინაურ ცხოველებს, როგორ გავუფრთხილდეთ სასკოლო ნივთებს);
- წერილის დაწერა ნაწარმოების პერსონაჟის/კომიქსის, მულტფილმის გმირის მიმართ;
- მცირე ზომის მარტივი ინფორმაციული ტექსტის შედგენა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნის საფუძველზე (მაგ.: „შემოდგომა“, „შინაური ცხოველები“, „ჩვენი დედაქალაქი“);
- მცირე ზომის აღწერითი ტექსტის შედგენა (მაგ., სურათის/ილუსტრაციის აღწერა);
- კონკრეტული ცხოვრებისეული გამოცდილების ამსახველი მცირე ზომის ტექსტის შედგენა;
- თვითშეფასების სქემის შევსება წერილობითი ნამუშევრის შესაფასებლად;
- პერსონაჟის დახასიათება მარტივი გრაფიკული სქემების გამოყენებით;
- წერითი ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმების შედგენა და სხვა.

X. სასწავლო კომპლექტის შესატყვისობა სტანდარტთან – მიზნებისა და შედეგების მატრიცა

მასალა: ტექსტი დამხმარე ტექსტი	მიზნები	შინაარსი						
		კითხვა						
		ლექსიკონი	კითხვები	დაიმახსოვრე – ლიტერ.	დაიმახს. გამონათქვ. სიტყვის კვლდაკვალ	ეს სინტერესოა	სავ. ტექსტთან მიმართ.	დამოუკიდებლად საკით.
„სიმღერა მამულზე“ (კითხვით და ზეპირად)	შეძლოს: ლექსის წაკითხვა შესაბამისი ინტონაციით; ლექსის დაყოფა სტროფებად და დასწავლა; საუბარი ლექსში გადმოცემულ განწყობაზე, საქართველოს კუთხეებზე საუბარი და შთაბეჭდილების გადმოცემა, საწერი ტექსტის სწორი ორგანიზება. დეფისიან კომპოზიტებზ მუშაობა. საერთო ფუძით ნაწარმოები სიტყვების მოძებნა.							
„მალე სექტემბერიც დადგება“ (კითხვით)	შეძლოს: ჩანახატის ტიპის ტექსტში მთავარი აზრის დაფიქსირება; შესაბამისი ლექსიკური ერთეულის შერჩევა, და წინადადების გავრცობა; თავისუფალი თემის დაწერა. საკუთარ გამოცდილებაზე საუბარი, სასკოლო მოვალეობებზე საუბარი ზმნისწინების სწორად გამოყენება კონტექსტის შესაბამისად. შეძლოს მაგალითის მიხედვით სიტყვათწარმოება, სიტყვისთვის განმარტების შერჩევა.	X	X					
„ფეფოს ახალწლისა“ (კითხვით და თხრობით)	შეძლოს: ტექსტის წაკითხვა და თხრობა; საინფორმციო ტექსტის წაკითხვა და გაგება; ლექსიკური ერთეულების განმარტება; კუთვნილებითი ნაცვალსახელებისა და რიცხვში მონაცვლე ზმნების ხმარება, პერსონაჟის თვისებების გამოყოფა; ტექსტიდან ენობრივი ამოცანის შესაბამისად წინადადებების ამოწერა; დახასიათების შედგენა.	X	X		X	X	X	
„შორიდან მოსული მოწაფე“ (კითხვით და თხრობით)	შეძლოს: ტექსტის წაკითხვა და გაგება; დედააზრის ამოცნობა; ხატოვანი გამონათქვამების გაგება, ლექსიკური ნიუანსების დაფიქსირება; პირის ნაცვალსახელების შეწყობა ზმნასთან; ტექსტში პირის ნაცვალსახელების დაფიქსირება. საუბარი საკუთარ სკოლასა და საკუთარ გამოცდილებაზე	X	X				X	
„ხელის ჩუქურთმა“ (კითხვით) ქართული ანბანი	შეძლოს: ლექსის წაკითხვა და გაგება; დედააზრის ამოცნობა; ანბანის სახელების დაფიქსირება; ფონეტიკური სავარჯშოების შესრულება.		X		X			X

	შინაარსი													
	ენობრივი მასალა			წერა						ზეპ.	შერეული აქტივობები			შედეგების შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
				წერ. დავალ.			საკლ. სამუშაო რვეული							
	დაიმახსოვრე – ენობრივი	დაიმახსოვრე როგორ იწერება	ენობრ. სავარჯიშო	ტექსტთან დაკ. სავ.	ენობრ. სავარჯ.	წერითი მეტყველება	ტექსტთან დაკ. სავ.	ენობრ. სავარჯ.	წერითი მეტყველება	სასაუბრო	იმუშავეთ წყვილებად და ჯგუფებად	სახალისო	საათების რაოდენობა	
								1 2	3				2	6; 14; 1.4; 1.5; 2.2;
			X			X		1 2 3		X				1.4; 1.5; 2.3; 2.5; 3.1; 4.1; 4; 5.1; 6; 7.1; 7.2; 7.3; 7.4; 7.7; 8.4; 9.2; 11; 12; 13.3.
			X	1	2	3							3	1.5; 2.2; 2.3; 2.4; 3.1; 4; 5; 6; 7.4; 7.6; 7.7; 7.8; 9.1; 11; 13; 14
		X				X	1	2	3	X			2	1.4; 1.5; 2.2; 2.3; 2.4; 3.3; 4.6; 7,3; 7.4; 7.7; 9.4; 12.1; 12.7 13.6 14; 15.
					X			1 2 3					2	6; 1.6; 6.3; 7.4; 12.2

მასალა: ტექსტი დამხმარე ტექსტი	მიზნები	შინაარსი						
		კითხვა						
		ლექსიკონ.	კითხვები	დიმახსოვრე – ლიტერ.	დიმახს. გამონათქვ. სიტყვის კვალდაკვალ	ეს საინტერესოა	სავ. ტექსტთან მიმართ.	დამოუკიდებლად საკით.
„გიმნაზიაში“ (კითხვით და თხრობით) პირის ნაცვალსახელი	შეძლოს: სიუჟეტურად დატვირთული ტექსტის წაკითხვა;ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემა და მოცემული გეგმის მიხედვით ეპიზოდის პოვნა, წაკითხვა და მოყოლა;ლექსიკური ერთეულების კონტექსტის მიხედვით განმარტება; პირის ნაცვ. შეწყობა ზმნასთან; საუბარი საკუთარ გამოცდილებაზე.	X	X				X	
პატარა მოგონებები დიდ მწერალზე (აკაკი წერეთელი) კითხვით	შეძლოს: მოგონებების ტიპის ტექსტის წაკითხვა და გაგება; მსჯელობა მწერლის ხასიათსა და ბუნებაზე; ამ მოგონებების მნიშვნელობის გაცნობიერება.	X	X					
დამოუკიდებლად საკითხავი მასალა „ჩემი თავგადასავალი“ – აკაკი წერეთელი.	შეძლოს: ავტობიოგრაფიული ტექსტის გამოცნობა;ტექსტის შინაარსის გაგება; ავტორისა და მოქმედი გმირის იგივეობის დაფიქსირება; კითხვებზე პასუხის გაცემა წერილობით; წაკითხული ტექსტის გათვალისწინებით საკუთარი გამოცდილების წერილობით გადმოცემა.							X
„მატარებელი“ კითხვით	შეძლოს: სპეციფიკური ინტონაციის მქონე ლექსის წაკითხვა; საკუთარი შთაბეჭდილებების გადმოცემა; შესაბამისი ლექსიკური ერთეულის შერჩევა; ზმნისწინიან ზმნაში მიმართულების დაფიქსირება. ზედსართავი სახელებისა და ზმნიზედების გამოყენებით წინადადებების შედგენა.	X	X					
„დედა წერტილი და შვილი წერტილი“ (კითხვით და თხრობით)	შეძლოს: ტექსტის წაკითხვა, გაგება; თავისუფალი თემის შედგენა; საუბარი ტექსტის ლიტერატურულ აქცენტებზე; წყვილებში მუშაობა; დამოუკიდებელი წერითი სამუშაოს შესრულება.	X	X					
„სასვენი ნიშნები“ (კითხვით)	შეძლოს: ვრცელი ლექსითი ტექსტის წაკითხვა და გაგება; სიტყვათწარმოება; დეფისის გამოყენება; კითხვების – როგორი? რომელი? გამოყენება; ტექსტში სასვენი ნიშნების დასმა.	X	X					

	შინაარსი													
	ენობრივი მასალა			წერა						ზეპ.	შერეული აქტივობები			შედეგების შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
				წერ. დავალ.			საკლ. სამუშაო რვეული							
	დამახსოვრე – ენობრივი	დამახსოვრე როგორ იწერება	ენობრ. სავარჯიში	ზეპსტთან დაკ. სავ.	ენობრ. სავარჯ.	წერითი მეტყველება	ზეპსტთან დაკ. სავ.	ენობრ. სავარჯ.	წერითი მეტყველება	სასაუბრო	იმუშავეთ წყვილებად და ჯგუფებად	სახალისო	საათების რაოდენობა	
	X	X	X		X			1 2 3		X			3	1.4; 1.6; 2.3; 2.4; 2.5; 3.1; 3.2; 6; 7.3; 7.9 1.10 11.
													1	6; 7. 4; 7.6.
													2	
		X	X		X			1 2 3		X			2	1.2; 1.3; 1.4; 1.5; 6; 11; 14.
	X					X		1 2	3		X		3	2.2; 2.4; 6; 9.1; 11; 14.
	X		X		X			1 2 3						2.2; 2.4; 6; 9,1; 11; 14.

მასალა: ტექსტი დამხმარე ტექსტი	მიზნები	შინაარსი						
		კითხვა						
		ლექსიკონი	კითხვები	დაიმახსოვრე – ლიტერ.	დაიმახს. გამონათქვ. სიტყვის კვალდაკვალ	ეს საინტერესოა	საკ. ტექსტთან მიმართ.	დამოუკიდებლად საკით.
„პეპის პირველი წერილი“ (კითხვით და თხრობით) ადრესატი, ზრდილობიანი ფორმები, პორტრეტი	შეძლოს: ტექსტის წაკითხვა და გაგება; შეძლოს ტექსტის თხრობა; – ორი ტექსტის შედარება, ადრესატის განსაზღვრა და განსხვავებული ფორმების დაფიქსირება; წერილის შედგენა; სიტყვისთვის კითხვის დასმა.პორტრეტის გაცნობიერება გამოტოვებული სიტყვების ჩასმა ტექსტში; საუბარი პერსონაჟის საქციელზე; – საუბარი საკუთარ გამოცდილებაზე.		X	X			X	
„მატასი, პიპა და სუსი-ფუსი“ (კითხვით და თხრობით) კითხვის დასმა – სად? როდის?	შეძლოს: ტექსტის წაკითხვა და გაგება; ტექსტის თხრობა, როგორც მოკლე შინაარსის, ასევე გეგმაში გამოყოფილი ეპიზოდის; ენობრივი კლასიფ. (ზედმეტის გამორიცხვით); კითხვის დასმა; ენობრივი ამოცანის შესაბამისად ტექსტიდან წინადადებების ამოწერა. ტექსტის წაკითხვა როლებში; საუბარი პერსონაჟთა საქციელზე; კითხვითი წინადადების შედგენა გამოყოფ. სიტყვის გათვალისწინებით.		X				X	
„მაიას ყვავილები“	შეძლოს: ტექსტის დედააზრის გაცნობიერება; საინფ, ტექსტის წაკითხვა და გაგება; ჯანსაღი ცხოვრების ტექსტზე საუბარი; არსებითი სახელი.		X			X		
„ხილთა ცილობა“ (კითხვით) სასვენი ნიშნები კითხვის დასმა – როგორი? რომელი?	შეძლოს: ლექსითი ფორმის ვრცელი ტექსტის წაკითხვა და გაგება; წაკითხვა როლებში; მსჯელობა ანდაზების შესაბამისობაზე ტექსტთან; ტექსტის გათვალისწინებით ანალოგიურ თემაზე საუბარი; შემოქმედებითი თხზულების დაწერა.	X	X					
„ვენახი“ კითხვით და თხრობით „ხალხური“ ზეპირად ზმნა	შეძლოს: იგავური ტიპის ტექსტის წაკითხვა და გაგება; ორი ტექსტის დაკავშირება ერთმანეთთან; საუბარი ტექსტების საერთო და განმასხვავებელ შინაარსზე; მსგავსი ლექსიკური ერთეულების მოძებნა; მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის – ზმნის გამოყოფა მეტყველების ნაწილებისგან, კითხვის დასმა; ზეპირი ენობრივი გამოცდილების გადატანა წერაში. ერთი ლექსიკური ველის ერთეულების სწორად გამოყენება კონტექსტში. ზმნების ჩასმა კონტექსტში. გეგმის მიხედვით თხზულების დაწერა.	X	X					